# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 მარტი 1999 №41 (814) | ფასი 1 ლარი


# ქართველები: უპოვარნი და შერცხვენილნი

## ფულშემოლეულ საქართველოს ნაკრებს მთავარი მწვრთნელი გირაოში დაატოვებინეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რომ ტონგის ეროვნულ გუნდთან მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში წააგო, ორი დღეა, მთელმა დუნიამ იცის. წაგება წაგებად, მაგრამ მანამდე იმისთანა საქმეც დაგვმართვნია, მტერს რომ სიცილით მოკლავს, მოყვარეს კი ჯავრით. საქმე ისაა, რომ ჩვენი ნაკრების თავკაცი გურამ მოდებაძე, იგივე ბურძგლა, გუნდს ტონგაში არ ხლებია და მიზეზს არ იკითხვთ? საქმეში მარადი ქართული ჭირი — უფულობა ჩარეულა. ფიჯის ქალაქ ნადის სასტუმრო „მუკამბაში“ დაბინავებულ ქართველებს ბიუჯეტში მოზრდილი გარღვევა მოსვლიათ და სასტუმროს აშარ და გულმოსულ პერსონალს გირაოში ძია ბურძგლა დაუტოვებია.

როგორც შევიტყვეთ, მოდებაძე გვარიანი თანხა „ლირს“. საქართველოს რაგბის კავშირში თქვეს, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფიჯელ კოლეგებთან საპროტესტო ნოტა აფრინაო, მაგრამ იქ ამის მსგავსი არაფერი ჩასულა და ვინ იცის, ჩავა?

გუშინ მოვახერხეთ და თავად ფიჯელთა ტყვეს, გურამ მოდებაძეს დავუკავშირდით, რომელმაც ესლა გვითხრა — დაახლოებით შვიდი ათასი დოლარი „ვლივარ“ და სანამ ესენი ამ ფულს არ მიიღებენ, ჩემს გაშვებას არ აპირებენო. „მუკამბას“ ადმინისტრაციაში კი გვიპასუხეს, მადლობა გვითხარით, მთელი გუნდი რომ არ დავიტოვეთო. ისე, რას ერჩი, ესაც რომ ექნათ, ბორჯღალოსნებს მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ის მცირე შანსიც წაერთმეოდათ, ამ მარცხის შემდეგ მაინც რომ დარჩათ...

მაგრამ ახლა ეს შანსი და საპასუხო მატჩი კი არა, ისა გვაქვს საფიქრალ-სადარდებელი, როგორ და როდის გამოიხსნიან გირაოში დატოვებულ საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გურამ მოდებაძე გამოხსნას ელის

4

### ქეცბაიამ ორი გოლი გაიტანა

„ევერტონთან“ სათასო მატჩში ქართველმა ორჯერ თავად შეაგდო, ერთიც შირერს გაატანინა



10

### გუშინ სტუ-ს დამარცხებით „ვითა“ მესამე ადგილზე გამაგრდა

საქართველოს ჩემპიონატი

17 ტური

**დინამო 101:84 თსუ**
**კოლხა 82:73 ასკ**
**შევარდენი 60:81 აზოტი**
**სტუ 73:91 ვითა**
**სდასუ—მაკაბი**

*გაიმართება 13 მარტს*

13

### ედი ირვინმა სიზმარი აიხდინა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1-ის პირველ რბოლაში ირლანდიელის გამარჯვებას არავინ ელოდა

14

### ორი მსოფლიოს რეკორდი მაებაშიში

4x400: რუსულ-ამერიკული „ვახტანგური“

# არმიამ ვიტ ჯორჯია უსარდლოდ დატოვა

ბადრი ქეთილაძის ფოტო



შაბათს მცხეთაში. „ვიტ ჯორჯია“ — „არსენალი“: ვლადიმერ გოჩაშვილმა შალვა ლაცაბიძე (№18) ააცეკვა, მაგრამ ვერ გაიტანა

*ხუთშაბათს უგოლო მატჩით დაწყებული მეჩვიდმეტე ტური შაბათს უგოლო შეხვედრითვე დასრულდა. საწყის მატჩს მითქმა-მოთქმა მოჰყვა, „გურიას“ ვერმომგები თსუ-ს თავკაც ოთარ გაბელიას დაითხოვენო, მაგრამ ასე არ მოხდა. აი, ზედიზედ მეორე მცხეთურმა 0:0-მა კი ერთი მწვრთნელი მართლა შეიწირა. გუშინ „ვიტ ჯორჯია“ წლეულს უკვე მეორე დამრიგებელს ჯემალ მახარაშვილს გამოეთხოვა*

საქართველოს ჩემპიონატი

### 17 ტური

4 მარტი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| **თსუ** | **0** |
| **გურია** | **0** |

5 მარტი, პარასკევი

| | |
|---|---|
| **კოლხეთი** | **1** |
| **ტორპედო** | **2** |
| **მერანი** | **0** |
| **დინამო** | **2** |
| **ბათუმი** | **1** |
| **იბერია** | **0** |
| **ოდიში** | **0** |
| **ლოკომოტივი** | **1** |
| **სიონი** | **1** |
| **დილა** | **0** |
| **გორდა** | **2** |
| **სამგურალი** | **0** |

6 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | **0** |
| **არსენალი** | **0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 3 | 0 | 59:9 | 45 |
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 45:15 | 41 |
| ლოკომოტივი | 17 | 7 | 10 | 0 | 20:7 | 31 |
| კოლხეთი | 17 | 8 | 4 | 5 | 36:28 | 28 |
| ბათუმი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:14 | 28 |
| დილა | 17 | 7 | 4 | 6 | 24:22 | 25 |
| მერანი | 17 | 4 | 8 | 5 | 15:19 | 20 |
| სიონი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:33 | 19 |
| იბერია | 17 | 5 | 4 | 8 | 26:32 | 19 |
| გორდა | 17 | 4 | 7 | 6 | 14:21 | 19 |
| არსენალი | 17 | 4 | 7 | 6 | 20:32 | 19 |
| ოდიში | 17 | 5 | 2 | 10 | 12:26 | 17 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 17 | 5 | 4 | 8 | 15:17 | 16 |
| სამგურალი | 17 | 4 | 2 | 11 | 14:35 | 14 |
| თსუ | 17 | 3 | 5 | 9 | 14:23 | 14 |
| გურია | 17 | 3 | 3 | 11 | 18:40 | 12 |

საქართველოს ჩემპიონატი 17 ტური



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ვიტ ჯორჯია“ — „არსენალი“.
არმიელთა მეკარე თემურ ჩლაიძე გრიგოლ გვაზავას მაგრად დაუხვდა

# ისევ ფრე, ისევ 0:0

მცხეთა
6 მარტი
15 საათი
არმაზი
2 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 არსენალი**

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ვ. მაისურაძე, ჭანკოტაძე, ერაძე, ქემოკლიძე, ზ. გვაზავა, კ. ალადაშვილი (ნოზაძე 84), გიორგი ქორიძე, ი. კაპანაძე, ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა (გვირჯიშვილი 85)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; თ. ბოკერია, მაზიაშვილი, ჭოხონელიძე, ვ. ქუთათელაძე
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ლაცაბიძე, კაკუბავა, ამირიძე (აბაზაძე 65), ა. კაკაშვილი (თვალაბეიშვილი 75), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; კვირკველია, გ. სულაძე, დ. კაპანაძე, ყუფარაძე
გაფრთხილება: გველესიანი (17), ზ. გვაზავა (35)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. ქარქაშაძე; ე. სულთანიშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხანიაშვილი

ვახტანგ ბზიკაძე მცხეთიდან

წინა ტურში „არსენალი“ „დინამოსთან“ განადგურდა. შაბათს მათ 1:7-ის ჩამორეცხვა სურდათ.

„ვიტ ჯორჯიამ“ „ბათუმს“ ვერ მოუგო — 0:0 შინ, აბა, რა დასაკვეხნია.

და ისევ 0:0. ისევ ფრე, ოღონდ ქულა და თანაც ისევ შინ. ვიტელთა პრეზიდენტი ასეთმა შედეგმა აღაშფოთა და თვალს ძლივს მოატანდით, „არმაზის“ სტადიონი ისე სწრაფად დატოვა.

რა მოუვიდათ ვიტელებს? საქართველოს თასის მეოთხედფინალში „სამგურალთან“ დამარცხდნენ. მეორე წრის პირველ ტურში ვერ მოუგეს ჯერაც უკბილოდ მოთამაშე „ბათუმს“ და ახლა „არსენალიც“. ის ვინც კვირის წინათ უმწეო იყო „დინამოსთან“, ლამის ძლევამოსილი ჩანდა „ვიტ ჯორჯიასთან“.

ფრე ისეთი შედეგია, გინდა, არ გინდა, მეტოქეებს ათანაბრებს. აქ ან ორივე იტყვის, მოსაგები მქონდაო, ან — არცერთი.

სიმართლე გითხრათ მეტოქეზე მეტად, მაყურებლისთვის გოლის ჩვენებას „არსენალი“ ეცადა — მუხრან მაისურაძის დარტყმას ხარიხა გადაელობა.

დასაწყისი მასპინძლებისა იყო. პირველი ჩასტვენიდან 3 წუთში, მარჯვენა ფლანგზე გაჭრილ გიორგი ქორიძეს თანაფლანგელმავე ჩაუქროლა. მეორე წრეში რეაბილიტირებულმა და „ვიტ ჯორჯიას“ მარჯვენა მცველად მოვლენილმა გიორგი ჭანკოტაძემ კარგადაც ჩააწოდა, მაგრამ ირაკლი კაპანაძის უეშმაკო დარტყმა მეკარე ჩლაიძის იოლი ლუკმა გახდა.

ათ წუთში ვიტელებმა ორჯერ შეუქანეს გული სტუმრებს. ჯერ კახა ალადაშვილმა ააცილა ქორიძის ჩაწოდებულ ბურთზე მყისიერად დარტყმული, მერე უყურადღებოდ დატოვებულმა ერაძემ ვერ დუმიზნა კარს ჭანკოტაძის გაჭრილი.

სწორედ ამ ეპიზოდებიდან 5 წუთში აძგერა მუხრან მაისურაძემ ხარიხას ბურთი, რომელიც ხაზთან კი ახლოს, მაგრამ მაინც გარეთ დაეცა.

ცოტაც და ზვიად გვაზავა დაემუქრა სტუმართა კარს — მცველთაგან ასხლეტილი, შორი საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ჩლაიძემ აილო.

ეს იყო და, ტაიმის ბოლომდე გოჩაშვილმა გაუშვა ორჯერ მასპინძელთა დაწინაურების შანსი: ერთხელ ჩლაიძის ბრალეულობით, მეორედ კი საკუთარი შეცდომით. ვლადიმერ გოჩაშვილმა იგივე მეორე ტაიმის განახლებიდან ოც წუთშიც მოიმოქმედა, ამჯერად გრიგოლ გვაზავას კარგი პასი ააცილა კარს.

მანამდე ათი წუთით ადრე არსენალელმა ტარიელაშვილმა მიჰბაძა გოჩაშვილს, კაკაშვილის ჩაწოდებისას.

ეს იყო. მეორე ტაიმის შუა წელში თითო გვაზავებმაც დაარტყეს, მაგრამ გრიგოლმა ააცილა, ზვიადს კი ისევ ჩლაიძემ აჯობა.

„ვიტ ჯორჯია“ შაბათს უმაზიაშვილოდ თამაშობდა. მიხეილს თამაში არ წაუვიდა და სკამზე დასვეს. არც ამით შეიცვალა რამ და, გუნდის თავკაცი ჯემალ მახარაშვილი ამ მორიგ ქულათაკარგვას შეეწირა.

„არსენალში“ კი, წესისამებრ, ვინც ყველაზე უკეთ თამაშობს, მას (კაკაშვილს) ყველაზე ადრე ცვლიან. სხვებს კი, ტრავმირებული ზაზა ზირაქიშვილის არყოფნაში ისევ ის გოჩა ჩიქოვანი სჯობს, რომელსაც მატჩის ბოლოს ხშირად ემუდარებოდა ჩლაიძე ხელოვნური თამაშგარის შექმნას.

# ხომერიკი ბათუმშია

ავადსახსენებელი „რასინგ მეხელენი“ ნამდვილ ჭირად ექცა ქართულ ფეხბურთს და იმ ქართველ ფეხბურთელებსაც, ვისაც იქ მოუწიათ თამაში.

გადის ხანი და ბიჭები კვლავ გაურკვევლობაში არიან — არ იციან სად, როდის და როგორ პირობებში მოუწევთ თამაში.

სხვებთან ერთად გაურკვევლობაშია ლევან ხომერიკიც. თუმცა, დიდავასი არ იყოს, მან უკვე გააკეთა გარკვეული რეაქცია ბელგიურ ექსცესთან დაკავშირებით და თავის პირვანდელ „დინამოს“ — ბათუმისას ეწვია. ლევანი ბათუმელებთან ერთად ვარჯიშობს და რას როგორ გადაწყვეტს, მომავალი გვიჩვენებს.

თუმცა, ხომერიკის შემდგომი ბედი არც მარტო მისი გადასაწყვეტია, გარკვეული რამ ამ საკითხში თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც მოეკითხება და ითამაშებს თუ არა ლევანი მშობლიური ქალაქის გუნდში, დროის საკითხია.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

საქართველოს თასი მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი

ბათუმი. „დინამო“. 9 მარტი. 15 საათი

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ს. კახიანი; ს. შალამბერიძე (ორივე თბილისი)
სფფ-ის კომისარი: ა. მილჩენკო; სფფ-ის ინსპექტორი: მ. ანჯაფარიძე

# ყვავილნარიდან ბულვარში

დღეს ბათუმში ძალიან ჩამოცხება. „დინამოს“ სტადიონს, თასზე და ჩემპიონატში, ჯერაც დაუმარცხებელი „ლოკომოტივი“ ეწვევა. ბოლოს და ბოლოს გაირკვევა მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობაც. 24 თებერვლიდან გადმოტანილი თასის მეოთხედფინალური მატჩი კარგი სანახავი უნდა გამოდგეს.

„ბათუმი“ ჩვენში სათასო გუნდადაა ცნობილი. დღეს საბოლოოდ მოუწევთ თავიანთი იმიჯის დამტკიცება. თუ ჭეიშვილის ბიჭებმა ვერ ივარგეს, მაშინ მეათე ეროვნულში აჭარლები უფუნქციოდ დარჩებიან. არა გვგონია, მათთვის საპრიზო სამეულში გამოინახოს ადგილი. ამიტომ „ბათუმი“ მინდორზე თავდაუზოგავი იქნება.

დიდი შანსია, დღეს „ლოკომოტივმა“ ვერ ივარგოს. ამქვეყნად ყველაფერს გააჩნია თავისი დასაწყისიც და დასარულიც. არც მახარაძეს ჰყავს ოცნების გუნდი და არც დაუმარცხებელნი არსებობენ ამქვეყნად. თუ რკინიგზელები თასის გათამაშებას გამოეთიშნენ, მაშინ მათ, სათადარიგო ვარიანტად, ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა დარჩებათ. მიუხედავად ამისა, ვაკელები მოსაგებად არიან განწყობილნი.

„ბათუმმა“ შედარებით კარგად თბილისში, „ლოკომოტივთან“ ითამაშა. „შევარდენზე“ იყო მომენტები, როცა ჭეიშვილის შეგირდები ძველებურად ირჯებოდნენ. რაც შეეხება მეორე წრის საწყის ორ ტურს, ბათუმელებს აშკარად ჩაუვარდათ. ვეტერინარებთან ფრე, სამტრედიელებთან საშინაო მატჩში გამარჯვება იქნებ ნორმალური შედეგი იყოს, მაგრამ გუნდის სათამაშო ხარისხი აშკარად არადამაკმაყოფილებელია. იმედგაცრუება და აღშფოთება „ბათუმის“ პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს არც დაუფარავს. თუმცა არავის გაუკვირდეს ჩემპიონატში აჭარელთა სუსტი თამაში. ჯერ ერთი, „ბათუმი“ აშკარად მოერიდა ტრავმებს, მეორე მხრივ კი შოთა ჭეიშვილი თავის სტუმარ კოლეგას სიურპრიზებს უმზადებს. ერთ-ერთი სიახლე თბილისელებისთვის 19 წლის უჩ უვაკვე იქნება, რომელიც ბათუმელებმა გუნდის განაცხადში უკვე შეიყვანეს, დანარჩენი ძველებურადაა. ჭეიშვილი თბილისურისგან დიდად განსხვავებულ შემადგენლობას არც დღეს გაიყვანს მინდორზე. ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩაფიქრებული.

ახლა „ლოკომოტივზეც“ ვთქვათ. ორკვირიანი შფოთის შემდეგ რკინიგზელთა სამზარეულოში მშვიდობამ დაისადგურა. ეს მხოლოდ ზუგდიდური გამარჯვებით როდია განპირობებული. უბრალოდ, საპასუხისმგებლო მატჩის წინ კლუბში ატეხილი გაწამაწია „ლოკომოტივს“ არაფერში წაადგებოდა. თბილისელები დასავლეთ საქართველოში 4 მარტს გაემგზავრნენ. მოგეხსენებათ, ზუგდიდს 5 მარტამდე სტუმრობდნენ და უკანაც აღარ დაბრუნებულან. გეზი ყვავილნარისკენ აიღეს და მეოთხედფინალის საპასუხო თამაშისთვის იქ ემზადებოდნენ.

თემურ მახარაძე, თავისი ამქრით, ბათუმს გუშინ შუადღისას ეწვია. გუნდში ყველა ჯანმრთელადაა, ისინიც კი, ვისაც ცოტა ხნის წინათ სხვადასხვა სახის ტრავმები აწუხებდა. მწვრთნელს ახლა სხვა საფიქრალი გაუჩენია. მახარაძე თავდასხმისგან ვარსკვლავების მოწყვეტას არც ელის, თავად აღიარებს, თავდასხმას ვერაფერი მოვუხერხე, ეტყობა, განავსულები ვართო. შეტევა შეტევად, მაგრამ მთლად აწყობილად არც ნახევარდაცვაშია საქმე. გენადი კაციაშვილის გარდა კარგად თავის საქმეს ვერავინ აკეთებს. „ლოკომოტივის“ მარჯვენა ფლანგია დღეს ბათუმელთა საწუხარი. ნახევარდაცვის ცენტრში გოგობერიშვილ-კილასონია-ხუჯაძეს თამაში ვერ აუწყვიათ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს სამეული მინდორზე სივრცეებს ვერ იყოფდეს. არადა, ესენი [illegible], წასულია სტუმართა საქმე.

ბოლო დროს „ლოკომოტივის“ ნაქებ დაცვაში ბზარები გაჩნდა. ვერ გეტყვით, რა სენი შეეყარათ რკინიგზელ უკანახაზელებს, მაგრამ მეკარე ჯანელიძეს რომ ხშირად ანერვიულებენ, ფაქტია. იქნებ ყველაფერი ვაჟა თარხნიშვილის მოლდოვურ „შერიფში“ გადაბარგების ბრალია, ანაც თავად ფეხბურთელები დაავადდნენ უძლეველობის სინდრომით. ყოველ შემთხვევაში, სტუმრებს დაფიქრება მართებთ, თორემ ბათუმში „ლოკომოტივზე“ გაცილებით ძლიერი გუნდი წაქცეულა.

გუნდები გუნდებად, მაგრამ ბათუმური მატჩის ბედი დიდად არის დამოკიდებული ჭეიშვილისა და მახარაძის ორთაბრძოლაზეც. ერთ გუნდში, გვერდიგვერდ ნამუშევარი მწვრთნელები ერთმანეთს ზედმიწევნით იცნობენ. ჭეიშვილი მახარაძეს დღემდე ექვსჯერ დაპირისპირებია. ბატონი შოთა იმ ორთაბრძოლებისას „ბათუმს“ თავკაცობდა, ხოლო ბატონი თემური ჯერ თელავის „კახეთში“, შემდეგ თბილისის „მერანში“ ირჯებოდა, ახლა კი მესამე გუნდის თავკაცად წარსდგება.

აქამდე უპირატესობა ჭეიშვილის მხარეს იყო. მახარაძემ მხოლოდ ერთხელ დეჯებნა მეტოქე, ორჯერ ფრეს მიაღწია და სამ შეხვედრაში მარცხის სიმწარე იგემა. „ლოკომოტივის“ თავკაცს თანაფარდობის გაუმჯობესება შეუძლია, მაგრამ თავის მხრივ ჭეიშვილიც შედეგის გაუმჯობესებაზე ფიქრობს.

დაბოლოს, ვის რა კოზირი უპყრია ხელთ? „ბათუმს“ საკუთარი კედლების ფაქტორი აგულიანებს, სტუმრებს კი, გამარჯვების შემთხვევაში ჯერაც არნახული პრემიები ელითო, ამბობენ „ლოკომოტივთან“ დაახლოებული პირები.

„ბათუმს“ ინერტულობა და „გადაბერებული“ შემადგენლობა დაღუპავს. გამოცდილება კარგია და მეტად სასარგებლოც, მაგრამ ახალგაზრდული ჟინი და სისწრაფეც ხომ აუცილებელია.

„ლოკომოტივს“ თავდასხმა — ნახევარდაცვაში დაულაგებელი თამაში უმტყუნებს. სხვა თუ არაფერი, მოსაგებად გოლის გატანაა საჭირო. რკინიგზელები შედეგის მიღწევას მხოლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმით თუ აზერხებენ.

და მაინც, დაესწარით „ბათუმი“ — „ლოკომოტივის“ მეოთხედფინალურ თამაშს, დიდებული სანახაობა გელით.

**მამუკა კვანტალიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

20 თებერვალს გოლი არც ასეთ არეულობაში გასულა. რა იქნება ხვალ?

# არწივი, ბაშირუ სალუს ტოგოდან

ცოტაც და აფრიკელი ფეხბურთელის ოფიციალური ნათლობა მოხდება საქართველოს ჩემპიონატში.

ნიგერიელი უჩ უვაკვე ზღვისპირა აჭარაში რომ კარგა ხანია, იმყოფება, ამის შესახებ „სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის. აფრიკელი „ბათუმში“ კი ვარჯიშობს, მაგრამ მისი გუნდის განაცხადში შეყვანა აქამდე ვერ ხერხდებოდა.

უვაკვესთვის „ბათუმი“ მეორე გუნდი იქნება, სადაც იგი ლეგიონერის სტატუსით ითამაშებს. 19 წლის ფეხბურთელი აქამდე მეორე აფრიკულ ქვეყანა ტოგოში ბურთაობდა, მისი ყოფილი გუნდი კი „ეტოლე ფილანდი“ გახლდათ. რატომ ვერ შეიყვანეს აქამდე უვაკვე განაცხადში? ახლავე მოგახსენებთ.

„ეტოლე ფილანდი“ თურმე თანახმა ყოფილა გუნდიდან მის უპრობლემოდ გათავისუფლებაზე, უვაკვესთვის ამის დამადასტურებელი ფურცელიც კი მიუცია, მაგრამ საქმეში თავად ტოგოს ფეხბურთის ფედერაცია ჩარეულა. ბუნებრივია, ასეც უნდა მომხდარიყო. ჰოდა, ტოგოს ფეხბურთის მამებს გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი უნდა გამოეგზავნათ. თავად ბათუმელებს იმედი აქვთ, რომ ტრანსფერის საკითხი დადებითად გადაწყდება და ნიგერიელსაც მიეცემა „ბათუმში“ თამაშის შანსი.

ალბათ, გახსოვთ, აფრიკელმა ზანგმა აქამდეც გამოთქვა ჩვენს ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი კიდევ ერთმა ნიგერიელმა ბარი სალამმა, შემდეგ უკვე გივიდ მონათლულმა, სამტრედიას მიაშურა, მაგრამ მას ფეხბურთელობისა არა ეცხო. ამბობენ, იგი რომელიღაც ბენზინგასამართ სადგურში მუშაობსო.

„ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ ჩვენთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, უვაკვეს გუნდის ძირითადში დაყენება, რა თქმა უნდა, მწვრთნელის კომპეტენციაა, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ მას განაცხადში „ლოკომოტივთან“ სათასო მატჩისთვის შევიყვანთო.

ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო.

ცნობისათვის მკითხველს რომ უკეთესი წარმოდგენა შეექმნას თუ რა ქვეყანაა ტოგო, ვეტყვით, რომ გერმანული ბუნდესლიგის დორტმუნდის „ბორუსიაში“ მობურთალი ცნობილი ზანგი თავდამსხმელი ბაშირუ სალუ სწორედ ტოგოდან გახლავთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სიფრთხილეს თავი არ სტკივაო...

ყოფილი მერანელი და უფულო „გურიას“ სახადმოხდილი დავით ჩიგოშვილი ამჟამად უგუნდოდაა და ახალი კლუბის მოლოდინში ინდივიდუალურად ემზადება. ჩიგოშვილი ვაკეში „26 მაისის“ სტადიონზე ეწევა ჭაპანს და როგორც თვითონ გვითხრა, მიუხედავად არაერთი ქართული მიწვევისა, ჯერჯერობით არავისთვის მიუცია გადაჭრილი პასუხი.

ყოველივე ამის მიზეზი კი სიფრთხილეა — ბავშვი აღარა ვარ, ენთუზიაზმით ვითამაშო და შემოსავალზე არ ვიფიქრო. არის ხალხი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება საზღვარგ[illegible]ის რომელიმე გუნდში მოვხვდე. არა აქვს მნიშვნელობა, სად და რომ[illegible] ლიგაში, მთავარია, აქაურობას თავი დავაღწიო.

ასეა, ფინანსურმა სიდუხჭირემ და წარსულის მწარე გამოცდილებამ სიფრთხილეს მიაჩვია ქართველი ფეხბურთელები. ამიტომ თუ უჯობთ უცხოეთის შედარებით დაბალ რიგებში გარჯა ჩვენებურ პირველ ჯგუფში გამოსვლას.

ისე ჩიგოშვილს მიწვევა ახალი „კახური ოცნების გუნდიდან“ — ძველი ანაგის „ღარწყალიდანაც“ ჰქონია და თუ ფინანსურმა პირობებმა და იქაურმა ამბიციებმა დამაკმაყოფილეს, ეგებ წავიდე კიდეცო — ასე დაასრულა „სარბიელთან“ საუბარი დავით ჩიგოშვილმა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ლექტორი არ შეიცვლება

ჭორები დადის, თბილისის თსუ-ს მწვრთნელ ოთარ გაბელიას თანამდებობიდან მოხსნას უპირებენო. მიზეზად გუნდის მიერ ნაჩვენებ არასახარბიელო შედეგებს ასახელებენ. მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში სტუდენტები ბოლოსწინა საფეხურზე არიან. ისინი მხოლოდ ლანჩხუთის „გურიას“ უსწრებენ.

თსუ უკანასკნელ, მეჩვიდმეტე ტურში სწორედ „გურიას“ შეხვდა „შევარდენის“ სტადიონზე და ყოვლად უფერულ და ულიმღამო მატჩში დაუზავდა. ალბათ, სწორედ ამიტომ გაჩნდა ზემოთქმულის საბაბი. იმასაც ამბობენ, გუნდის თამაშით თავად მეპატრონე, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი ყოფილა უკამაყოფილოო.

ჭორი ჭორად და ვინაიდან თავად ბატონ რექტორთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, ამბის დასაზუსტებლად საფეხბურთო კლუბ თსუ-ს პრეზიდენტ ალეკო ბუკიას შევეხმიანეთ, რომელმაც კატეგორიულად უარყო ყოველივე:

— არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ხმები, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ — ოთარ გაბელია გუნდშია და მის შესაძლო გათავისუფლებაზე ლაპარაკი სრულიად აბსურდულია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გაბელია კვლავინდებურად თსუ-ს მწვრთნელია.

ასე რომ, სტუდენტებს ლექორი მაისის ბოლომდე, ანუ ჩემპიონატის გასრულებამდე ნამდვილად არ შეეცვლებათ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სფფ მკაცრად აფრთხილებს

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს რომ ნაკლი აქვს და არაერთიც, ამაზე ბჭობა შორს წაგვიყვანს. უამრავი დარღვევა თუ ელემენტალური პირობების დაუცველობა, სწორედაც რომ ვერ მატებს ელფერს ულიმღამო შიდაქართულ ბურთაობას.

მეათე ეროვნულშიც მრავლად დაფიქსირდა ნაკლი და უხერხულობა, თუნდაც წინა ტურში მომხდარი შემთხვევა რად ღირს — როცა ელემენტალური გაუმართაობის გამო ტურის ერთ-ერთი შეხვედრა კარგა დროის დაგვიანებით დაიწყო.

ჰოდა, სფფ-მაც ხელი გამოილო — უკვე ფედერაციის ყველა სუბიექტს, საფეხბურთო კლუბებს, სტადიონების ადმინისტრაციას მიეთითათ და ებრძანათ დროზე მოიყვანონ წესრიგში ყოველივე ის, რაც კი ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ნორმალურად გასამართავად არის საჭირო, თორემ...

თორემ სფფ ურჩებს დასჯის. მე შენ გეტყვი და სანქციები აქვს ერთფეროვანი — ესაო და ფულადი ჯარიმაო, სტადიონის დისკვალიფიკაციაო, საერთოდ, თამაშების აკრძალვაო.

სწორედ ამისთანები და ამისუარესები დაატყდებათ თავს უგულისყუროებს და ყურადღებაგფანტულთ, თუ გაფრთხილებას არ გაითავისებენ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**





ვიდრე ჯემალ მახარაშვილის მემკვიდრე გამოჩნდება, ვიტელებს ვიქტორ კანევსკი და სერგო კოტრიკაძე გაწვრთნიან

# მახარაშვილს და ჭყონიას, ყისმათი არა ჰქონიათ

საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე, მართალია, სულ ორი ტურია, დაიწყო, მაგრამ ეს დროც საკმარისი გამოდგა, რომ არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო მთავარი მწვრთნელი გაეთავისუფლებინათ. თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი ჯემალ მახარაშვილი დაითხოვეს. ეს ფაქტი გუშინ თავად კლუბშიც დაგვიდასტურეს.

ჯემალ მახარაშვილი „ვიტ ჯორჯიას“ შარშანდელი სექტემბრის ბოლოს ჩაუდგა სათავეში. მისი დებიუტი მერვე ტურში წყალტუბოს „სამგურალთან“ გასვლით მატჩში შედგა და წარმატებულიც გამოვიდა. მაშინ ვიტელებმა სტუმრად 3:1 სძლიეს მეტოქეს. საბოლოოდ პირველი წრე გუნდმა მეცამეტე ადგილზე დაასრულა, რაშიც გარკვეული წვლილი ფეხბურთის ფედერაციამაც შეიტანა — „მერანთან“ მატჩში თანამსაჯის შეურაცხყოფის გამო „ვიტ ჯორჯიას“ სამი ქულა დააკლეს.

წრეებს შორის შესვენებისას გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ვიტელთა პრეზიდენტი გურამ რუხაძე უცხოურ ფირმებს დაუკავშირდა და „ვიტ ჯორჯიას“ სამი საკმაოდ ძლიერი სპონსორიც გამოუძებნა. ფინანსურად წელში გამართვას ტექნიკური ბაზის გაძლიერებაც მოჰყვა. კლუბმა მცხეთის „არმაზის“ სტადიონი დაისაკუთრა. გარდა ამისა, შეიძინა რვა ახალი ფეხბურთელი, კონსულტანტად მოიწვია, უკრაინელი სპეციალისტი ვიქტორ კანევსკი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველ გიორგი ჭანკოტაძესაც მოეხსნა დისკვალიფიკაცია. ერთი სიტყვით, შეიქმნა ყველა პირობა, რომ მეორე წრისთვის გუნდი კარგად მომზადებულიყო. ასეთ პირობებს კი შესაბამისი მიზანიც მოჰყვა. ხელმძღვანელობამ ექვსეული და თასის მოგება დაუსახა გუნდს, მაგრამ განახლდა სეზონი და...

წყალტუბოს „სამგურალს“ იმის ნახევარი პირობებიც არ ჰქონია, რაც „ვიტ ჯორჯიას“, საქართველოს თასის ნახევარფინალში კი მაინც წყალტუბოელები გავიდნენ. მცხეთაში პირველი მატჩის შემდეგ, რომელიც ვიტელებმა 2:0 მოიგეს, სპეციალისტთა უმეტესობა ამ მეოთხედფინალური წყვილის ბედს გადაწყვეტილადაც თვლიდა, მით უმეტეს, წყატუბოელებსაც არ ჰქონდათ ნახევარფინალში გასვლა მიზნად, მაგრამ სრულიად მოულოდნელად საპასუხო მატჩში „სამგურალმა“ ორი გოლი გაიტანა და საქმე პენალტების სერიამდე მიიყვანა. იქ კი 4:2 იმარჯვა და „ვიტ ჯორჯია“ თასისთვის ბრძოლას გამოთიშა.

ვიტელებს არც ჩემპიონატში წაუვიდათ საქმე კარგად. მე-16 და მე-17 ტურის მატჩები გუნდმა საკუთარ მინდორზე გამართა. ჯერ „ბათუმს“ უმასპინძლა, შემდეგ „არსენალს“ და ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით — 0:0 დაასრულა. ქულების დაკარგვაზე უფრო თვალშისაცემი გუნდის უსახური თამაში გახლდათ. ფაქტობრივად, ბოლო სამ მატჩში ვიტელებმა ერთხელაც ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა. გუნდი ამჟამად ისევ მეცამეტე ადგილზეა. ბოლო ადგილზე მყოფ „გურიას“ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს და ბუნებრივია, გავარდნაც რეალურად ემუქრება.

კლუბის ხელმძღვანელობას კი, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ერთადერთი გამოსავალი მწვრთნელების შეცვლაა. მახარაშვილთან ერთად გუნდი დატოვა მეორე მწვრთნელმა გია ჭყონიამაც. მათ მოვალეობას დროებით აშშ-დან კონსულტანტად მოწვეული ვიქტორ კანევსკი და მეკარეთა მწვრთნელი (ამავე დროს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი) სერგო კოტრიკაძე შეასრულებენ. ეს მანამდე მოხდება, ვიდრე გუნდის უფროსობა შესაფერის თავკაცს იპოვის.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ მახარაშვილის წინამორბედი, ამჟამად ბოლნისის „სიონის“ მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე პირველ წრეში მეშვიდე ტურის შემდეგ ასევე ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

**ვანო ოქროპირიძე**

# უდისციპლინოებო, სწორდით!



ჯონი შალამბერიძე ენას კბილს ვერ აჭერსო

ხვალ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიის სააქტო დარბაზში, 13 საათზე, სადისციპლინო ტექნიკური კომისიის სხდომა ჩატარდება. მისი ამ შენობაში გამართვის ინიციატორი, ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით, აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილი ყოფილა. ეროვნული ჩემპიონატი ახალი განახლებულია და სხდომაზე სწორედ ამ ორ ტურში მომხდარ უდისციპლინობის ფაქტებს განიხილავენ.

სხდომის დღის წესრიგი ჯერ არ შეუდგენიათ, მაგრამ ერთი ცნობილია — სადისციპლინო კომისიის მსჯელობის მთავარი საგანი მე-16 ტურში, 28 თებერვალს „ლოკომოტივისა“ და „კოლხეთის“ მატჩისას მომხდარი გახმაურებული ინციდენტი გახდება.

ამ შეხვედრის 67-ე წუთზე თანამსაჯმა პაატა დოგრაშვილმა რკინიგზელთა ერთ-ერთი შეტევისას თამაშგარეს მანიშნებელი ალამი ასწია, არბიტრს, ავთანდილ შალამბერიძეს, არ დაელოდა და მალევე ჩამოუშვა. შალამბერიძემ ფოთელთა კარში პენალტი დანიშნა და...

ყოველივე ამის გამო პაატა დოგრაშვილს ერთი თვით აეკრძალა მსაჯობა პირველ ჯგუფში, ამის შესახებ „სარბიელის“ მკითხველთ ვაუწყეთ კიდეც. სადისციპლინო კომისიის სხდომაზე კი „კოლხეთის“ ფეხბურთელის, ჯონი შალამბერიძის საკითხს განიხილავენ. ფოთელთა სამართლიანი უკმაყოფილებისას ამ შეხვედრის ინსპექტორს, შოთა ხინჩაგაშვილს ფეხბურთელ შალამბერიძის საქციელი არ მოსვლია თვალში, რის გამოც მან მოთამაშის ბარათიც მოითხოვა, რომელიც ახლაც ხინჩაგაშვილთან იმყოფება. ბუნებრივია, სწორედ ამის გამო გამოტოვა ჯონი შალამბერიძემ მეჩვიდმეტე ტურის პრინციპული მატჩი ქუთაისის „ტორპედოსთან“.

რა დაინახეს ფედერაციის წარმომადგენლებმა შალამბერიძის საქციელში, ვერ გეტყვით. ამბობენ, არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც შესაძლოა ერთწლიანი დისკვალიფიკაციაც არ ასცდესო. ყოველივე ხვალინდელ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე გაირკვევა. ერთი კია, თუკი ჯონი შალამბერიძეს ზემოთქმული საქციელი დაუმტკიცდა, თავად ფეხბურთელი და მისი კლუბი ფოთის „კოლხეთი“ ძლიერ დაზარალდებიან.

**გიორგი ვაშაკიძე**

## ინგლისი

XXVIII ტური

### ქოვენთრი 2:1 ჩარლტონი

0:1 რობინსონი (55), 1:1 ვილანი (67), 2:1 სოლტვედტი (85)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, შოუ, უილიამსი, ბაროუზი, ვილანი, ტელფერი, მაკალისტერი, ფროგატი, ჰაკერბი (სოლტვედტი 75), ალოიზი
ჩარლტონი: როისი, მილსი, ბრაუნი, ტილერი, პაუელი, კინსელა, რედფირნი (ბარნსი 63), რობინსონი (ბარნესი 69), ჯონსი, ჰანტი (მორტიმერი 79), პრინგლი
გაფრთხილება: ჰედმანი, ვილანი, რედფირნი
გაძევება: ალოიზი (57)
მსაჯი: ვინტერი

### საუთჰემპტონი 1:0 ვესტ ჰემი

1:0 კეჩლოული (10)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, კოლეტერი, მერსდენი, ლუნდეკვამი, ბენალი, ლე ტისიე (რიპლი 84), ოუკლი, მ. ჰიუზი, ბიტი, კეჩლოული
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, ფერდინანდი, პირსი, ფოე (კიტსონი 71), ლამპარდი, ბერკოვიჩი, კელერი, ლომასი, დი კანიო, სინკლერი
მსაჯი: გალაჰერი

### უიმბლდონი 0:1 ლესტერი

0:1 გაპი (6)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი, პერი, თეთჩერი, ერლი, ეკოკუ (პართსონი 57), რობერტსი, გეილი, მ. ჰიუზი (კ. ჰიუზი 76), იუელი
ლესტერი: კელერი (არფექსედი 46), ტაგარტი, უოლში, იზეტი, ლენონი, გაპი, სევიჯი, კამარკი, ელიოტი, მარშალი, კოტი
გაფრთხილება: კ. ჰიუზი
მსაჯი: ჰარისი

## თასის მეოთხედფინალი

### ნიუკასლი 4:1 ევერტონი

1:0 ქეცბაია (21), 1:1 ანსუორსი (57), 2:1 გეორგიადისი (61), 3:1 ქეცბაია (73), 4:1 შირერი (81)
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, დომი, ჰოუი, დაბიზასი, ლი, მარიჩი (გეორგიადისი 54), ჰამანი, სოლანო, შირერი, ქეცბაია
ევერტონი: მირე, მატერაცი, უეირი, უოტსონი, ანსუორსი, ბარმბი, ჰაჩისონი, გრანტი, ოკეინი, კადამარტერი (ოსტერი 73), ჯეფერსი (ბაკაიოკო 73)
გაფრთხილება: ბარტონი, დაბიზასი, ჰაჩისონი
მსაჯი: ბარბერი

### მანჩესტერი 0:0 ჩელსი

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ბერგი, ბრაუნი, ირვინი, ბექემი, კინი, ფ. ნევილი (იორკი 73), ბლომკვისტი (კოული 82), სქოულზი, სოლსკიაერი (შერინგემი 82)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ლამბურდი, ლე სო, პეტრესკუ (ნიუტონი 45), დი მატეო, მორისი, გოლდბეკი, ფლო (ფორსელი 60), ძოლა (მაიერსი 80)
გაფრთხილება: კინი, სქოულზი, ფ. ნევილი, დესაი, დი მატეო
გაძევება: დი მატეო (45), სქოულზი (86)
მსაჯი: დარკინი

### არსენალი 1:0 დერბი

1:0 კანუ (89)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ, ლიუნგბერგი (კანუ 67), ჰიუზი (ვივასი 46), ოვერმარსი (დიავარა 77), ბერხკამპი, ანელკა
დერბი: ჰოულტი, ლაურსენი, შტიმაცი, პრაიორი, შნური (ჰანტი 86), პაუელი, კერსლი, ბარტონი, ერანიო, ვანჩოპე, სტარიჯი
გაფრთხილება: ვინტერბერნი, ანელკა, პარლოუ, ვივასი, პაუელი, ერანიო, ლაურსენი, სტარიჯი, შნური
გაძევება: სტარიჯი (89)
მსაჯი: დანი

### ბარნსლი — ტოტენჰემი

გადაიდო დიდთოვლობის გამო. გაიმართება 16 მარტს.

ნახევარფინალის კენჭისყრა

ნიუკასლი — ბარნსლი ან ტოტენჰემი;
მანჩესტერი ან ჩელსი — არსენალი
მატჩები 11 აპრილს გაიმართება.

# თემური და მისი რაზმი

პრემიერლიგაში მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა და სამივე უინტერესო. ერთმანეთს ცხრილის შუაგულში და ბოლოში მყოფი გუნდები შეხვდნენ, თამაშის ხარისხი დაბალი იყო, ინტრიგაც — ნალები, ამიტომ ყურადღებას ასოციაციის თასის მეოთხედფინალზე გავამახვილებთ, მით უმეტეს, რომ აქ ბევრი საინტერესო რამ მოხდა.

ოქმიდან უკვე შეიტყობდით თემურ ქეცბაიას კარგი თამაშის ამბავს, თუმცა სანამ „ნიუკასლისა" და „ევერტონის" მატჩზე ვრცლად ვისაუბრებდეთ, კიდევ ერთ სასიამოვნო ინფორმაციას მოგაწვდით — პოპულარულმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" ქეცბაია თებერვლის მსოფლიოს სარეზერვო სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

ახლა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" გადავინაცვლოთ, სადაც ამ ტურნირის შარშანდელი ფინალისტი ლივერპულის „ევერტონს" მასპინძლობდა. ჩემპიონატში ეს კლუბები ერთმანეთისგან არცთუ შორს იმყოფებიან, „ნიუკასლი" მე-12 ადგილზეა, „ევერტონი" კი საზიფათო ზონაში, მე-16-ზე. ამიტომ გულშემატკივრები დაძაბულ მატჩს ელოდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯორდების შეჩერება იმ დღეს უბრალოდ შეუძლებელი იყო და ამაში მთავარი „დანაშავე" სწორედ ქართველი ნახევარმცველი გახლდათ.



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — ევერტონი 4:1. თემურ ქეცბაიას დარტყმულ ბურთს სტუმართა იტალიელი ლეგიონერი მარკო მატერაცი გადაეღობა

ჩვენებურის და საერთოდ შეხვედრის პირველი გოლი 21-ე წუთზე გავიდა, ქეცბაიას დარტყმული ბურთი მეტოქის მცველს მოხვდა, ისევ თემურთან დაბრუნდა, განმეორდა იგივე კომბინაცია — ქართველმა კიდევ ერთხელ დაარტყა, ბურთი ისევ იმ ფეხბურთელს მოხვდა და ასე აღმოჩნდა ტომას მირეს კარის ბადეში.

მეორე ტაიმის დასაწყისში დევიდ ანსუორსმა გაქვითა, მაგრამ სულ ეს იყო, რაც დაუძლურებულმა „ევერტონმა" მოახერხა, დარჩენილ დროში მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი ბატონობდა — „ნიუკასლ იუნაიტედი".

მასპინძლები ექსპანათინაიკოსელმა ბერძენმა გეორგ გეორგიადისმა გერმანელი დიტმარ ჰამანის მოწოდებული საჯარიმოს შემდეგ დააწინაურა და ყველა, მათ შორის სტადიონზე მისული 36 ათასი ქომაგი მიხვდა — გულიტის ბიჭები „ევერტონთან" აღარ წააგებდნენ. ასეც მოხდა, მეტიც, ლივერპულელებმა დიდი ანგარიშით წააგეს და, როგორც უკვე ვთქვით, ამაში ლომის წილი მატჩში უდავოდ საუკეთესო ქეცბაიამ დაიდო.

ჯერ იყო და ალან შირერთან სწრაფი კედელი გაითამაშა და საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაარტყა — 3:1. მერე კი ეს ორი ფეხბურთელი პირისპირ აღმოჩნდა მირესთან, ბურთი ქართველს ჰქონდა და თავისუფლად შეეძლო ჰეთ-თრიქის შესრულებაც, მაგრამ არ „ილორა" და კაპიტანს გაატანინა.

— ჩემი შეგირდები ხანდახან ვერც კი აცნობიერებენ, რამდენად კარგები არიან მოედანზე. მე კი ყველაფერს კარგად ვხედავ და დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ „ნიუკასლი" იღვიძებს — გულიტს ქეცბაია არ უხსენებია, მაგრამ ამ საქებარი სიტყვების დიდი ნაწილი, ალბათ, მისდამი იყო განკუთვნილი. თუმცა მთავარი ეს არ არის, მთავარია, „ნიუკასლი" კვლავაც განაგრძობს სვლას „უემბლის" სანუკვარი მატჩისკენ, სადაც დიდი შანსია, ისევე როგორც შარშან, ლონდონის „არსენალს" შეხვდეს.

ჩემპიონმა „ჰაიბერიზე" „დერბი ქაუნთის" უმასპინძლა და დიდი გაჭირვებით მოუგო. ერთადერთი, გადამწყვეტი ბურთი ცოტა ხნის წინ სკანდალში გახვეულმა (მერვედფინალში „შეფილდ იუნაიტედის" კარში უსამართლოდ გატანილ გოლს ვგულისხმობთ) ნიგერიელმა ნვანკვო კანუმ 89-ე წუთზე შეაგდო და „არსენალის" მრავლისმნახველი მენეჯერის არსენ ვენგერის ქება-დიდებაც დაიმსახურა.

— კანუ დიდი ფეხბურთელია. ამას ყოველთვის ვამბობდი, მაგრამ ჩემი ნაკლებად სჯეროდათ. იგი ბურთს იდეალურად, უპრობლემოდ ფლობს, არასდროს კარგავს მას და ძალიან ძნელია იმის განჭვრეტა, თუ რას მოიმოქმედებს ერთი წამის შემდეგ. ეს კი მხოლოდ უმაღლესი დონის მოთამაშეებს ძალუძთ.

ლონდონელებს „დერბისთან" სამი ფრანგი ნახევარმცველი აკლდათ — ემანუელ პეტის და რემი გარდეს ტრავმები აწუხებთ, პატრიკ ვიეირას დისკვალიფიკაცია ჰქონდა და ასე, ალბათ, ამიტომაც გაუჭირდათ. მიუხედავად ამისა, მათ გოლის გატანა კანუს შეცვლაზე შესვლამდეც შეეძლოთ — ბოლო ხანებში ბრწყინვალედ მოთამაშე ფრანგმა ჭაბუკმა ნიკოლა ანელკამ ბურთი ძელს გაარტყა, ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსი კი სულაც სამჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ სამჯერვე მისთვის არასაკადრისად მოიქცა. საერთოდ, „არსენალის" ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის კარისკენ 21-ჯერ დაარტყეს.

„დერბის" წარმატების მიღწევა პირველ ტაიმში შეეძლო, რაც აღნიშნა კიდეც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გუნდის თავკაცმა ჯიმ სმიტმა.

— უპატიებელი მარცხი ვიწვნიეთ, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ყველაზე მეტად ამაში ჩვენ ვართ დამნაშავენი. განა შეიძლება იმდენი შანსის ხელიდან გაშვება, რამდენიც პირველ 45 წუთში გვქონდა? რა თქმა უნდა, არა. დავისაჯეთ კიდეც.

აშკარად ვერ გაამართლა გაცემული ავანსები შეხვედრამ, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართა და რომელშიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ინტერის" ლამაზად მომგები, პრემიერლიგის ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი" თასთა თასის იმავე ეტაპზე ნორვეგიული „ვალერენგას" გამნადგურებელ, პრემიერლიგაში მეორე „ჩელსის" მასპინძლობდა. ერთადერთი, რითაც გიგანტების მატჩი გამოირჩეოდა, უხეშობა გახლდათ — თბილისში ნამყოფმა („დინამო" — „ლევერკუზენის" მთავარ მსაჯად) პოლ დარკინმა ყვითლებიც ბლომად „არიგა" და წითლებიც — ჯერ სტუმარი, იტალიელი ნახევარმცველი რობერტო დი მატეო გააძევა, ხოლო შემდეგ მის გზას მანჩესტერელი პოლ სქოულზი გაუყენა. ტაბლოზე კი დასაწყისში ანთებული ორი ნოლიანი ხელუხლებელი დარჩა. ასე რომ, ფერგიუსონს და ვიალის კვლავ მოუწევთ შერკინება, ამჯერად ლონდონურ „სტემფორდ ბრიჯზე" 10 მარტს.

დაბოლოს, „ნიუკასლის" ნახევარფინალური მეტოქე 16 მარტს გაირკვევა, ვინაიდან პირველდივიზიონელი „ბარნსლის" და „ტოტენჰემის" მატჩი გადაიდო. მიზეზი — უქმეებზე ბარნსლის მაგრად ათოვდა.

**დავით კოვზირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 28 | 16 | 9 | 3 | 63:29 | +34 | 57 | 15 | 10 | 4 | 1 | 35:15 | +20 | 34 | 13 | 6 | 5 | 2 | 28:14 | +14 | 23 |
| 2 | ჩელსი | 27 | 14 | 11 | 2 | 41:22 | +19 | 53 | 14 | 9 | 5 | 0 | 21:8 | +13 | 32 | 13 | 5 | 6 | 2 | 20:14 | +6 | 21 |
| 3 | არსენალი | 27 | 13 | 11 | 3 | 35:13 | +22 | 50 | 13 | 8 | 5 | 0 | 21:4 | +17 | 29 | 14 | 5 | 6 | 3 | 14:9 | +5 | 21 |
| 4 | ლიდსი | 27 | 12 | 9 | 6 | 41:26 | +15 | 45 | 13 | 8 | 3 | 2 | 21:6 | +15 | 27 | 14 | 4 | 6 | 4 | 20:20 | 0 | 18 |
| 5 | ასტონ ვილა | 27 | 12 | 8 | 7 | 38:31 | +7 | 44 | 14 | 8 | 2 | 4 | 25:21 | +4 | 26 | 13 | 4 | 6 | 3 | 13:10 | +3 | 18 |
| 6 | უიმბლდონი | 28 | 10 | 10 | 8 | 32:38 | -6 | 40 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:12 | +6 | 26 | 14 | 3 | 5 | 6 | 14:26 | -12 | 14 |
| 7 | ვესტ ჰემი | 28 | 11 | 7 | 10 | 31:39 | -8 | 40 | 14 | 8 | 3 | 3 | 20:19 | +1 | 27 | 14 | 3 | 4 | 7 | 11:20 | -9 | 13 |
| 8 | ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 50:34 | +16 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 33:16 | +17 | 25 | 14 | 4 | 2 | 8 | 17:18 | -1 | 14 |
| 9 | დერბი | 27 | 9 | 11 | 7 | 26:25 | +1 | 38 | 13 | 5 | 5 | 3 | 13:12 | +1 | 20 | 14 | 4 | 6 | 4 | 13:13 | 0 | 18 |
| 10 | ტოტენჰემი | 27 | 8 | 12 | 7 | 33:32 | +2 | 36 | 14 | 6 | 6 | 2 | 23:17 | +6 | 24 | 13 | 2 | 6 | 5 | 10:15 | -5 | 12 |
| 11 | შეფილდი | 27 | 10 | 5 | 12 | 35:27 | +8 | 35 | 14 | 6 | 3 | 5 | 17:10 | +7 | 21 | 13 | 4 | 2 | 7 | 18:17 | +1 | 14 |
| 12 | ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 35:36 | -1 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 21:17 | +4 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 14:19 | -5 | 11 |
| 13 | მიდლსბრო | 27 | 7 | 12 | 8 | 34:39 | -5 | 33 | 13 | 4 | 8 | 1 | 16:10 | +6 | 20 | 14 | 3 | 4 | 7 | 18:29 | -11 | 13 |
| 14 | ლესტერი | 27 | 8 | 9 | 10 | 27:36 | -9 | 33 | 13 | 5 | 3 | 5 | 18:20 | -2 | 18 | 14 | 3 | 6 | 5 | 9:16 | -7 | 15 |
| 15 | ქოვენთრი | 28 | 8 | 6 | 14 | 30:39 | -9 | 30 | 14 | 6 | 4 | 4 | 19:15 | +4 | 22 | 14 | 2 | 2 | 10 | 11:24 | -13 | 8 |
| 16 | ევერტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 20:29 | -9 | 28 | 14 | 3 | 8 | 3 | 9:7 | +2 | 17 | 13 | 3 | 2 | 8 | 11:22 | -11 | 11 |
| 17 | ჩარლტონი | 28 | 6 | 9 | 13 | 32:39 | -7 | 27 | 14 | 4 | 5 | 5 | 18:13 | +5 | 17 | 14 | 2 | 4 | 8 | 14:26 | -12 | 10 |
| 18 | ბლექბერნი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:38 | -11 | 26 | 13 | 5 | 3 | 5 | 15:16 | -1 | 18 | 14 | 1 | 5 | 8 | 12:22 | -10 | 8 |
| 19 | საუთჰემპტონი | 28 | 7 | 5 | 16 | 27:53 | -26 | 26 | 14 | 6 | 2 | 6 | 21:22 | -1 | 20 | 14 | 1 | 3 | 10 | 6:31 | -25 | 6 |
| 20 | ნოტინგემი | 27 | 3 | 8 | 16 | 22:54 | -32 | 17 | 13 | 1 | 6 | 6 | 11:24 | -13 | 9 | 14 | 2 | 2 | 10 | 11:30 | -19 | 8 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| ოუენი (ლივერპული) | 16 |

### XXIX ტური

13 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ჩელსი | - | ვესტ ჰემი (1:1) |
| ქოვენთრი | - | ბლექბერნი (2:1) |
| დერბი | - | ლივერპული (2:1) |
| ევერტონი | - | არსენალი (0:1) |
| ლესტერი | - | ჩარლტონი (0:0) |
| მიდლსბრო | - | საუთჰემპტონი (3:3) |
| ნიუკასლი | - | მანჩესტერი (0:0) |
| შეფილდი | - | ლიდსი (1:2) |
| ტოტენჰემი | - | ასტონ ვილა (2:3) |
| უიმბლდონი | - | ნოტინგემი (1:0) |

## პირველი დივიზიონი

XXXIV ტური

### ბირმინგემი 4:1 პორტსმუთი

0:1 უაიტინგემი (4), 1:1 ადებოლა (27), 2:1 ფორსტერი (50), 3:1 ადებოლა (60), 4:1 ჰიუზი (84)

### ბერი 0:0 კრ. პალასი

### ჰადერსფილდი 3:0 სტოკპორტი

1:0, 2:0 სტიუარტი (64პ, 68), 3:0 ჯენკინსი (72)

### იფსვიჩი 1:0 ტრანმერი

1:0 ტეტისი (78)

### ქუინზ პარკი 0:1 ვულვზი

0:1 სეჯლი (84)

### შეფილდ იუნ. 3:0 უოტფორდი

1:0 დევლინი (38), 2:0 მორისი (44), 3:0 ჰემილტონი (50)

### სანდერლენდი 1:0 ნორვიჩი

1:0 ფილიპსი (7)

### სვინდონი 3:3 ბოლტონი

1:0 ჰოუი (17), 2:0 ჰეი (48), 2:1 ფიში (60), 3:1 უოლტერსი (68), 3:2 იენსენი (70), 3:3 გუდიონსონი (77)

### ვესტ ბრომვიჩი 2:0 ოქსფორდი

1:0 ქუინი (38), 2:0 მარესკა (78)

### ქრიუ — გრიმსბი

### პორტ ვეილი — ბრედფორდი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 35 | 22 | 10 | 3 | 68:22 | 76 |
| იფსვიჩი | 35 | 20 | 7 | 8 | 48:22 | 67 |
| ბრედფორდი | 34 | 19 | 7 | 8 | 59:34 | 64 |
| ბირმინგემი | 35 | 17 | 10 | 8 | 53:30 | 61 |
| ბოლტონი | 34 | 16 | 12 | 6 | 62:43 | 60 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 15 | 8 | 13 | 61:54 | 53 |
| უოტფორდი | 36 | 14 | 11 | 11 | 51:50 | 53 |
| ჰადერსფილდი | 35 | 14 | 10 | 11 | 51:54 | 52 |
| ვულვზი | 34 | 14 | 10 | 10 | 47:35 | 52 |
| შეფილდ იუნ. | 34 | 13 | 11 | 10 | 54:51 | 50 |
| გრიმსბი | 32 | 14 | 7 | 11 | 34:34 | 49 |
| ნორვიჩი | 34 | 12 | 12 | 10 | 46:43 | 48 |
| ტრანმერი | 35 | 10 | 15 | 10 | 48:47 | 45 |
| კრ. პალასი | 35 | 10 | 12 | 13 | 45:55 | 42 |
| სვინდონი | 35 | 10 | 10 | 15 | 49:59 | 40 |
| სტოკპორტი | 35 | 9 | 13 | 13 | 40:45 | 40 |
| ბარნსლი | 34 | 9 | 13 | 12 | 39:40 | 40 |
| პორტსმუთი | 35 | 9 | 11 | 15 | 47:56 | 38 |
| ქუინზ პარკი | 35 | 9 | 10 | 16 | 36:45 | 37 |
| ოქსფორდი | 35 | 8 | 9 | 18 | 34:57 | 33 |
| ბერი | 34 | 7 | 11 | 16 | 28:50 | 32 |
| პორტ ვეილი | 33 | 9 | 4 | 20 | 33:60 | 31 |
| ბრისტოლი | 33 | 5 | 13 | 15 | 42:61 | 28 |
| ქრიუ | 33 | 6 | 8 | 19 | 38:66 | 26 |


თასების მფლობელთა თასი
პირველიდან უკანასკნელ გათამაშებამდე
13 მარტიდან
ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის სარბიელ-ში
UEFA Cup Winners' Cup
სრული ისტორია

# გერმანია

XXI ტური

### ბაიერნი 2:0 ფრაიბურგი

1:0 შვინკენდორფი (30ს.კ.), 2:0 დაეი (79)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ჰელმერი, კუფური, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ტარნატი, ეფენბერგი, ციკლერი (შოლი 74), დაეი, ელბერი (ბასლერი 68)
ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, ჰერმელი (შ. მიულერი 75), შვინკენდორფი, კოლი, გიუნეში (რიტპიჩი 85), ვაისჰაუპტი, პავლინი, კობიაშვილი, ბენ სლიმანი, სელიმი (ჰამპლი 75)
გაფრთხილება: ეფენბერგი, ტარნატი, გიუნეში
მსაჯი: ვებერი

### ლევერკუზენი 2:0 ვერდერი

1:0 კირსტენი (75), 2:0 ბაინლიხი (90)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი, ლედვონი (ლენჰოფი 46), ნ. კოვაჩი (ჰაინცე 62), ბაინლიხი, რამელო, ზე რობერტო, მაიერი, კირსტენი (რაიხენბერგერი 90)
ვერდერი: როსტი, სკრიპნიკი, ბენკენი, ვოიტალა, ვიდნერი, დაბროვსკი, მაქსიმოვი (აილტონი 78), აილტსი (ვიკი 70), ტრარესი, ბოდე, ა. ჰერცოგი
გაფრთხილება: ლედვონი, აილტსი, აილტონი, ტრარესი, ჰერცოგი
გაძევება: ჰერცოგი (80)
მსაჯი: ცერი

### გლადბახი 2:0 მიუნხენი

1:0 კლინკერტი (43), 2:0 დაისლერი (75)
მიონხენგლადბახი: ენკე, კლინკერტი, ანდერსონი, ასანინი, ებერლი, დაისლერი (პასლაკი 85), სოპიჩი, შნაიდერი, ვიტეჩეკი, პეტერსონი, ფელდჰოფი (პოლსტერი 77)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, კურცი, ზელიჩი, რიხტერი, ჩერნი, ბორიმიროვი (აგოსტინო 68), მალცი (ჰელდტი 46), დინზეი, ჩიჟეკი, ვინკლერი (ჰობში 58), შროტი
გაფრთხილება: ვიტეჩეკი, ასანინი, სოპიჩი, კურცი, ჩიჟეკი, შროტი, რიხტერი
მსაჯი: ფანდელი

### ჰერტა 1:1 ლაუტერნი

0:1 ბალაკი (3), 1:1 პრეეტცი (79)
ჰერტა: კირალი, ნოიენდორფი, ჰ. ჰერცოგი, სვერისონი, ვაიტი, ტომი, ვოში, ტრეჩოკი, ჰარტმანი (რაისი 68), პრეეტცი, არაჩიჩი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, რამზი, კოხი (ჰრუტკა 62), რატინიო (როოსი 62), ბალაკი, რიდლი, რაიხი, ვაგნერი, რიშე, როსლერი (გრაფი 78)
გაფრთხილება: ნოიენდორფი, ჰერცოგი, ბალაკი, ვაგნერი, სფორცა
მსაჯი: ჰაინემანი

### ბოხუმი 0:1 დორტმუნდი

0:1 რიკენი (29)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვალდოხი, პეშელი (მაჰდავიკია 46), გაუდინო (ბასტურკი 46), შინდცილორცი, რაისი, შრაიბერი (დრინჩიჩი 46), კუნცი, ბუკლი
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, კ. ბაუმანი (ნიეგუსი 81), რიკენი, სტევიჩი, ვ. ბუტი, ნერლინგერი, დედე (ტანკო 78), სალუ (ჰერლიხი 46), შაპუიზა
გაფრთხილება: პეშელი, შრაიბერი, დრინჩიჩი, კრახტი, სტევიჩი, რიკენი
მსაჯი: მერკი

### შტუტგარტი 2:0 აინტრახტი

1:0 ბალაკოვი (40), 2:0 კარნელი (90)
შტატგარტი: ვოლფარტი, ტ. შნაიდერი (ტ. როსტი 65), ვერლაატი, ბერთოლდი, კელერი, ჯორჯევიჩი, სოლდო, ბალაკოვი, კარნელი, ბობიჩი, აკპობორი (ლისტეში 77)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ამშტეტერი, ბინდევალდი, პედერსენი, ბრინკმანი (ნვოსუ 79), იანსენი, კაიმაკი, სობოჩიკი, ბონუა, ჩენ იანგი (ვესტერტალერი 75)
გაფრთხილება: შნაიდერი, ბერთოლდი, ამშტეტერი
მსაჯი: ფლაიშერი

### ვოლფსბურგი 4:1 ჰამბურგი

0:1 ბალვანცი (10ს.კ.), 1:1 ტომსენი (17), 2:1, 3:1 რეინა (53, 75), 4:1 აკონორი (89)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი, რეინა (მალტრიცი 84), პრეგერი (ბაუმგარტი 81), იუსკოვიაკი (აკონორი 73)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, გრავესენი, პანადიჩი (ფიშერი 24), ჰოოგმა, გროთი, ფ. ერნსტი, კურტიანუ (კირიაკოვი 73), ჰოლერბახი, ბაბატცი, დემბინსკი, იებოა
გაფრთხილება: პრეგერი, ერნსტი, ბაბატცი
მსაჯი: იანსენი

### ნიურნბერგი 3:0 შალკე

1:0 კუკა (36), 2:0 ჩირიჩი (45), 3:0 კუკა (60)
ნიურნბერგი: კიოპკე, ბაუმანი, ნიკლი, ვან ეკი, შტორცენჰოფეკერი, ოეხლერი (ციმერი 76), ვისინგერი, გერბერი, რაინჰარდტი (იუშკიჩი 74), ჩირიჩი (კურთი 79), კუკა
შალკე: რეკი, დე კოკი, ა. მიულერი (ალპუგანი 63), ვან ჰოგდალემი, აიგენრაუხი, ნემეცი, კმეჩი, ბიუსკენსი, გუსენსი (ჰამი 67), მაქსი (ტაპალოვიჩი 56), მულდერი
გაფრთხილება: გერბერი, მულდერი, ვან ჰოგდალემი
გაძევება: ვან ჰოგდალემი (48)
მსაჯი: კემლინგი

### დუისბურგი 4:1 ჰანზა

1:0, 2:0, 3:0 ბაიერლე (31, 34, 44), 4:0 ბუგერა (67), 4:1 ბრაიტკროიცი (87)
დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, კომლიენოვიჩი, ოსტჰოფი, ვოლტერსი, ტიოფტინგი (ვედაუ 77), ჰაიტო, ჰირში, ნოინი, ბუგერა (დიალო 67), ბაიერლე (შპისი 72)
ჰანზა: პიკენჰაგენი, იასერი, ვაილანდტი (ელერსი 46), განსაუგე, რამდანე, ვიბრანი, დოვე, მილინკოვიჩი (აგალი 46), ემარა, მაიაკი (ბრაიტკროიცი 65), ნოივილი
გაფრთხილება: ჰაიტო, ოსტჰოფი, ჰირში, იასერი
მსაჯი: ვაგნერი

## ხანდახან წაგებაც საპატიოა

**მორიგი** მარცხი იწვნია შაბათს „ფრაიბურგმა“, თუმცა გუნდის მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს მატჩის შემდეგ თავის მართლება არ დასჭირვებია. მიზეზი ერთობ საპატიოა — „ფრაიბურგმა“ თვით „ბაიერნთან“ წააგო, თანაც მიუნხენში. ბავარიელებთან ფინკეს გუნდი წინასწარვე განწირულად ითვლებოდა, მაგრამ ოპტიმისტი ქომაგები, იმედს მაინც არ კარგავდნენ, „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ, ეგება ძალების აღდგენა ვერ მოასწროსო. თუმცა ბავარიელებს შემცვლელნიც არანაკლები ჰყავთ. მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიტცფელდმა ჩემპონთა ლიგაში ნათამაშევი შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალა — მათეუსს, ლინკეს, შტრუნცს, იერემისს, ბასლერსა და იანკერს დასვენების საშუალება მისცა, თუმცა ამით არაფერი წაუგია.

თამაში მოულოდნელად სტუმართა შეტევებით დაიწყო. დებიუტშივე გიუნეშსა და ვაისჰაუპტს მიეცათ ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ ვერც ერთმა ივარგა. მალე კობიაშვილი შეცდა — ელბერმა პასი ჩაუჭრა, საჯარიმოში შევიდა და უკეთეს პოზიციაში მყოფი დაეი შენიშნა, მაგრამ ამან ორიოდე მეტრიდან კარს გადააცილა. 30-ე წუთზე კი „ოლიმპიაშტადიონზე“ შეკრებილმა 52 ათასმა ქომაგმა გაიხარა. დაეი მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოს მიუახლოვდა და ჩააწოდა. შვინკენდორფმაც თავით მოგერიების ნაცვლად საკუთარი კარის ცხრიანში გაახვია ბურთი. ტაიმის მიწურულს ციკლერმა შეუტია სტუმრებს სახიფათოდ, მაგრამ „ფრაიბურგს“ გოლცმა უშველა. მეორე ნახევარში „ბაიერნმა“ კიდევ უფრო მწვავედ შეუტია. 74-ე წუთზე მინდორზე შოლი გამოჩნდა. სწორედ მან გადაწყვიტა შეხვედრის ბედი საბოლოოდ. მინდორში შესვლიდან ხუთ წუთში შოლმა მარცხენა ფლანგზე გრძელი რეიდი განახორციელა, გზად ორი შემხვედრი მოატყუა, გოლცსაც გასცდა და კარის ხაზთან მდგომ დაეის მიაწოდა ბურთი, რომელსაც კობიაშვილმა ხელი ველარ შეუშალა. „ფრაიბურგს“ ერთი ბურთის გაქვითვის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ შვინკენდორფის თავური კანმა მოიგერია. შეგახსენებთ, ცქიტიშვილს ავადმყოფობის გამო არ უთამაშია.




REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ფრაიბურგი 2:0. ლევან კობიაშვილი ალექსანდრ ციკლერს ბურთისთვის ებრძვის

„გუნდით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში ძნელი მატჩი ჩავატარეთ „კაიზერსლაუტერნთან“, ამიტომ გამარჯვებას მეტი ფასი აქვს. ყველაზე მეტად დაცვის კარგი თამაშით დავრჩი კმაყოფილი. „ფრაიბურგს“ საგოლე მომენტი პრაქტიკულად არც ჰქონია“ — განაცხადა ჰიტცფელდმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

დიდი უსამართლობა იქნება, მიონხენგლადბახის „ბორუსია“ რომ გავარდეს. გლადბახელებს წინა ორ შეხვედრაშიც უნდა მოეგოთ, მაგრამ იმ თამაშებში ექვსის ნაცვლად ორ ქულას დასჯერდნენ. შაბათს მათი მეტოქე ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი „მიუნხენ 1860“ იყო. ვერნერ ლორანტის გუნდი გლადბახს სამი ქულის წასაღებად ეწვია, მაგრამ შინ ხელმოცარული გაბრუნდა.

მთელი 90 წუთის მანძილზე სტუმრებს ერთი მომენტიც არ შეუქმნიათ, თავად კი არაერთხელ გადარჩნენ. თავად განსაჯეთ, ბურთი ოთხჯერ ძელს მოხვდა. მე-10 წუთზე ასანინის დარტყმული ხარიხას მოხვდა, გადმოვარდნილ ბურთთან პირველი ფელდჰოფი გაჩნდა, მაგრამ ამანაც ძელს მოახვედრა. ტაიმის შუაგულში შნაიდერმა დაარტყა შორიდან ძლიერად, მაგრამ ბურთი ისევ ძელმა მოიგერია. ასეთმა უიღბლობამ მინდორზე მდგომარეობა დაძაბა, მაყურებლებიც ტონი პოლსტერის შემოყვანას ითხოვდნენ და ამ დროს გოლიც გავიდა. საჯარიმოში შექმნილი არეულობით კლინკერტმა ისარგებლა და ახლოდან მასპინძლები დააწინაურა. მეორე ტაიმში სტუმრები კიდევ ერთხელ გადაარჩინა კარის ძელმა, როდესაც ფელდჰოფმა შორიდან ძლიერად დაარტყა. ვნებათაღელვა მინდორზე და ტრიბუნებზე 75-ე წუთზე დაისლერმა ჩააცხრო — გლადბახელთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა ნახევარი მინდორი გადაკვეთა ბურთით, საჯარიმოში შევიდა და მოჭრილი დარტყმით მატჩის ბედი გადაწყვიტა.

„როგორც იქნა, სამი ქულა მოვიპოვეთ. ძალიან კარგად ვითამაშეთ, მეტოქეს არანაირი შანსი არ მივეცით, თუმცა, სამწუხაროდ, ცხრილში ვერ წავიწიეთ. ახლა მთავარია, ეს სულისკვეთება შევინარჩუნოთ და ეს თუ შევძელით, ყველაფერი კარგად იქნება“ — თავი დაიმშვიდა შეხვედრის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა რაინერ ბონჰოფმა.

გაჭირვებით მოიგო „ლევერკუზენმა“, რომელიც შინ „ვერდერს“ იღებდა. პირველ ტაიმში მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მომენტები სტუმრებს უფრო მწვავე ჰქონდათ. ერთხელ ბურთი ლევერკუზენელთა კარის ძელმაც მოიგერია. გოლები კი ბოლო თხუთმეტ წუთში გავიდა. ჯერ კირსტენმა დააწინაურა თავისიანები, შემდეგ ბაინლიხმა გაზარდა სხვაობა და „ლევერკუზენმაც“ 2:0 მოიგო.

„გმადლობთ იმ ხუთი წლისთვის, რომელიც ჩვენთან გაატარე, ფრედ“ — ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი გადმოეფინათ ქომაგებს შტუტგარტში, სადაც გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატი „აინტრახტი“ სტუმრობდა. გულშემატკივრები „შტუტგარტის“ ლიდერ ფრედი ბობიჩს უხდიდნენ მადლობას. როგორც ცოტა ხნის წინ გაირკვა, სეზონის დასრულების შემდეგ იგი „დორტმუნდში“ გააგრძელებს კარიერას. ბობიჩმა „აინტრახტთან“ საკმაოდ იაქტიურა, მართლია, გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ერთხელ ძელს გაარტყა ბურთი, ერთხელაც ნიკოლოვმა აუღო სასწაულებრივად. სტუმრები კი ბალაკოვმა და კარნელმა გააწბილეს, შესაბამისად მე-40 და 90-ე წუთებზე.

ფრედ 1:1 დასრულდა მატჩი ბერლინში „ჰერტასა“ და „კაიზერსლაუტენს“ შორის. ანგარიში მე-3 წუთზე ბალაკმა გახსნა შორიდან ძლიერი დარტყმით. მასპინძლებმა გათანაბრება 79-ე წუთზე მოახერხეს, პრეეტცს წონასწორობადაკარგული რაინკესთვის გატანა არ გასჭირვებია. პრეეტცს ბოლოს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ვერ ივარგა, ისევე როგორც რაისმა.

„დუისბურგში“ განადგურებას შეეწირა „ჰანზას“ თავკაცი ევალდ ლინენი. გათამაშების ერთ-ერთმა აუტსაიდერმა პირველი ტაიმი 0:3 დათმო. მასპინძელთაგან ჰეთ-თრიქი ბაიერლემ შეასრულა. 67-ე წუთზე ბუგერამ ანგარიში კატასტროფული გახადა. „ჰანზამ“ 87-ე წუთზე ერთი ბურთის გაქვითვალა შეძლო და მატჩიც 4:1 დასრულდა. თამაშის შემდეგ ლინენმა განაცხადა, იმედია გუნდი ჩემს გარეშე ბუნდესლიგაში ადგილს შეინარჩუნებსო.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ბაიერნი | 21 | 17 | 2 | 2 | 52:13 | +39 | 53 | 11 | 10 | 1 | 0 | 34:8 | +26 | 31 | 10 | 7 | 1 | 2 | 18:5 | +13 | 22 |
| 2 | ლევერკუზენი | 21 | 11 | 8 | 2 | 43:19 | +24 | 41 | 11 | 6 | 4 | 1 | 21:8 | +13 | 22 | 10 | 5 | 4 | 1 | 22:11 | +11 | 19 |
| 3 | ლაუტერნი | 21 | 11 | 6 | 4 | 33:30 | +3 | 39 | 11 | 7 | 3 | 1 | 22:14 | +8 | 24 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:16 | -5 | 15 |
| 4 | მიუნხენ 1860 | 21 | 10 | 6 | 5 | 36:27 | +9 | 36 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | +9 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 18:18 | 0 | 18 |
| 5 | დორტმუნდი | 21 | 10 | 5 | 6 | 32:21 | +11 | 35 | 11 | 9 | 1 | 1 | 24:5 | +19 | 28 | 10 | 1 | 4 | 5 | 8:16 | -8 | 5 |
| 6 | ჰერტა | 21 | 10 | 4 | 7 | 30:20 | +10 | 34 | 10 | 8 | 1 | 1 | 19:4 | +15 | 25 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | -5 | 9 |
| 7 | ვოლფსბურგი | 21 | 8 | 8 | 5 | 39:30 | +9 | 32 | 11 | 6 | 3 | 2 | 27:13 | +14 | 21 | 10 | 2 | 5 | 3 | 12:17 | -5 | 11 |
| 8 | შტუტგარტი | 21 | 7 | 7 | 7 | 28:27 | +1 | 28 | 10 | 6 | 2 | 2 | 19:9 | +10 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:18 | -9 | 8 |
| 9 | ვერდერი | 21 | 6 | 7 | 8 | 29:29 | 0 | 25 | 11 | 2 | 5 | 4 | 17:17 | 0 | 11 | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 14 |
| 10 | ჰამბურგი | 20 | 6 | 7 | 7 | 24:27 | -3 | 25 | 11 | 5 | 4 | 2 | 15:10 | +5 | 19 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | -8 | 6 |
| 11 | ფრაიბურგი | 21 | 5 | 9 | 7 | 22:26 | -4 | 24 | 11 | 2 | 6 | 3 | 10:11 | -1 | 12 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | -3 | 12 |
| 12 | დუისბურგი | 21 | 5 | 8 | 8 | 24:33 | -9 | 23 | 10 | 5 | 4 | 1 | 17:10 | +7 | 16 | 11 | 0 | 4 | 7 | 7:23 | -16 | 4 |
| 13 | შალკე 04 | 21 | 5 | 7 | 9 | 21:34 | -13 | 22 | 10 | 3 | 4 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 11 | 2 | 3 | 6 | 10:23 | -13 | 9 |
| 14 | ბოხუმი | 20 | 5 | 5 | 10 | 23:35 | -12 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 11 | 11 | 2 | 3 | 6 | 12:22 | -10 | 9 |
| 15 | ნიურნბერგი | 21 | 3 | 10 | 8 | 24:37 | -13 | 19 | 10 | 1 | 8 | 1 | 14:15 | -1 | 11 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:22 | -12 | 8 |
| 16 | აინტრახტი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:35 | -13 | 18 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 12 | 11 | 1 | 3 | 7 | 9:21 | -12 | 6 |
| 17 | ჰანზა | 21 | 3 | 8 | 10 | 28:43 | -15 | 17 | 11 | 3 | 5 | 3 | 18:18 | 0 | 14 | 10 | 0 | 3 | 7 | 10:25 | -15 | 3 |
| 18 | გლადბახი | 21 | 3 | 5 | 13 | 22:46 | -24 | 14 | 10 | 3 | 1 | 6 | 13:20 | -7 | 10 | 11 | 0 | 4 | 7 | 9:26 | -17 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| პრეეტცი (ჰერტა) | 13 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 11 |

### XXII ტური

12 მარტი
დორტმუნდი - ლევერკუზენი (1:3)
ფრაიბურგი - ჰანზა (2:0)
13 მარტი
ჰამბურგი - ბაიერნი (3:5)
მიუნხენი - შტუტგარტი (1:0)
ლაუტერნი - ნიურნბერგი (1:1)
შალკე - ბოხუმი (2:1)
ვერდერი - ვოლფსბურგი (4:2)
გლადბახი - დუისბურგი (2:2)
14 მარტი
აინტრახტი - ჰერტა (1:3)

## მეორე ბუნდესლიგა

XXI ტური

**ობერჰაუზენი 0:2 ფიურტი**
0:1, 0:2 კლეე (48, 66)

**კოტბუსი 2:0 ვატენშაიდი**
1:0 ჰეიდრიხი (38პ), 2:0 იოვიჩი (66)

**ჰანოვერი 0:1 უნტერჰახინგი**
0:1 სეიტცი (72)

**ულმი 2:2 კიოლნი**
0:1 როსელე (13), 0:2 ვოგტი (22), 1:2 გორა (62), 2:2 ზრდილიჩი (70)

**ზანქტ პაული 1:0 კარლსრუე**
1:0 მარინი (75)

**დიუსელდორფი 0:0 კიკერსი**

**გიუტერსლო 2:0 ურდინგენი**
1:0 ს. მეჩერი (74პ), 2:0 ბოზინოვი (88)

**ფორტუნა 1:3 ბერლინი**
0:1 კოპადო (27), 1:1 იოუნგა-მოუჰანი (43), 1:2 კოპადო (60), 1:3 კოჩაკი (88)

**მაინცი 3:1 არმინია**
1:0 კლოპი (24), 1:1 ლაბადია (32), 2:1 პოლისელა (39), 3:1 ჰოკი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 21 | 13 | 3 | 5 | 24:14 | 42 |
| ფიურტი | 21 | 12 | 5 | 4 | 29:15 | 41 |
| არმინია | 21 | 12 | 3 | 6 | 36:23 | 39 |
| ულმი | 21 | 10 | 8 | 3 | 43:34 | 38 |
| ბერლინი | 21 | 11 | 4 | 6 | 35:27 | 37 |
| კარლსრუე | 21 | 11 | 1 | 9 | 35:27 | 34 |
| მაინცი | 21 | 9 | 5 | 7 | 30:29 | 32 |
| ფორტუნა | 21 | 8 | 7 | 6 | 34:31 | 31 |
| ჰანოვერი | 21 | 9 | 3 | 9 | 27:23 | 30 |
| კიკერსი | 21 | 8 | 5 | 8 | 21:28 | 29 |
| ზანქტ პაული | 21 | 7 | 4 | 10 | 27:32 | 25 |
| კიოლნი | 21 | 6 | 7 | 8 | 25:34 | 25 |
| ობერჰაუზენი | 21 | 4 | 10 | 7 | 23:31 | 22 |
| კოტბუსი | 21 | 4 | 9 | 8 | 21:24 | 21 |
| დიუსელდორფი | 21 | 3 | 10 | 8 | 26:34 | 19 |
| გიუტერსლო | 21 | 4 | 6 | 11 | 27:38 | 18 |
| ურდინგენი | 21 | 3 | 7 | 11 | 23:33 | 16 |
| ვატენშაიდი | 21 | 3 | 7 | 11 | 14:27 | 16 |

# ნახევარფინალი ფლორენციაში

## იტალია

### XXIV ტური

**ფიორენტინა 2:1 პარმა**

1:0 ოლივეირა (43), 2:0 რუი კოშტა (55პ), 2:1 სტანიჩი (64)

ფიორენტინა: ტოლდო, ფირიკანო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი (ტაროცი 85), ტორიჩელი, კოისი, რუი კოშტა, ამორუზო (ფიჩინი 63), ესპოზიტო, ოლივეირა (რობიატი 75)

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ფიორე (სტანიჩი 59), ბენარივო (ვანოლი 54), ვერონი, კიეზა, კრესპო

გაფრთხილება: ესპოზიტო, რუი კოშტა, ვანოლი

მსაჯი: როდომონტი

**ლაციო 6:1 სალერნიტანა**

0:1 ვანუჩი (30), 1:1 ნეგრო (43), 2:1 ვიერი (50), 3:1, 4:1 სალასი (61, 68), 5:1 ფრეზი (81 ს.კ.), 6:1 ნესტა (90)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (ლომბარდო 63), ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, კონსეისაო, მანჩინი (გოტარდი 84), კოუტუ, ნედვედი, ვიერი (ბარონიო 70), სალასი

სალერნიტანა: ივანი, ბოლიჩი (ტოსტო 63), ფრეზი, ფუსკო, დელ გროსო, როსი (ტედესკო 78), ბრედა, გატუზო, კოლოუსეკი, ვანუჩი (დი მიკელე 63), დი ვაიო

გაფრთხილება: მიხაილოვიჩი

მსაჯი: ბოლონინო

**პერუჯა 3:1 ემპოლი**

0:1 ზალაიეტა (7), 1:1 ტედესკო (47), 2:1 პეტრაკი (54), 3:1 ბუკი (76)

პერუჯა: მაცანტინი, ილარიო (პელეგრინი 67), მატრეკანო, მაცანო, რივასი, ოლივე, ტედესკო, რაპაიჩი, ნაკატა, ბუკი, კავიედესი (პეტრაკი 54, ტენტონი 64)

ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, კამარა, კრიბარი (ბიზოლი 38), პანე, მორონე, ტონეტო, მარტუშელო (დი ნაპოლი 57), ზალაიეტა (ჩერბონე 75)

გაფრთხილება: ოლივე, პანე, მატრეკანო

მსაჯი: ბაცოლი

**მილანი 1:0 პიაჩენცა**

1:0 ბირჰოფი (42)

მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, აიალა, ნგოტი, ჰელვეგი, ალბერტინი (დონადონი 52), ბობანი, გულიელმინპიეტრო, ლეონარდო (განცი 12), ბირჰოფი, მორფეო (ციგე 89)

პიაჩენცა: ფიორი, საკეტი, პოლონია, დელი კარი, ვერხოვოდი, ლამაში (პიოვანი 73), სტატუტო (კრისტალინი 73), მაცოლა, სტროპა (მანიგეტი 46), ს. ინძაგი, რასტელი

გაფრთხილება: სტროპა

მსაჯი: ჩეზარი

**კალიარი 1:0 ვიჩენცა**

1:0 დე პატრე (24)

კალიარი: სკარპი, ძანონჩელი, გრასადონია, ვილა, ბერეტა, ძანეტი, დე პატრე, მაკელარი (ესპოზიტო 81), ვაზარი, ონილი, მუცი

ვიჩენცა: ბრივიო, დი ლიზო (ბეტონი 75), კარდონე, აურელიო, სტოვინი, ბეგეტო (ტისკი 62), მენდესი, დი კარლო, ვივიანი (მაცოკო 68), ოტერო, სკარლატო

გაფრთხილება: ძანეტი, გრასადონია

გაძევება: ბრივიო (74)

მსაჯი: პაპარესტა

**ბარი 1:0 ინტერი**

1:0 ოსმანოვსკი (43)

ბარი: ინდივერი, დე როზა, ნექროიზი, ინოჩენტი, დე აშენტისი (ოლივარესი 52), დ. ანდერსონი, ბრესანი, მარკოლინი, ოსმანოვსკი (კნუდსენი 75), ძამბროტა, მასინგა (ჯორჯეტი 91)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, გალანტე, სიმიჩი, სილვესტრი, ძანეტი (ჯორკაეფი 69), სიმეონე, კოე (ვინტერი 55), პირლო (ზე ელიასი 58), ვენტოლა, სამორანო

გაფრთხილება: ზე ელიასი, ბერგომი, ინოჩენტი

მსაჯი: ტრენტალანგი

**ბოლონია 2:1 ვენეცია**

0:1 მანიერო (25პ), 1:1 კ. ანდერსონი (73), 2:1 სინიორი (86)

ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, პაგანინი, ბია, ბეტარინი (ერიბერტო 60), ბინოტო, ინგესონი, მაროკი (ნერვო 70), ფონტოლანი (კაპიოლი 70), კ. ანდერსონი, სინიორი

ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, პავანი, ლუპი, დალ კანტო, ვალტოლინა (ტუტა 77), ვოლპი, მიკელი, მარანგონი (დე ფრანჩესკი 91), რეკობა (ბალარინი 73), მანიერო

გაფრთხილება: სინიორი, ინგესონი, ბრიოსკი, ლუპი, ფონტოლანი, ბალარინი

მსაჯი: ჩეკარინი

**უდინეზე 2:1 რომა**

0:1 ფაბიო ჟუნიორი (28), 1:1 იორგენსენი (73), 2:1 ამოროზო (88პ)

82-ე წუთზე ამოროზომ ვერ გამოიყენა პენალტი.

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, ძანკი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, აპია (ვალემი 57), ბაკინი (იორგენსენი 70), ლოკატელი, სოსა (პოჯი 57), ამოროზო

რომა: კიმენტი, კაფუ, ალდაირი, ვომე, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, ბარტლეტი (გაუტიერი 85), ფაბიო ჟუნიორი (ფრაუ 85), ტოტი

გაფრთხილება: ბერტოტო, ჯანიკედა, ბაკინი, ამოროზო, დი ბიაჯო

გაძევება: ალდაირი (88)

მსაჯი: ბეტინი

**სამპდორია 1:2 იუვენტუსი**

1:0 ორტეგა (63), 1:1 ამორუზო (73), 1:2 ფ. ინძაგი (90)

სამპდორია: ფერონი, ჰუგო, გრანდონი, ლასისი, ბალერი, დორივა, პეკია, ლაილი, ორტეგა, მონტელა (სგრო 79), პალმიერი

იუვენტუსი: რამპულა, მირკოვიჩი (ბირინდელი 82), იულიანო, მონტერო, დი ლივიო, ა. კონტე, დეშამი, ანრი (ამორუზო 69), ფ. ინძაგი, ესნაიდერი (ფონსეკა 83)

გაფრთხილება: ორტეგა, ანრი

მსაჯი: ფარინა

**იტალიურმა** პრესამ ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე“ გამართული შეხვედრა ჩემპიონატის ნახევარფინალად მონათლა. სერია A-ში ნახევარფინალს აბა, რა უნდა, მაგრამ დღესავით ნათელია, რაც იგულისხმეს აპენინელმა ჟურნალისტებმა: ისინი მატჩის დაძაბულობასა და იმ გარემოებაზე მიგვანიშნებდნენ, რომ მისი მონაწილე გუნდები მეორე და მესამე ადგილებზე იყვნენ. პირველ და მეორე ადგილებზე მყოფთ რომ ეთამაშათ, კალმოსნები, ალბათ, ფინალიაო იტყოდნენ.

„ნახევარფინალში“ „ფიორენტინამ“, რომელიც მესამე ადგილზე გახლდათ, მეორე ადგილოსან „პარმას“ უმასპინძლა. გაბრიელ ბატისტუტას ტრავმის შემდეგ სიმძლავრე და ქულებდაკარგულმა ფლორენციელებმა გონება, სული და გული ჩააქსოვეს კონკურენტთან ბრძოლაში და მიზანს მიაღწიეს, 2:1 გაიმარჯვეს, მაგრამ სიხარული ლიდერის, „ლაციოს“ ტრიუმფმა დაუჩრდილა — რომაელებმა შინ „სალერნიტანას“ 6:1 სძლიეს.

მიუხედავად ნახსენები ჩრდილისა, „ფიორენტინას“ გამარჯვება ფრიად მნიშვნელოვანი გახლდათ. ამით ბევრი რამ კეთდებოდა და მტკიცდებოდა: ტრაპატონის გუნდი ბოლო ხანს გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ერთი მოთამაშის (ბატისტუტას) ყოფნა-არყოფნაზე არ ყოფილა დამოკიდებული; გუნდმა სამი ქულა მოიპოვა, კონკურენტს კი ამდენივე წაართვა; მან სძლია მეტოქეს, რომელიც მიმდინარე სეზონში, სტუმრად, სერია A-ს 18 გუნდს შორის საუკეთესოა და ა.შ.

უნდა გენახათ, რა დღეში იყო ჯოვანი ტრაპატონი. ბერიკაცი ემოციას ჭაბუკსავით აეხტუნებინა. ის ბუქნავდა, ყვიროდა, უსტვენდა, რათა მოედანზე, ფიცხელ ბრძოლაში გართული თავისი ფეხბურთელების ყურადღება მიეპყრო და რჩევა-დარიგება მისცა; თეატრალური ჟესტებით უხსნიდა სათადარიგოთა სკამზე ჩამწკრივებულ ქვეშევრდომებს, რა შეცდომა დაუშვეს იქ, მინდორზე...

კიდევ უნდა გენახათ „ფიორენტინას“ პრეზიდენტის, მილიონერი კინოპროდიუსერის, ვიტორიო ჩეკი გორის სახე საპატიო გვამთა ლოჟაში. ლოჟიდან რომ გადმომხტარიყო ან გულყრა მოსვლოდა, გასაკვირი ნამდვილად არ იქნებოდა. თამაშის ბოლოს კი გვერდით მჯდომს ჩაეხუტა და ბედნიერებისგან გათანგული კარგა ხანს დარჩა ასე.

მაგრამ შეხვედრა ისე გაიმართა, ვინ სტუმარი იყო და ვინ მასპინძელი, ვერ გაარჩევდით. „პარმამ“ დიდებულად ითამაშა, თუმცა პირველ ტაიმში თავდამსხმელებს, ენრიკო კიეზასა და ერნან კრესპოს მათ ხელთ არსებული მომენტები რომ გამოეყენებინათ, დიდებულზე დიდებული იქნებოდა. მეხუთე წუთზე კიეზამ ხარიხას მოარტყა, მეშვიდეზე კრესპომ გაატანა საუცხოო შესაძლებლობა ქარს, შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე, ისევ კიეზამ, ორიოდ მეტრიდან, მეკარე ტოლდოს ფეხებს ვერ აარიდა ბურთი და ასე შემდეგ. „ფიორენტინას“ თავდამსხმელებს კი ასაცილებლად მომენტიც არ შეუქმნიათ.

და მაინც, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, რაშიც ხელი პარმელთა მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის შეცდომამ შეუწყოთ. ბურთი, რომელიც საჯარიმოდან ლუის ოლივეირამ ახლო ძელთან გააქანა, ბუფონმა კუთხურზე გადაგდების ნაცვლად საკუთარ კარში შეაგდო.

შესვენების შემდეგ სცენარი არ შეცვლილა: „პარმა“ ისევ უტევდა და ჩინებულ შესაძლებლობებს უშვებდა ხელიდან. ანგარიშის გათანაბრება კვლავ და კვლავ კრესპომ და დიეგო ფუზერმა ვერ შეძლეს. უპირატესად საკუთარ ნახევარზე გამაგრებულმა „ფიორენტინამ“ კი კონტრშეტევებზე გაამახვილა ყურადღება.

მეორე ტაიმი 10 წუთის დაწყებული რომ იყო რუი კოშტას წამოწყებული კომბინაცია კარმინე ესპოზიტომ წაქცევითა და პენალტის მონადირებით დაასრულა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა რუი კოშტამ შეასრულა და სეზონში თავისი მეექვსე გოლი შეაგდო, სტუმრებს კი ცივი წყალი გადაასხა.

64-ე წუთზე პარმელებმა შეძლეს სხვაობის შემცირება. მარჯვენა ფრთიდან ლილიან ტურამმა ჩაიქროლა და მარიო სტანიჩს დიდებულად ჩააწოდა. ხორვატმა, რომელიც ახალი შესული გახლდათ მოედანზე, ბურთის მიღება და ახლო ძელიდან მისი კარში შეგდება მოახერხა.

ბოლო წუთებში ყველაფერი გასაგები იყო: „პარმა“ ანგარიშის გასათანაბრებლად მეცადინეობდა, „ფიორენტინა“ კი იმ გოლის გასატანად, ყველაფერს წერტილს რომ დაუსვამდა, მაგრამ არც ერთის გეგმა განხორციელდა და არც მეორესი. ჯერ იყო და ოლივეირამ ვერ ისარგებლა საუცხოო მომენტით, მერე კი დათარსულმა კრესპომ. კიდევ იყო ეპიზოდი, როდესაც ტოლდომ დინო ბაჯოს დარტყმულ ბურთს დიდებულად უხელთა. საბოლოოდ, „ფიორენტინამ“ ბატისტუტას არყოფნაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ფლორენციელების სიხარული „ლაციოს“ გამარჯვებამ დაჩრდილა. ისე, წესითა და რიგით, ამაში გასაკვირი არც არაფერი უნდა ყოფილიყო. „სალერნიტანა“ ხომ ერთობ სუსტი გუნდი გახლავთ, რომელიც ცხრილში მხოლოდ და მხოლოდ „ემპოლის“ უსწრებს.

თუმცა, სალერნოელებმა მაინც იყოჩაღეს. თავისებურად, ცხადია. როგორც ვთქვით მათ არ მოუგიათ, მაგრამ ის კი შეძლეს, რომ თავიდან დაწინაურდნენ, ცოტა ხანში კი კინაღამ მეორეც გაიტანეს — ბურთი კარის ხაზიდან პაოლო ნეგრომ გამოიტანა.

პაოლო ნეგრომ, შემდეგ, მოწინააღმდეგის კართანაც ივაჟკაცა, პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, მეორე ტაიმში კი რომაელები მოდგნენ და მოდგნენ გათავხედებულ მოწინააღმდეგეს.

24 ტურის მერე მესამეზე „მილანია“. ის „პარმას“ ორი ქულით უსწრებს, „ლაციოს“ კი ხუთით ჩამორჩება. მილანელებმა შინ, ოლივერ ბირჰოფის განთქმული თავურით, 1:0 მოუგეს „პიაჩენცას“.

პაპუნა ძიძია




REUTERS რომიდან

ლაციო — სალერნიტანა 6:1. 14 ნომრით „ლაციოს“ პორტუგალიელი ფეხბურთელი სერჟიო კონსეისაო, რომელსაც სალერნოელი ალესანდრო დელ გროსო და მარიო გატუზო(მარჯვნივ) ებრძვიან

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 24 | 15 | 6 | 3 | 52:23 | +29 | 51 | 12 | 9 | 3 | 0 | 34:10 | +24 | 30 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:13 | +5 | 21 |
| 2 | ფიორენტინა | 24 | 14 | 5 | 5 | 40:21 | +19 | 47 | 13 | 11 | 2 | 0 | 26:5 | +20 | 35 | 11 | 3 | 3 | 5 | 14:16 | -2 | 12 |
| 3 | მილანი | 24 | 13 | 7 | 4 | 35:25 | +10 | 46 | 13 | 10 | 2 | 1 | 24:12 | +12 | 32 | 11 | 3 | 5 | 3 | 11:13 | -2 | 14 |
| 4 | პარმა | 24 | 12 | 8 | 4 | 44:24 | +20 | 44 | 12 | 7 | 4 | 1 | 22:9 | +13 | 25 | 12 | 5 | 4 | 3 | 22:15 | +7 | 19 |
| 5 | უდინეზე | 24 | 11 | 6 | 7 | 33:30 | +3 | 39 | 13 | 8 | 4 | 1 | 21:9 | +12 | 28 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | -9 | 11 |
| 6 | იუვენტუსი | 24 | 10 | 7 | 7 | 28:24 | +4 | 37 | 11 | 7 | 2 | 2 | 15:7 | +8 | 23 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 14 |
| 7 | ინტერი | 24 | 10 | 5 | 9 | 43:31 | +12 | 35 | 11 | 8 | 1 | 2 | 33:14 | +19 | 25 | 13 | 2 | 4 | 7 | 10:17 | -7 | 10 |
| 8 | რომა | 24 | 9 | 8 | 7 | 44:33 | +11 | 35 | 12 | 9 | 3 | 0 | 29:8 | +21 | 30 | 12 | 0 | 5 | 7 | 15:25 | -10 | 5 |
| 9 | ბოლონია | 24 | 9 | 8 | 7 | 30:26 | +4 | 35 | 13 | 6 | 4 | 3 | 21:13 | +8 | 22 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:13 | -4 | 13 |
| 10 | ბარი | 24 | 6 | 12 | 6 | 27:31 | -4 | 30 | 13 | 5 | 7 | 1 | 13:9 | +4 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 14:22 | -8 | 8 |
| 11 | კალიარი | 24 | 8 | 5 | 11 | 32:35 | -3 | 29 | 12 | 7 | 3 | 2 | 21:12 | +9 | 24 | 12 | 1 | 2 | 9 | 11:23 | -12 | 5 |
| 12 | ვენეცია | 24 | 7 | 7 | 10 | 23:32 | -9 | 28 | 12 | 6 | 4 | 2 | 14:10 | +4 | 22 | 12 | 1 | 3 | 8 | 9:22 | -13 | 6 |
| 13 | პერუჯა | 24 | 8 | 4 | 12 | 33:43 | -10 | 28 | 12 | 8 | 2 | 2 | 25:16 | +9 | 26 | 12 | 0 | 2 | 10 | 8:27 | -19 | 2 |
| 14 | სამპდორია | 24 | 5 | 8 | 11 | 23:42 | -19 | 23 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:12 | +2 | 18 | 12 | 1 | 2 | 9 | 8:30 | -22 | 5 |
| 15 | პიაჩენცა | 24 | 5 | 7 | 12 | 32:39 | -7 | 22 | 11 | 5 | 4 | 2 | 23:15 | +8 | 19 | 13 | 0 | 3 | 10 | 9:24 | -15 | 3 |
| 16 | ვიჩენცა | 24 | 4 | 8 | 12 | 12:30 | -18 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 9:11 | -2 | 16 | 13 | 0 | 4 | 9 | 3:19 | -16 | 4 |
| 17 | სალერნიტანა | 24 | 5 | 5 | 14 | 24:45 | -21 | 20 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 16 | 12 | 1 | 1 | 10 | 9:30 | -21 | 4 |
| 18 | ემპოლი* | 24 | 3 | 8 | 13 | 20:42 | -22 | 15 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:16 | -4 | 12 | 13 | 0 | 5 | 8 | 8:26 | -18 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| კრესპო (პარმა) | 15 |
| სინიორი (ბოლონია) | 14 |

### XXV ტური

14 მარტი

ვენეცია - ფიორენტინა (1:4)
პარმა - ბარი (1:1)
რომა - ბოლონია (1:1)
პიაჩენცა - კალიარი (2:3)
ემპოლი - ლაციო (1:4)
ინტერი - მილანი (2:2)
ვიჩენცა - პერუჯა (1:3)
სალერნიტანა - სამპდორია (0:1)
იუვენტუსი - უდინეზე (2:2)

## სერია B

### XXV ტური

**ლეჩე 1:0 რეჯანა**

1:0 ჯანინი (54)

რეჯანა: აბატე, პონცო, კევოლი, სკარპონი, ორფეი (აბრუსკატო 86), კარბონე (ნემსაძე 72), ალეგრეტი, კერუბინი, ბრეშიანი (ნერი 62), პროტი, მასპერო

**რავენა 0:0 ატალანტა**

**რეჯინა 0:0 ვერონა**

**პესკარა 4:1 ჯენოა**

1:0 ესპოზიტო (40), 2:0 სულო (53), 3:0 ბალდი (55), 4:0 ჯელსი (63პ), 4:1 ვუკოია (85)

**ნაპოლი 1:0 ჩეზენა**

1:0 ტურინი (40პ)

**მონცა 1:1 ტერნანა**

1:0 ანონი (8), 1:1 ბორგობელო (12)

**კოზენცა 1:1 ბრეშა**

0:1 უბნერი (40), 1:1 ტატი (72)

**კრემონეზე 1:1 ტრევიზო**

1:0 უნგარი (12), 1:1 ორლანდო (78პ)

**კიევო 0:2 ტორინო**

0:1 ფერანტე (67), 0:2 არტისტიკო (75)

**ლუკეზე 1:2 ფ. ანდრია**

0:1 ფლორიანჩიჩი (12), 1:1 ტარანტინო (83), 1:2 კორადი (91)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 25 | 14 | 8 | 3 | 43:19 | 50 |
| ტორინო | 25 | 14 | 5 | 6 | 39:20 | 47 |
| ტრევიზო | 25 | 12 | 11 | 2 | 39:23 | 47 |
| ლეჩე | 25 | 12 | 6 | 7 | 30:22 | 42 |
| ატალანტა | 25 | 10 | 10 | 5 | 29:19 | 40 |
| ბრეშა | 25 | 10 | 10 | 5 | 28:19 | 40 |
| პესკარა | 25 | 11 | 6 | 8 | 35:30 | 39 |
| რავენა | 25 | 10 | 9 | 6 | 33:30 | 39 |
| რეჯინა | 25 | 9 | 11 | 5 | 27:21 | 38 |
| ნაპოლი | 25 | 9 | 10 | 6 | 25:21 | 37 |
| ჯენოა | 25 | 8 | 6 | 11 | 35:36 | 30 |
| მონცა | 25 | 7 | 8 | 10 | 21:27 | 29 |
| კიევო | 25 | 7 | 8 | 10 | 22:31 | 29 |
| კოზენცა | 25 | 7 | 6 | 12 | 25:35 | 27 |
| ჩეზენა | 25 | 6 | 8 | 11 | 21:28 | 26 |
| ტერნანა | 25 | 4 | 13 | 8 | 22:34 | 25 |
| ფ. ანდრია | 25 | 6 | 6 | 13 | 17:32 | 24 |
| ლუკეზე | 25 | 4 | 9 | 12 | 19:27 | 21 |
| რეჯანა | 25 | 3 | 10 | 12 | 22:34 | 19 |
| კრემონეზე | 25 | 3 | 8 | 14 | 24:48 | 17 |

# ურეალოდ და უბარსელონოდ

## ესპანეთი

XXV ტური

### ვალენსია 4:1 ბილბაო

0:1 ურსაისი (36), 1:1 ილიე (53), 2:1 ანგლომა (68), 3:1 ილიე (73პ), 4:1 კ. ლოპესი (86)

27-ე წუთზე კლაუდიო ლოპესმა (ვალენსია) ვერ გაიტანა პენალტი

29-ე წუთზე ლარასაბალმა (ბილბაო) ვერ გაიტანა პენალტი

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, როში, ხუანფრანი (ანგლომა 46), შვარცი, პოპესკუ, კ. ლოპესი (სერბანი 87), ილიე (ვლაოვიჩი 82), ანგულო

ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე (ლასა 46), ლარასაბალი, ლარაინსარი, რობერტო რიოსი, ურუტია, კარლოს გარსია, ალკისა (ი. გერერო 69), ესკურო (ხავი გონსალესი 54), ხ. ეჩებერია, ურსაისი

გაფრთხილება: ჯუკიჩი, კარბონი, შვარცი, ლასა, ურუტია, ურსაისი

მსაჯი: დიას ვეგა

### ესტრემადურა 0:3 რასინგი

0:1 მუნიტისი (2), 0:2 ბესჩასტნიხი (53), 0:3 ვიქტორი (74)

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, კალა, ოსკარი, ბელენგერი (მანუელი 55), დავიდი, ვიოდო, ტონი ველამასანი, დურე, ესპოზიტო (პედრო ხოსე 78), უტარა

რასინგი: სებალოსი (მარკოსი 64), მელბერგი, ნერუ, არსენო, ხელი (სალვა 83), ტაისი (მერინო 90), ისმაელი, ვიქტორი, შუსტიკოვი, ბესჩასტნიხი, მუნიტისი

გაფრთხილება: ტონი ველამასანი, ტაისი, შუსტიკოვი, ბესჩასტნიხი

მსაჯი: მეგია დავილა

### ოვიედო 1:2 დეპორტივო

0:1 ჯალმინია (22), 1:1 დელი ვალდესი (46), 1:2 ფრანი (84)

ოვიედო: ესტებანი, მანელი, სეზარი, ხაიმე, ამიევა (რაბანიროვი 64), პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია (მიოლერი 81), ეკურსა (ბანიო 81), ნადი, დელი ვალდესი

დეპორტივო: სონგო, არმანდო, რომერო, შურერი, მაურო სილვა, ჯალმინია (პაულეტა 63), ფრანი, კონსეისაო, ზიანი (მანუელ პაბლო 87), დონატო, ტურუ ფლორესი (ბონისელი 88)

გაფრთხილება: მანელი, პაულო ბენტო, რომერო, ფრანი

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### სელტა 4:0 ბეტისი

1:0 გუდელი (1), 2:0 ტომასი (7), 3:0 რევივო (70), 4:0 გუდელი (81)

სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ოსკარ ვალესი, ჯოროვიჩი, მაზინიო (ეგენი 83), ტომასი, მოსტოვოი, რევივო (კარპინი 75), გუდელი, სანჩესი (მაკელელე 56)

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ურენია (გალვესი 30), მერინო, ფილიპესკუ, კანიასი, იტო (ალექსისი 56), ბენჯამინი, ფერნანდო, ფინიდი, დენილსონი (ოლი 56)

გაფრთხილება: ოსკარ ვალესი, მერინო, იტო, ფინიდი

მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ტენერიფე 1:0 ატლეტიკო

1:0 მაკაი (21)

ტენერიფე: მონო მონტოია, ლორენი, ალექსისი, ლუსენჰოფი, ბასავილბასო, დანი, ჩანო, ფელიპე (იოკანოვიჩი 72), ემერსონი, ხუანელე (მისტა 90), მაკაი (დომინგუში 79)

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, ტონი (ტევენე 76), სანტი, აგილერა (რამონი 89), სერენა, ვენტურინი (ხელი 37), იუგოვიჩი, ჟუნინიო, რობერტო, ხოსე მარი

გაფრთხილება: ლორენი, ალექსისი, ბასავილბასო, შამოტი, იუგოვიჩი

მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ესპანიოლი 0:2 ვალიადოლიდი

0:1 პეტერნაკი (34პ), 0:2 ვიქტორ ფერნანდესი (90პ)

83-ე წუთზე მარტინ პოსემ (ესპანიოლი) ვერ გაიტანა პენალტი

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა (დე ლუკასი 55), გალკა, არტეაგა (მილოშევიჩი 34), კაპდევილა, მარტინ პოსე, ნან რიბერა, ბენიტესი (ტამუდო 46)

ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, პენია, ტორეს გომესი, ჩემა (ემილიო 85), ვისკაინო, აროლდ ლოსანო, კამინერო (ტურიელი 67), პეტერნაკი (ალბერტო 80), ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: პოჩეტინიო, გალკა, მარტინ პოსე, გარსია კალვო, პენია, ჩემა, კამინერო

გაძევება: პოჩეტინიო

მსაჯი: კარმონა მენდესი

### სოსიედადი 1:1 ვილიარეალი

1:0 დე პაულა (13), 1:1 კრაიოვეანუ (87)

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი, პიკაბეა, ანტია, ლოპეს რეკარტე, დე პაულა (ფუენტესი 82), იარეგი, არამბურუ, სა პინტუ, კოვაჩევიჩი (იდიაკესი 70)

ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, იმანოლი (გარსია სანხუანი 46), რობერტო, დიასი (ვალტერ გაიტანი 66), ხერარდო, კრაიოვეანუ, ალბერტო, მოიზესი (ალფარო 60)

გაფრთხილება: გომესი, სა პინტუ, ტელესი, გარსია სანხუანი, რობერტო, ხერარდო, ალბერტო

მსაჯი: პერეს ბურული

### ალავესი 2:0 მალიორკა

1:0, 2:0 სალინასი (68, 79)

ალავესი: ტიტო, კარმონა, ალბისტეგი, ბელსუე, ბერუე, იბონ ბეგონია (სალინასი 57), პაბლო გომესი (ალფონსო 86), დესიო, სივორი, მანო (გერარდი 68), ვიტამინა სანჩესი

მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, პაუნოვიჩი, სტანკოვიჩი (იბაგასა 80), ლორენი, ფ. სოლერი, ენგონგა, დანი, ბიაჯინი (ჩუპა ლოპესი 77)

გაფრთხილება: იბონ ბეგონია, დესიო, მარსელინო, ლორენი

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### რეალი 3:2 სარაგოსა

1:0 რაული (21პ), 2:0 მორიენტესი (49), 2:1, 2:2 კილი გონსალესი (73, 75), 3:2 რაული (90)

რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, ივან კამპო, სანსი, რედონდო, ზეედორფი, გუტი, კარემბუ, რაული, სავიო (მიატოვიჩი 31, ხაიმე 81), მორიენტესი (შუკერი 81)

სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო (სოლანა 65), პაბლო, აგუადო, სუნდგრენი, გარიტანო (გ. ლოპესი 53), ხოსე იგნასიო (არაგონი 53), კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, მარკოს ვალესი

გაფრთხილება: ივან კამპო, სანსი, ზეედორფი, გუტი, პაბლო, სუნდგრენი, გ. ლოპესი, კილი გონსალესი, ტორო აკუნია

მსაჯი: პრადოს გარსია

### სალამანკა 1:4 ბარსელონა

0:1 ფიგუ (9), 0:2 ლუის ენრიკე (43), 0:3 კლუივერტი (45), 1:3 კარდეტი (71), 1:4 ანდერსონი (80)

სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ნუნო ლუისი, ტაირა (ბარბარა 76), ედუ ალონსო, ჯოვანელა, ველისკა, კარდეტი (კასარტელი 90), სილვანი (მუნტეანუ 60)

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, აბელარდო, სერხი, ფ. დე ბური, ფიგუ, რ. დე ბური (სელადესი 66), ლუის ენრიკე, ხავი, რივალდო, კლუივერტი (ანდერსონი 69)

გაფრთხილება: კორინო, კასარტელი, ფიგუ, კლუივერტი

მსაჯი: ანსატეგი როჩა

13 ტური დარჩა ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე. გუნდებმა პირველობის ნახევარი თითქმის თვენახევრის წინ გალიეს და მეორე წრესაც ჩვეულებრივად, გეგმის მიხედვით მიუყვებიან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენც ფეხდაფეხ მივდივართ და პრიმერა დივიზიონის მსვლელობას და ყოველ ტურსაც დაწვრილებით თუ არა, მეტ-ნაკლებად მაინც მიმოვიხილავთ. განვლილი დროის მანძილზე ერთი რამ იყო თვალშისაცემი — უმეტეს შემთხვევაში ესპანეთის ჩემპიონატის ტურების მიმოხილვა „ბარსელონას“ და „რეალის“ თამაშებით ამოიწურებოდა. შიგადაშიგ სხვა გუნდებზეც იყო საუბარი, მაგრამ...

დღეს ტრადიციას დავარღვევთ და „ბარსელონას“ და „რეალის“ შეხვედრებზე წინ „ვალენსიას“ და „სელტას“ მატჩებს დავაყენებთ. მიმდინარე სეზონის მანძილზე ეს გუნდები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ ღირსნი არიან, იყვნენ უძლიერესთა შორის.

პრიმერა დივიზიონის თამაშების ჩვეული მიმოხილვა „ვალენსიას“ მატჩით დავიწყოთ, რადგან ამ გუნდის გამარჯვება ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსან „ბილბაოსთან“, ვფიქრობთ, უფრო შთამბეჭდავი გახლდათ, ვიდრე „სელტას“ მოგება „ბეტისთან“, რომელიც პირველს, თავის მხრივ, ბევრით არ ჩამოუვარდება.

განა რა შეხსენება უნდა იმას, რომ „ვალენსიაც“ და „ბილბაოც“ ძლიერი გუნდია და ორივე პირველობისთვის თუ არა, პრიზიორობისთვის იბრძვის. ამ მატჩის ცენტრალურობას ზემოხსენებული მიზეზიც განაპირობებდა და კიდევ ისიც, რომ წინა ტურში მასპინძელმა „ვალენსიამ“ პრიმერა დივიზიონის ლიდერი „ბარსელონა“ დაამარცხა და გამარჯვებათა სერიის გაგრძელება სურდა, „ბილბაოს“ კი შინ, „სელტასთან“ ფრედ ნათამაშევი შეხვედრის შემდეგ სტუმრად მოგება და ხელდამშვენებული დაბრუნება ეწადა.

პირველმა მიზანს მიაღწია, მეორემ ვერა — „ვალენსიამ“ დამაჯერებლად მოიგო, „ბილბაომ“ კი ნამდვილად ვერ ითამაშა სათანადო დონეზე. ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ ბასკებს მასპინძლებმა თავიანთი თამაში მოახვიეს თავს და ფაქტობრივად ხელ-ფეხი შეუკრეს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, ორმა პენალტმა ისე ჩაიარა, გოლი არ გავიდა. ჯერ იყო და „ბარსელონას“ გამამწარებელმა არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა ვერ ივარგა, მერე კი ბილბაოელთა ვეტერანმა ლარასაბალმა ვერ შეძლო გოლის გატანა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის სრული სახელი აიტორ ლარასაბალ ბილბაოა და იგი ბასკურ კლუბში 1990-91 წლების ჩემპიონატიდან მოყოლებული თამაშობს.

უხვგოლიან მატჩში პირველ ტაიმში ერთადერთი გოლი გავიდა — ახოვანმა ისმაელ ურსაისმა დიდი ხნის შემდეგ ჩემპიონატში მე-13 გოლი შეაგდო და შესაბამისად დააწინაურა კიდეც „ბილბაო“. სტუმართა მწვრთნელმა, დამწუხრებულმა ლუის ფერნანდესმა მოგვიანებით განაცხადა, ურსაისის გოლის მერე მეგონა, მოვიგებდითო, მერე კი დასძინა, შერცხვენით კი შევრცხვით, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე დრო კიდევაა, სასურველი შედეგის მიღწევა ძალგვიძსო.

ისმაელ ურსაისის გოლი სტუმართათვის ამ შეხვედრაში ბოლო სიხარული იყო — პირველი ტაიმის მიწურულიდან მოყოლებული ვალენსიელებმა იძალეს და რაც დრო გადიოდა, მათი უპირატესობა სულ უფრო და უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა. საბოლოო ჯამში კლაუდიო რანიერის გუნდმა მეტოქეს რუმინელი ადრიან ილიეს ორი, ფრანგი ჟოსელინ ანგლომას და არგენტინელი კლაუდიო ლოპესის გოლებით სძლია. „პოხოდ“ წოდებულმა კლაუდიომ, როგორც ხედავთ, არ მოისვენა და თავისი მაინც გაიტანა.

კლაუდიო რანიერი, „ვალენსიას“ მწვრთნელი: „დღეს ძნელი მატჩი მოვიგეთ და მიხარია, გუნდმა ეს მოგება „ბარსელონასთან“ გამარჯვების შემდეგ რომ შეძლო. მეშინოდა, გუნდი კატალონიელთა სამჯერ ძლევის შემდეგ ეიფორიაში არ ჩაფლობილიყო. ჩვენდა გასახარად, ასე არ მოხდა“.

ბილბაოელებთან შესანიშნავი მოგების მეორე დღეს „ვალენსიამ“ სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა, რომლის ერთადერთი მიზანი კლუბის მომავალ გეგმებზე საუბარი გახლდათ. ძირითადად პირველი ვიცე-პრეზიდენტი ხაიმე ორტი საუბრობდა, რომელმაც ისიც განაცხადა, მომავალი სეზონის წინ რამდენიმე ძლიერი იტალიელი მოთამაშის შესყიდვას ვაპირებთო. ესპანური პრესის ცნობით, ერთ-ერთი მათგანი „იუვენტუსის“ თავდამსხმელ ფილიპო ინძაგის ძმა სიმონე ინძაგია.

„ვალენსია“-„ბილბაოს“ მატჩზე საუბარს ერთი ფაქტის მოშველიებით დავამთავრებთ — „ვალენსიას“ საკლუბო ისტორიაში გუნდი ქვეყნის ჩემპიონატში შინ ყველაზე დიდი ანგარიშით 1:5 დამარცხებულა 1932-33 წლების სეზონში და ისიც ბილბაოელებთან.

„ვალენსია“ - „ბილბაოს“ მატჩი ამ ტურში ცენტრალური იყო, მაგრამ „სელტა“-„ბეტისის“ შეხვედრაც ნაკლებ ინტერესს როდი იწვევდა.

ვიგოს „ესტადიო ბალაიდოსზე“, რომელიც 1928 წელსაა აგებული, „ბეტისი“ განადგურდა. არადა, სევილიელებმა წინა ტურში მადრიდის „რეალი“ შეიწირეს და ქვეყნის საფეხბურთო წრეები აალაპარაკეს. „სელტას“ უპირატესობა დიდი იყო, ანგარიში კი შესაბამისი არ დაფიქსირდა — იმ ოთხი გოლის გარდა, რომლებიც ესპანელმა ტომასმა, ებრაელმა რევივომ და ბოსნიელმა გუდელმა გაიტანეს, „სელტას“ ფრანგ თავდამსხმელ კლოდ მაკელელეს, იუგოსლავ მცველ გორან ჯოროვიჩს და რუს გამთამაშებელ ალექსანდრ მოსტოვოისაც შეეძლოთ ეყოჩაღათ. მატჩის შემდგომ ჟურნალისტებთან საუბრისას გამარჯვებულთა მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა წარმატების სულისჩამდგმელად სწორედ გამოჯანმრთელებული მოსტოვოი მიიჩნია.

ხავიერ კლემენტე, „ბეტისის“ მწვრთნელი: „ჩვენ წარმატების არანაირი შანსი არ გვქონია და მარცხზე უფრო მეტად ის მაღელვებს რომ საგოლე შანსი არ გვქონია. როგორც ჩანს, გუნდი კრიზისშია“.

ძნელი სათქმელია, უჭირს თუ არა „ბეტისს“ დღესდღეობით, მაგრამ ის, რომ ვიგოელებთან ხავიერ კლემენტეს კლუბს შანსი არ ჰქონია, ეს ცხადი გახდა.

მომავალ კვირას 4:1 მომგები „ვალენსია“ სევილიას, კერძოდ კი „ესტადიო ბენიტო ვილიამარინს“ სტუმრობს და 0:4 წამგებ „ბეტისს“ უპირისპირდება. ვიგოს „სელტას“ კი უდავოდ რთული მატჩი ელის სტუმრად სარაგოსაში.

**ლაშა გოდუაძე**



მადრიდელებმა როგორც იქნა მოიგეს

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 | ბარსელონა | 25 | 14 | 5 | 6 | 54:30 | +24 | 47 | 13 | 8 | 2 | 3 | 35:19 | +15 | 26 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:11 | +8 | 21 |
| 2 | ვალენსია | 25 | 13 | 4 | 8 | 40:26 | +14 | 43 | 12 | 8 | 2 | 2 | 22:8 | +14 | 27 | 13 | 5 | 2 | 6 | 18:18 | 0 | 17 |
| 3 | სელტა | 25 | 11 | 9 | 5 | 48:27 | +21 | 42 | 12 | 8 | 4 | 0 | 32:10 | +22 | 28 | 13 | 3 | 5 | 5 | 16:17 | -1 | 14 |
| 4 | მალიორკა | 25 | 12 | 6 | 7 | 26:18 | +8 | 42 | 13 | 9 | 3 | 1 | 17:5 | +12 | 30 | 12 | 3 | 3 | 6 | 9:13 | -4 | 12 |
| 5 | დეპორტივო | 25 | 11 | 8 | 6 | 35:27 | +8 | 41 | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | +12 | 27 | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | -4 | 14 |
| 6 | რეალი | 25 | 12 | 4 | 9 | 49:41 | +8 | 40 | 12 | 7 | 2 | 3 | 29:17 | +12 | 23 | 13 | 5 | 2 | 6 | 20:23 | -3 | 17 |
| 7 | ბილბაო | 25 | 11 | 5 | 9 | 31:33 | -4 | 38 | 12 | 6 | 4 | 2 | 18:12 | +6 | 22 | 13 | 5 | 1 | 7 | 13:21 | -8 | 16 |
| 8 | სოსიედადი | 25 | 10 | 7 | 8 | 34:30 | +4 | 37 | 13 | 8 | 4 | 1 | 24:10 | +14 | 28 | 12 | 2 | 3 | 7 | 10:20 | -10 | 9 |
| 9 | სარაგოსა | 25 | 10 | 6 | 9 | 37:35 | +2 | 36 | 12 | 6 | 2 | 4 | 21:18 | +3 | 20 | 13 | 4 | 4 | 5 | 16:17 | -1 | 16 |
| 10 | ოვიედო | 25 | 9 | 8 | 8 | 32:35 | -3 | 35 | 13 | 6 | 3 | 4 | 15:13 | +2 | 21 | 12 | 3 | 5 | 4 | 17:22 | -5 | 14 |
| 11 | ბეტისი | 25 | 9 | 7 | 9 | 25:32 | -7 | 34 | 12 | 6 | 3 | 3 | 14:14 | 0 | 21 | 13 | 3 | 4 | 6 | 11:18 | -7 | 13 |
| 12 | ატლეტიკო | 25 | 9 | 6 | 10 | 39:31 | +8 | 33 | 13 | 7 | 4 | 2 | 27:8 | +19 | 25 | 12 | 2 | 2 | 8 | 12:22 | -10 | 8 |
| 13 | რასინგი | 25 | 8 | 8 | 9 | 33:32 | +1 | 32 | 12 | 5 | 3 | 4 | 19:14 | +5 | 18 | 13 | 3 | 5 | 5 | 14:18 | -4 | 14 |
| 14 | ესპანიოლი | 25 | 7 | 11 | 7 | 27:28 | -1 | 32 | 12 | 4 | 6 | 2 | 12:11 | +1 | 18 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 14 |
| 15 | ვალიადოლიდი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:30 | -3 | 32 | 13 | 7 | 2 | 4 | 17:11 | +6 | 23 | 12 | 2 | 3 | 7 | 10:19 | -9 | 9 |
| 16 | ვილიარეალი | 25 | 7 | 8 | 10 | 31:37 | -6 | 29 | 13 | 5 | 5 | 3 | 20:16 | +4 | 20 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:21 | -10 | 9 |
| 17 | ალავესი | 25 | 6 | 6 | 13 | 22:37 | -15 | 24 | 13 | 5 | 4 | 4 | 14:10 | +4 | 19 | 13 | 1 | 2 | 9 | 8:27 | -19 | 5 |
| 18 | ტენერიფე | 25 | 4 | 11 | 10 | 23:36 | -15 | 23 | 13 | 2 | 7 | 4 | 11:15 | -4 | 13 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:21 | -9 | 11 |
| 19 | სალამანკა | 25 | 6 | 4 | 15 | 21:44 | -23 | 22 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | +2 | 21 | 13 | 0 | 1 | 12 | 4:29 | -25 | 1 |
| 20 | ესტრემადურა | 25 | 5 | 6 | 14 | 16:41 | -25 | 21 | 12 | 4 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 13 | 13 | 1 | 5 | 7 | 8:24 | -16 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 16 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 14 |

XXVI ტური

14 მარტი

ატლეტიკო - მალიორკა (0:4)
დეპორტივო - ტენერიფე (1:1)
ვილიარეალი - ოვიედო (0:0)
ვალიადოლიდი - სოსიედადი (0:1)
ბარსელონა - ესპანიოლი (2:1)
ბილბაო - სალამანკა (1:2)
ბეტისი - ვალენსია (1:5)
სარაგოსა - სელტა (0:2)
რასინგი - რეალი (2:2)
ესტრემადურა - ალავესი (1:0)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

XXVII ტური

### მალიორკა B 2:0 ლას პალმასი

1:0, 2:0 ლუკე (24, 78)

### ნუმანსია 0:2 ბარსელონა B

0:1 კაბალერო (56), 0:2 მიგელ ანხელი (82)

### კომპოსტელა 3:1 ერკულესი

1:0 ბელიდო (32), 2:0 კორია (68), 2:1 ალექსი (71), 3:1 ფაბიანო (80პ)

### რეკრეატივო 0:0 ლეგანესი

### მალაგა 4:3 მერიდა

0:1 ბრაულიო (6), 1:1 ედგარი (21), 1:2 სინვალი (31), 1:3 ბარატა (64), 2:3 როტეტა (67), 3:3 რუფეტე (70), 4:3 როტეტა (78)

### ატლეტიკო B 1:0 სპორტინგი

1:0 ფორტუნი (56)

### რაიო 3:0 ეიბარი

1:0 მუნისი (22პ), 2:0 სემბრანოსი (48), 3:0 როსადო (90)

### ორენსე 1:1 ბადახოსი

0:1 სოლაუნი (67), 1:1 კორტინა (87)

### ლოგრონიესი 1:0 ტოლედო

1:0 მანელი (53)

### ლეიდა 0:0 ალბასეტე

### სევილია 4:0 ოსასუნა

1:0, 2:0 ცარტასი (21, 49), 3:0 მოია (61), 4:0 მოლნარი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაიო | 27 | 14 | 9 | 4 | 42:30 | 51 |
| მალაგა | 27 | 13 | 10 | 4 | 44:31 | 49 |
| ლას პალმასი | 27 | 12 | 10 | 5 | 39:22 | 46 |
| ნუმანსია | 27 | 13 | 6 | 8 | 44:25 | 45 |
| ოსასუნა | 27 | 12 | 9 | 6 | 34:25 | 45 |
| სევილია | 27 | 12 | 7 | 8 | 37:31 | 43 |
| ატლეტიკო B | 27 | 11 | 9 | 7 | 41:33 | 42 |
| კომპოსტელა | 27 | 10 | 10 | 7 | 37:28 | 40 |
| ლეიდა | 27 | 10 | 10 | 7 | 28:25 | 40 |
| ტოლედო | 27 | 11 | 7 | 9 | 32:31 | 40 |
| მერიდა | 27 | 10 | 9 | 8 | 33:25 | 39 |
| რეკრეატივო | 27 | 10 | 8 | 9 | 23:20 | 38 |
| ლოგრონიესი | 27 | 9 | 9 | 9 | 33:36 | 36 |
| ბადახოსი | 27 | 9 | 8 | 10 | 23:22 | 35 |
| მალიორკა B | 27 | 10 | 4 | 13 | 32:36 | 34 |
| ალბასეტე | 27 | 8 | 9 | 10 | 19:23 | 33 |
| ლეგანესი | 27 | 7 | 7 | 10 | 26:31 | 31 |
| სპორტინგი | 27 | 7 | 8 | 12 | 26:36 | 29 |
| ეიბარი | 27 | 7 | 4 | 16 | 20:35 | 25 |
| ერკულესი | 27 | 6 | 6 | 15 | 23:43 | 24 |
| ბარსელონა B | 27 | 6 | 5 | 16 | 28:43 | 23 |
| ორენსე | 27 | 4 | 5 | 18 | 21:50 | 17 |

# სინდისიც კარგი საქონელია!

## საფრანგეთი

### ლიგის თასი 1/4 ფინალი

**მეცი 3:3 (ძ.დ. 2:2) ტულუზი**

0:1, 0:2 მორო (38, 53), 1:2 იესტროვიჩი (61), 2:2 გაიო (88), 3:2 სტრასერი (104), 3:3 პეტროვიჩი (106)

**რენი 0:1 ლანსი**

0:1 ნუმა (88)

**პსჟ 0:2 მონპელიე**

0:1 მაუვე (58), 0:2 სილვესტრი (80)

**ოსერი 0:1 სოშო**

0:1 რეიესი (37ს.კ.)

„პარი სენ ჟერმენმა" წააგო, მაგრამ შეიძლება ნახევარფინალში მაინც ითამაშოს! „როცა საშინელ კრიზისში ხარ, მაშინ მიზნის მისაღწევად ყველანაირი ხერხი შეიძლება გამოიყენო" — კაცობაზე ხელი აიღო პსჟ-ს მეკარე დომინიკ კასაგრანდემ. პარიზელები საკუთარ „პარკ დე პრენსზე", რომელიც მათი თამაშის შემხედვარე სანახევროდაც აღარ ივსება, „მონპელიესთან" ჩვეულებისამებრ უსუსურად თამაშობდნენ. და რომ არა სტუმართა თავკაცი ჟანლუი გასე, ევროთასებზე გასვლის უკანასკნელ იმედსაც გამოემშვიდობებოდნენ. მაინც რა მოხდა?

მატჩის 83-ე წუთი მიმდინარეობდა. ანგარიში უკვე 0:2 იყო. სტუმართა მცველმა პასკალ ბაილსმა ადაილტონთან იუხეშა და დამსახურებული წითელი ბარათიც მიიღო. საერთო არეულობაში გასესაც აერია ტვინი, ეგონა, შეცვლა უნდა გავაკეთოო და მადუნის უხმო, რომელმაც მინდორზე მხოლოდ რამდენიმე წამს დაჰყო. მაგრამ, ეს რამდენიმე წამი საკმარისი აღმოჩნდა პსჟ-ს „ჯენტლმენ" უფროსთათვის, რათა მატჩის შედეგი გაეპროტესტებინათ და შემდეგ ეტაპზე თავიანთი კლუბის გასვლა მოეთხოვათ. რა მოჰყვება მათ პროტესტს, ამ კვირაში გაირკვევა.

თვითონ შეხვედრა კი სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მასპინძლებს არც ჯეი-ჯეი ოკოჩას დაბრუნებამ უშველა. მათი წინა ხაზი ადრინდელივით უნიათოდ გამოიყურებოდა. პარიზელთაგან საუკეთესო „კარგი ბიჭი" კასაგრანდე იყო, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია, მაგრამ 58-ე წუთზე მაუვეს დარტყმის შემდეგ ბურთი პსჟ-ს მცველ გომას მოხვდა და კასაგრანდეც უძლური აღმოჩნდა. მე-80 წუთზე ექსოსერელმა სილვესტრმა ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა და თითქოს „მონპელიემაც" ნახევარფინალში გასვლა დაიბევა, მაგრამ მალე 83-ე წუთიც დადგა...

„იმედია, პსჟ-ს საჩივარს არ დააკმაყოფილებენ, თორემ ამ შეცდომას ჩემ თავს დიდხანს ვერ ვაპატიებ" — დამწუხრებულ გასეს მოსამართლეების ეიმედება.

დაძაბული გამოდგა მატჩი მეცშიც, სადაც იქაური გუნდი „ტულუზს" მასპინძლობდა. შეხვედრის ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მეტოქეები „სენ სიმფორიენის" ატალახებულ მინდორზე ნამდვილი ლომებივით შეებნენ ერთმანეთს, წითელ-ყვითელი ბარათებიც ბლომად მოიმკეს და გოლებიც ბევრი გაიტანეს. სათამაშო უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე „ტულუზის" მეკარე ტედი რიშერის გადამკიდე ისინი ანგარიშის გახსნას ვერაფრით ახერხებდნენ. მეტიც, პირველი გოლი სწორედ მათ გაუშვეს. 38-ე წუთზე ბატლმა ჯარიმიდან ბურთი მოროს გაუგორა, რომელმაც აუღებელი დაურტყა ლიონელ ლეტიზის.

შესვენების შემდეგ იმავე მორომ კიდევ ერთი გაიტანა და ისევ ჯარიმიდან. მანამდე კი სტუმრები ათნი დარჩნენ — მეირომ ითვალთმაქცა და მსაჯს პავიო გააძევებინა. მალე „მეცმა" ერთი ბურთი გაქვითა და მთელი ძალით ეკვეთა მეტოქეს. ამ შეჯახებას კი ჯერ ტუას და იესტროვიჩის, შემდეგ კი სტუმარი კობოსის გაგდება მოჰყვა. მატჩის მიწურულს კი მასპინძლებმა თამაშის დამატებით დროში გადაყვანა მოახერხეს.

მესამე და მეოთხე ტაიმებში მეტოქეებმა თითოც გაიტანეს და საქმე პენალტების სერიამდე მიიყვანეს. პირველი სამი დარტყმიდან რიშარმა ორი მოიგერია, ლეტიზი კი უკეთ გაისარჯა და სამივე თერთმეტმეტრიანი აიღო. ბოლო ოთხი პენალტი გავიდა და ნახევარფინალშიც „მეცი" ითამაშებს.

დანარჩენ ორ მეოთხედფინალში სტუმრებმა ერთნაირი ანგარიშით (0:1) იმარჯვეს. თუ „ლანსის" რენში მოგება ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო, „სოშოს" ოსერში გამარჯვება ნამდვილად პატარა სენსაცია იყო.

**გაიოზ თალაკვაძე**



REUTERS პარიზიდან

პსჟ — მონპელიე 0:2. დიუკროს (№23) პსჟ-მ რობერის „მონპელიეს" უჩივლა

## ბელგია

### XXVI ტური

**ლიერსი 5:2 ბრიუგე**

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ვან მეირი, ჰოფკენსი, დაემსი (სერნეელსი 69), ლარემანსი, ლეენი, ზდებელი (ჰუისტრა 66), სომერსი, ვან დე ვეიერი, კავენსი

1:0 სომერსი (2), 2:0 კავენსი (12), 3:0 სომერსი (39), 3:1 იბარი (45), 4:1 ვან დე ვეიერი (48), 4:2 იბარი (54), 5:2 ვან დე ვეიერი (56)

**სტანდარდი 2:0 მუსკრონი**

სტანდარდი: რუნიე, ჰელერსი, ერნსტი, კრუზი, რენიე, დე კონდე, ტიისი, ფოლია, გოდფრუა (ჰალდერმანსი 59), მბო მპენზა, ემილ მპენზა

1:0 მ. მპენზა (13), 2:0 ე. მპენზა (66)

**გენკი 2:1 შარლერუა**

1:0 ულარი (19), 2:0 გუდიონსონი (28), 2:1 სოუზა (78)

**ანდერლეხტი 3:0 ლომელი**

1:0 სელიმესი (36), 2:0 შიფო (86), 3:0 რადზინსკი (90)

**გენტი 4:1 ბევერენი**

0:1 ვან დენ ედე (15), 1:1, 2:1 დეგრიზი (41, 45), 3:1 მარტენსი (56), 4:1 ნილსენი (65)

**ჰარელბეკი 1:1 სენტ ტრუიდენი**

1:0 ზვინგილასი (24), 1:1 დუკულომბიე (90)

**ლოკერენი 1:1 ეკერენი**

1:0 კოლერი (11), 1:1 ვანდერვე (71ჰ)

**აალსტი 1:1 კორტრაიკი**

1:0 დ. კურემანი (22), 1:1 სტალენსი (33)

**ოსტენდე 1:1 ვესტერლო**

0:1 იანსენსი (17), 1:1 ედმილსონი (58)

ბელგიის ჩემპიონატის 25-ე ტურმა „ტრადიციულად" ქართველი ლეგიონერების გარეშე ჩაიარა. თუ გელა შეყილაძე კვლავაც ტრავმის გამო გამოაკლდა „ლიერსს", ლაშა ჯაკობიას „სტანდარდის" შემადგენლობაში უთამაშებლობის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

„ლიერსმა" ჩემპიონატის ლიდერი „ბრიუგე" მიიღო და ამოსუნთქვაც არ აცალა, ისე დაეტაკა. ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გახსნა სომერსმა, 38-ე წუთზე კი მასპინძლები უკვე 3:0-ს იგებდნენ. „ბრიუგემ" ვერც მატჩის ბედის შემობრუნება შეძლო და ვერც დიდი ანგარიშით მარცხს დააღწია თავი.

„უნდა ვაღიარო, რომ მოწინააღმდეგე დღეს ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა" — თქვა მატჩის შემდეგ „ბრიუგეს" თავკაცმა ერიკ გერეტსმა, რომლის ხელმძღვანელობითაც „ლიერსი" ორი წლის წინ ბელგიის ჩემპიონი გახდა.

„ბრიუგეს" მარცხით იმწამს ისარგებლა „გენკმა", რომელმაც „შარლერუას" სძლია და გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. თანაც მას ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, ასე რომ, ოქროს მედლების მოპოვების უკეთესი შანსი სწორედ „გენკს" აქვს.

**დავით სიჭინავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 24 | 16 | 5 | 3 | 53:27 | 53 |
| ბრიუგე | 25 | 16 | 4 | 5 | 48:27 | 52 |
| მუსკრონი | 25 | 13 | 7 | 5 | 54:38 | 46 |
| ანდერლეხტი | 24 | 13 | 5 | 6 | 48:33 | 44 |
| სტანდარდი | 25 | 14 | 2 | 9 | 45:27 | 44 |
| გენტი | 25 | 12 | 8 | 5 | 45:40 | 44 |
| სენტ ტრუიდენი | 25 | 11 | 7 | 7 | 34:29 | 40 |
| ლიერსი | 25 | 12 | 3 | 10 | 50:39 | 39 |
| ლოკერენი | 24 | 11 | 5 | 8 | 47:40 | 38 |
| ეკერენი | 25 | 10 | 5 | 10 | 37:37 | 35 |
| ვესტერლო | 24 | 9 | 4 | 11 | 44:43 | 31 |
| აალსტი | 25 | 8 | 6 | 11 | 35:42 | 30 |
| ჰარელბეკი | 25 | 7 | 9 | 9 | 32:37 | 30 |
| შარლერუა | 24 | 4 | 10 | 10 | 29:37 | 22 |
| ლომელი | 25 | 5 | 4 | 16 | 23:42 | 19 |
| ბევერენი | 25 | 4 | 5 | 16 | 25:51 | 17 |
| კორტრაიკი | 24 | 3 | 6 | 15 | 33:60 | 15 |
| ოსტენდე | 25 | 2 | 9 | 14 | 23:56 | 15 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## თურქეთი

23-ე ტური: ტრაბზონი — ერზურუმი 3:1; დარდანელი — გაზიანთეფი 0:1; საქარია — ისთანბული 3:0; ანკარაგიუჯიუ — ბურსა 2:2; ბეშიქთაში — ქოჯაელი 0:3; ანთალია — ალთაი 4:2; სამსუნი — ადანა 2:0; ქარაბუქი — გენჩლერბირლიგი 1:6; გალათასარაი — ფენერბაჰჩე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 23 | 16 | 5 | 2 | 62:23 | 53 |
| ფენერბაჰჩე | 23 | 15 | 4 | 4 | 57:16 | 49 |
| ბეშიქთაში | 23 | 14 | 6 | 3 | 38:21 | 48 |
| ტრაბზონი | 23 | 13 | 5 | 5 | 33:24 | 44 |
| ქოჯაელი | 23 | 12 | 4 | 7 | 30:21 | 40 |
| გენჩლერბირ. | 23 | 9 | 8 | 6 | 36:28 | 35 |
| ანთალია | 23 | 10 | 5 | 8 | 31:29 | 35 |
| ისთანბული | 23 | 9 | 7 | 7 | 38:32 | 34 |
| გაზიანთეფი | 23 | 9 | 7 | 7 | 32:32 | 34 |
| ალთაი | 23 | 8 | 4 | 11 | 36:40 | 28 |
| ანკარაგიუჯიუ | 23 | 7 | 4 | 12 | 29:37 | 25 |
| ბურსა | 23 | 7 | 4 | 12 | 35:49 | 25 |
| სამსუნი | 23 | 7 | 4 | 12 | 25:39 | 25 |
| ადანა | 23 | 7 | 3 | 13 | 23:40 | 24 |
| საქარია | 23 | 6 | 5 | 12 | 29:36 | 23 |
| ერზურუმი | 23 | 5 | 7 | 10 | 23:47 | 22 |
| დარდანელი | 23 | 3 | 8 | 12 | 14:31 | 17 |
| ქარაბუქი | 23 | 3 | 5 | 15 | 18:44 | 14 |

## სლოვენია

მე-18 ტური: ბელტინჩი — ოლიმპია 2:0; ნოვა გორიცა — მარიბორი 2:5; კოპერი — მურა 0:3; ველენიე — კოროტანი 2:0; ცელიე — ტრიგლავი 1:0; დომჟალე — აიდოვშინა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 18 | 10 | 6 | 2 | 42:21 | 36 |
| ნოვო გორიცა | 18 | 10 | 3 | 5 | 36:24 | 33 |
| მურა | 18 | 9 | 5 | 4 | 36:16 | 32 |
| ოლიმპია | 18 | 8 | 4 | 6 | 29:25 | 28 |
| ველენიე | 18 | 7 | 5 | 6 | 20:15 | 26 |
| აიდოვშინა | 18 | 7 | 4 | 7 | 24:21 | 25 |
| კოროტანი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:25 | 25 |
| ბელტინჩი | 18 | 6 | 3 | 9 | 23:33 | 21 |
| ცელიე | 17 | 4 | 6 | 7 | 14:22 | 18 |
| კოპერი | 18 | 4 | 5 | 9 | 18:33 | 17 |
| დომჟალე | 18 | 4 | 5 | 9 | 17:35 | 17 |
| ტრიგლავი | 18 | 3 | 6 | 9 | 15:29 | 15 |

## პოლონეთი

მე-17 ტური: კატოვიცე — ლეხი 1:2; გურნიკი — ვიძევი 0:1; რუხი — ოდრა 0:2; ვისლა — პოლონია 1:3; ბელხატოვი — ზაგლებიე 0:1; ლკს — პოგონი 1:1; ლეგია — სტომილი 1:0; ამიცა — რაძიონკოვი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 17 | 14 | 1 | 2 | 39:14 | 43 |
| ლეხი | 17 | 12 | 0 | 5 | 37:17 | 36 |
| ლეგია | 17 | 9 | 5 | 3 | 22:14 | 32 |
| ვიძევი | 17 | 10 | 1 | 6 | 30:21 | 31 |
| გურნიკი | 17 | 7 | 6 | 4 | 23:17 | 27 |
| პოლონია | 17 | 7 | 5 | 5 | 27:22 | 26 |
| ამიცა | 17 | 7 | 2 | 8 | 25:26 | 23 |
| რაძიონკოვი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:19 | 22 |
| ზაგლებიე | 17 | 5 | 5 | 7 | 26:28 | 20 |
| ბელხატოვი | 17 | 6 | 2 | 9 | 17:28 | 20 |
| პოგონი | 17 | 5 | 4 | 8 | 22:32 | 19 |
| რუხი | 17 | 5 | 4 | 8 | 14:26 | 19 |
| ლკს | 17 | 4 | 6 | 7 | 17:25 | 18 |
| სტომილი | 17 | 5 | 2 | 10 | 16:24 | 17 |
| კატოვიცე | 17 | 5 | 1 | 11 | 16:31 | 16 |
| ოდრა | 17 | 2 | 6 | 9 | 17:28 | 12 |

## საბერძნეთი

22-ე ტური. აეკი — ოფი 2:0; იონიკოსი — პანათინაიკოსი 4:4; პაოკი — ეთნიკოსი (პირეოსი) 0:0; ეთნიკოსი (ასტირი) — ირაკლისი 1:0; არისი — კავალა 3:1; აპოლონი — ვერია 2:0; ქსანტი — პრუდენფტიკი 4:1; ოლიმპიაკოსი — პანილიაკოსი 3:0; პანელეფსინიაკოსი — პანიონისი 1:0;

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 17 | 2 | 3 | 57:15 | 53 |
| აეკი | 22 | 15 | 4 | 3 | 52:18 | 49 |
| პანათინაიკოსი | 22 | 15 | 2 | 5 | 41:25 | 47 |
| პაოკი | 22 | 13 | 4 | 5 | 29:19 | 43 |
| არისი | 22 | 12 | 4 | 7 | 31:29 | 39 |
| ქსანტი | 22 | 11 | 5 | 6 | 27:20 | 38 |
| იონიკოსი | 22 | 10 | 6 | 6 | 42:24 | 36 |
| ოფი | 22 | 10 | 2 | 10 | 32:29 | 32 |
| ირაკლისი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:23 | 30 |
| ეთნიკოსი (ა) | 22 | 9 | 2 | 11 | 25:35 | 29 |
| პანილიაკოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 27:35 | 25 |
| პანიონისი | 22 | 7 | 3 | 12 | 32:34 | 24 |
| კავალა | 22 | 6 | 6 | 10 | 32:45 | 24 |
| პრუდენფტიკი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:28 | 21 |
| აპოლონი | 22 | 4 | 7 | 11 | 24:45 | 19 |
| ვერია | 22 | 3 | 4 | 14 | 12:39 | 13 |
| ეთნიკოსი (პ) | 22 | 0 | 8 | 14 | 12:49 | 8 |

## შვეიცარია

### ფინალური ეტაპი
### II ტური

**ბაზელი 1:0 ქსამაქსი**

1:0 გონსალვეში (36)

**სენტ გალენი 2:0 სერვეტი**

1:0, 2:0 კონტინი (31, 34)

**ლოზანა 3:1 ციურიხი**

1:0 ტურე (49), 2:0 მანცონი (87), 2:1 ბარტლეტი (88), 3:1 მანცონი (90)

ციურიხი: შორუნმუ, ჰოდელი, ლიმა, ფიშერი, ტარონე (ჰუბერი 64), ვიდერკერი (ალბრეხტი 78), სანტანა, კასტილიო, ჯამარაული (ნიქსონი 63), ბარტლეტი, შასო

**გრასჰოპერი 4:0 ლუცერნი**

1:0, 2:0 დე ნაპოლი (16, 22), 3:0 სმილიანიჩი (79), 4:0 მანინი (86)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, ბერნერი, ტიკვა (სერმეტერი 46), ფოგელი, ტარარახე (მიულერი 65), კომიზეტი, ყაველაშვილი (მანინი 76), დე ნაპოლი

კვირას შვეიცარიის ჩემპიონატში გოჩა ჯამარაულის დებიუტი შედგა. თუმცა უიღბლო. მისმა „ციურიხმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. „ლოზანასთან" გასვლით შეხვედრაში მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა. 49-ე წუთზე ტურემ გახსნა ანგარიში. დანარჩენი სამი გოლი მატჩის მიწურულს გავიდა. აქედან ორი ლოზანელმა მანცონიმ გაიტანა. ხოლო მის გოლებს შორის სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმა შეაგდო პრესტიჟის ბურთი, რომელმაც „ციურიხს" დიდი ანგარიშით მარცხი ააცილა. ჯამარაულს თავი არაფრით გამოუჩენია და 63-ე წუთზე შეცვალეს კიდეც. ეს გოჩას სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო მოსალოდნელიც გახლდათ.

კვირას მიხეილ ყაველაშვილმაც ითამაშა „გრასჰოპერის" ძირითად შემადგენლობაში და ჯამარაულის მსგავსად ისიც შეცვალეს. ყაველაშვილს, შეგახსენებთ, ბოლო დროს ტრავმა აწუხებდა, რის გამოც ოთხშაბათს პირველი ტურის თამაშიც გამოტოვა.

„ლუცერნთან" „გრასჰოპერი" უდიდეს უპირატესობას ფლობდა და უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლო გამარჯვება. 25-ე წუთზე, როცა ანგარიში უკვე 2:0 გახლდათ, ყაველაშვილის უძლიერესად დარტყმული ხარიხამ მოიგერია. მალე კი „ლუცერნის" მეკარე გრევოიზერმა იყოჩაღა, როცა კომიზეტის მზაკვრულად დარტყმული ბურთი კუთხურზე გადააგდო. პირველი ტაიმის მიწურულს საგოლე მომენტი სტუმრებსაც შეექმნათ, მაგრამ ჰაასმა კოუმანტარიკისის თავური კარის ხაზიდან გამოიტანა. ანგარიში კი თამაშის დასაწყისშივე გაიხსნა. გრენის კარგი პასი დე ნაპოლიმ გამოიყენა, რომელმაც 23-ე წუთზე ყაველაშვილის დახმარებით დუბლიც შეასრულა. მეორე ტაიმში კი სმილიანიჩმა და მანინიმ ისახელეს თავი და საბოლოოდ „კალიებმაც" იოლად გაიმარჯვეს.

ამ მოგებით „გრასჰოპერმა" ორ ქულამდე შეამცირა ქულათა სხვაობა ჩემპიონატის ლიდერ „სერვეტთან", რომელიც სტუმრად „სენტ გალენთან" 0:2 დამარცხდა. მასპინძელთაგან ორივე გოლი კონტინიმ გაიტანა.

მეოთხე მატჩში „ბაზელმა" „ქსამაქსი" მიიღო და 1:0 დაამარცხა. გადამწყვეტი ბურთი პირველი ტაიმის 36-ე წუთზე გონსალვეშმა გაიტანა. „ბაზელს" მეორე ტაიმში რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდა, მსაჯმა უხეში თამაშისთვის 53-ე წუთზე ნიანკა გააძევა.

დაბოლოს, შაბათს, 13 მარტს, „ციურიხი" „გრასჰოპერს" უმასპინძლებს. ჯამარაული ყაველაშვილს დაუპირისპირდება მანამდე, ხუთშაბათს ციურიხში „კალიების" პრეზიდენტ რომანო სპადაროს „იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი ეწვევა. ეს ორი პატივცემული პირი ურუგვაელი მარსელო ზალაიეტას შესახებ მოილაპარაკებს. „იუვენტუსს" ზალაიეტა ამჟამად იტალიისავე „პერუჯაში" ჰყავს განათხოვრებული.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 25 |
| გრასჰოპერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 23 |
| ლოზანა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 22 |
| სენტ გალენი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 20 |
| ბაზელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 20 |
| ციურიხი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 19 |
| ქსამაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 17 |
| ლუცერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 14 |

## პორტუგალია

მეექვსე რაუნდი

**ბეირა მარი 1:1 ლეირია**

1:0 სიმიჩი (4), 1:1 ბილრო (15)

**ალვერკა 0:3 კამპომაიორენსე**

0:1 რენე რივასი (44), 0:2 ლაელსონი (64), 0:3 ისაიაში (67)

**კაკადორესი (II) 1:2 ესპოსენდე (II)**

**სეტუბალი 4:0 პაკოს ფერეირა (II)**

1:0 ფრეჰაუტი (1), 2:0 ჰელიო (12), 3:0, 4:0 კასუმოვი (31, 60)

**მარიტიმუ 5:1 პევიდემი (III)**

## ხორვატია

ოსიეკი — ციბალია 3:1; კროაცია — რიეკა 3:0; ზადარკომერცი — ზაგრები 1:1; სიბენიკი — ჰაიდუკი 1:0; მლადოსტ 127 — სლავენი 0:0; დრაგოვოლიაცი — ვარტექსი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კროაცია | 20 | 15 | 2 | 3 | 41:13 | 47 |
| რიეკა | 20 | 15 | 1 | 4 | 30:17 | 46 |
| ჰაიდუკი | 20 | 11 | 6 | 3 | 36:16 | 39 |
| ოსიეკი | 20 | 10 | 3 | 7 | 33:21 | 33 |
| ვარტექსი | 20 | 8 | 3 | 9 | 34:33 | 27 |
| ზაგრები | 20 | 5 | 8 | 7 | 25:32 | 23 |
| დრაგოვოლიაცი | 20 | 5 | 7 | 8 | 14:18 | 22 |
| ციბალია | 20 | 5 | 5 | 10 | 19:28 | 20 |
| ზადარკომერცი | 20 | 5 | 5 | 10 | 27:38 | 20 |
| სიბენიკი | 20 | 6 | 2 | 12 | 25:44 | 20 |
| მლადოსტ 127 | 20 | 5 | 4 | 11 | 21:34 | 19 |
| სლავენი | 20 | 4 | 6 | 10 | 23:34 | 18 |

## იუგოსლავია

ოფკ — ბუდუჩნოსტი 5:3; ობილიჩი — რადნიჩკი (ნიში) 5:0; მილიციონარი — პრისტინა 2:0; ჰაიდუკი — ჟელეზნიკი 1:0; პარტიზანი — სპარტაკი 5:1; პროლეტერი — მოგრენი 2:2; რადი — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 2:1; ვოივოდინა — სარტიდი 1:0; ზემუნი — ცრვენა ზვეზდა გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 21 | 19 | 2 | 0 | 52:9 | 59 |
| ობილიჩი | 21 | 17 | 4 | 0 | 53:9 | 55 |
| ცრვენა ზვეზდა | 20 | 13 | 5 | 2 | 45:13 | 44 |
| ვოივოდინა | 21 | 12 | 2 | 7 | 42:20 | 38 |
| რადი | 21 | 11 | 5 | 5 | 23:21 | 38 |
| პროლეტერი | 21 | 9 | 5 | 7 | 26:24 | 32 |
| ჰაიდუკი | 21 | 8 | 5 | 8 | 26:25 | 29 |
| ზემუნი | 20 | 9 | 1 | 10 | 30:38 | 28 |
| ოფკ | 21 | 7 | 6 | 8 | 31:32 | 27 |
| მილიციონარი | 21 | 7 | 4 | 10 | 36:36 | 25 |
| რადნიჩკი (კ) | 21 | 7 | 3 | 14 | 30:41 | 24 |
| სარტიდი | 21 | 5 | 8 | 8 | 18:25 | 23 |
| ჟელეზნიკი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:39 | 22 |
| ბუდუჩნოსტი | 21 | 5 | 5 | 11 | 26:41 | 20 |
| პრისტინა | 21 | 5 | 2 | 14 | 22:43 | 17 |
| მოგრენი | 21 | 3 | 8 | 10 | 17:38 | 17 |
| სპარტაკი | 21 | 5 | 0 | 16 | 30:52 | 15 |
| რადნიჩკი (ნ) | 21 | 3 | 5 | 13 | 19:43 | 14 |

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**კილმარნოკი 0:0 დანფერმლაინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 25 | 17 | 5 | 3 | 56:22 | 56 |
| სელტიკი | 26 | 14 | 7 | 5 | 62:24 | 49 |
| კილმარნოკი | 25 | 11 | 9 | 5 | 31:15 | 42 |
| სტ. ჯონსტონი | 26 | 11 | 9 | 6 | 32:33 | 42 |
| მოზერველი | 26 | 7 | 9 | 10 | 25:38 | 30 |
| აბერდინი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:43 | 30 |
| დანდი | 26 | 7 | 6 | 13 | 22:43 | 27 |
| დანდი იუნ. | 26 | 6 | 8 | 12 | 27:31 | 26 |
| ჰართსი | 26 | 6 | 6 | 14 | 22:38 | 24 |
| დანფერმლაინი | 26 | 2 | 15 | 9 | 19:38 | 21 |

თასის მეოთხე წრის გადათამაშება

**დანდი იუნ. 3:0 კლაიდბენკი**

1:0 დაფი (14), 2:0, 3:0 ოლოფსონი (62, 65)

თასის მეოთხედფინალი

**რეინჯერსი 2:1 ფალკირკი**

1:0 მაკკენი (52), 1:1 მოსი (59), 2:1 ამორუზო (76)

**მოზერველი 0:2 სტ. ჯონსტონი**

0:1 დოდსი (71), 0:2 სიმაო (80)

ნახევარფინალის კენჭისყრა

რეინჯერსი — სტ. ჯონსტონი

გრინოკ მორტონი ან სელტიკი — აირი ან დანდი იუნ.

მატჩები 10-11 აპრილს გაიმართება.

## ჰოლანდია

XXIII ტური

**აიაქსი 5:2 უტრეხტი**

1:0 ნვაკრე (5), 2:0 მაკართი (23), 3:0 გრონკიაერი (49), 3:1 მოლსი (55), 4:1 მაკართი (57), 4:2 მოლსი (65), 5:2 მაკართი (70)

აიაქსი: ვან დერ სარი, მელხიოტი, ოლისე, ბლინდი, სიერი (დე კლერი 46), რუდი, ლიტმანენი, ვიჩხე, მაკართი, ვამბერტო (ბაბანგიდა 74), გრონკიაერი

**ბრედა 2:2 ჰერენვენი**

0:1 დე ნოიერი (40), 1:1, 2:1 სტიუარტი (42, 52), 2:2 დონებუში (79)

ბრედა: კარელსე, ვან ასი, ცვინენბერგი, ატმოდიკორო, შროიდერი, ვერსტიმი, ჰანსენი, შუკოვი, სტიუარტი, მილიჩიჩი (ვან დე ლუი 85), არველაძე (ზეფილინიო 74)

**როდა 1:3 ეინდჰოვენი**

0:1, 0:2 ნილისი (29, 69), 0:3 ბრუგინკი (78), 1:3 პეტერსი (81)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვერდენი (ლუციუსი 88), სკერლა, დირქსი, ოიენი, ნიკიფოროვი, ხოხლოვი, ოიერი, ბრუგინკი, ნილისი (დე ბილდე 75), ვან ნისტელროოი

**გრააფსხაპი 3:4 ფეიენოორდი**

1:0 რულოფსენი (6), 2:0 რედეკერი (10), 2:1 ვან გასტელი (15პ), 3:1 რზაზა (51), 3:2 ვან გასტელი (55), 3:3 კორნეევი (83), 3:4 კაირო (84)

**სპარტა 1:0 ნაიმეგენი**

1:0 ელ ხატაბი (56)

**ვალვაიკი 1:3 ტილბურგი**

0:1 ბომბარდა (33), 0:2 ვიქტორია (52), 0:3 რამზი (83), 1:3 ჰუგენდორფი (90პ)

**ალკმაარი 3:1 კამბური**

0:1 დურმუსოღლუ (12), 1:1, 2:1 უბერტსი (13, 75), 3:1 მუტსერსი (84)

**მაასტრიხტი 2:5 ტვენტე**

1:0 ვრიესდე (51), 2:0 კორჩაგინი (53), 2:1 დე ვიტე (60), 2:2, 2:3 ჰესელინკი (62, 71), 2:4 ვან დერ პაარი (81), 2:5 ჰესელინკი (90)

**ვიტესი 1:2 სიტარდი**

0:1 ჰამინგი (24), 1:1 კუროვიჩი (69), 1:2 სიმონსი (87)

ჰოლანდიის ჩემპიონმა ამსტერდამის „აიაქსმა" კვლავ იმარჯვა. წინა ტურის დარად, ისევ ხუთი გოლი გაიტანა, თუმცა ამჯერად მეგოლეთა შორის არ ყოფილა ქართველი თავდამსხმელი შოთა არველაძე.

„ამსტერდამ არენაზე" შეკრებილმა რამდენიმე ათასმა ქომაგმა ძველებურად ათამაშებული საყვარელი კლუბი იხილა, თუმცა დასავიწყებელი არც ისაა, რომ „აიაქსის" მეტოქეც არ იყო რომელიმე გრანდი — იგი მხოლოდ და მხოლოდ „უტრეხტი" გახლდათ.




ბენი მაკართის (№17) თანაგუნდელები ჰეთ თრიქს ულოცავენ

სტუმართა განადგურებაში დიდი როლი ითამაშა სამხრეთაფრიკელმა თავდამსხმელმა ბენი მაკართიმ, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა. სხვათა შორის, მან მატჩის შემდეგ განაცხადა, სამწუხაროა, ჩვენი მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო რომ არ გვრჩება, დარწმუნებული ვარ, ახლა პირველობის შუაწელი რომ იყოს, ჩემპიონობისთვისაც გავაგრძელებდით ბრძოლასო.

„აიაქსი" ჩემპიონობას, ალბათ, უნდა დაემშვიდობოს, იმდენად დიდი სხვაობით ჩამორჩება ლიდერს, მაგრამ დიდი შანსი აქვს, მეორე ადგილზე გავიდეს. კლუბის მწვრთნელ იან ვაუტერსს მიზნად სწორედ ეს და თასის მოპოვება აქვს დასახული.

თუ „აიაქსი" პრიზიორობისთვის იბრძვის, „ფეიენოორდმა" პირველობა თითქმის დაიბევა. კლუბი „ვიტესს" 11 ქულით უსწრებს და რაც დრო გადის, უფრო და უფრო უახლოვდება მე-14 საჩემპიონო ტიტულს.

ბოლო ტურში, „გრააფსხაპში" როტერდამელები მასპინძელთაგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ერთი ხანობა, ორი ბურთითაც ჩამორჩნენ მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმარჯვეს. დაძაბულ მატჩში მათი წარმატება შესაშურმა მობილიზებამ და ბოლო შვიდ წუთში გატანილმა ორმა გოლმა განაპირობა.

ზემოთ ლიდერის მდევარი „ვიტესი" ვახსენეთ — პატარა ქალაქ არნემის ეს კლუბი ბოლო წლებია, სტაბილურად ასპარეზობს, მაგრამ ამ ტურში მოულოდნელად წაიბორძიკა და შინ „სიტარდთან" წააგო. სხვათა შორის, „ვიტესი" 1996 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად დამარცხდა შინ.

რაც შეეხებათ ქართველ ლეგიონერებს, ოთხიდან მხოლოდ ერთმა, არჩილ არველაძემ ითამაშა. აიაქსელები შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე, ასევე ეინდჰოვენელი გოგა გახოკიძე ამ ტურს გამოაკლდნენ.

**ირაკლი ილაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 22 | 17 | 4 | 1 | 52:20 | 55 |
| ვიტესი | 23 | 13 | 5 | 5 | 44:29 | 44 |
| აიაქსი | 23 | 11 | 8 | 4 | 49:23 | 41 |
| როდა | 22 | 12 | 4 | 6 | 45:29 | 40 |
| ეინდჰოვენი | 23 | 11 | 7 | 5 | 54:38 | 40 |
| ტვენტე | 24 | 11 | 6 | 7 | 38:33 | 39 |
| ტილბურგი | 23 | 11 | 4 | 8 | 41:38 | 37 |
| ალკმაარი | 23 | 9 | 10 | 4 | 38:36 | 37 |
| ჰერენვენი | 23 | 9 | 9 | 5 | 37:30 | 36 |
| უტრეხტი | 23 | 8 | 5 | 10 | 40:43 | 29 |
| ნაიმეგენი | 24 | 7 | 8 | 9 | 32:38 | 29 |
| სიტარდი | 23 | 7 | 6 | 10 | 28:36 | 27 |
| კამბური | 22 | 5 | 7 | 10 | 25:41 | 22 |
| მაასტრიხტი | 23 | 5 | 7 | 11 | 29:42 | 22 |
| გრააფსხაპი | 23 | 4 | 10 | 9 | 24:37 | 22 |
| სპარტა | 23 | 5 | 3 | 15 | 24:46 | 18 |
| ბრედა | 23 | 3 | 5 | 15 | 25:42 | 14 |
| ვალვაიკი | 24 | 2 | 6 | 16 | 25:49 | 12 |

**აბუჯაში გაიმართა 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა. შეჯიბრება 3-24 აპრილს გაიმართება, ხოლო გუნდები ჯგუფებში ასე განაწილდნენ:**

A ჯგუფი: ნიგერია, კოსტა რიკა, გერმანია, პარაგვაი

შეხვედრები ლაგოსში გაიმართება

B ჯგუფი: განა, ხორვატია, არგენტინა, ყაზახეთი

შეხვედრები კადუნაში გაიმართება

C ჯგუფი: ავსტრალია, საუდის არაბეთი, მექსიკა, ირლანდია

შეხვედრები იბადანში გაიმართება

D ჯგუფი: ურუგვაი, მალი, კორეა, პორტუგალია

შეხვედრები ენუგუში გაიმართება

E ჯგუფი: კამერუნი, იაპონია, ინგლისი, აშშ

შეხვედრები კანოსა და ბაუჩიში გაიმართება

F ჯგუფი: ზამბია, ჰონდურასი, ესპანეთი, ბრაზილია

შეხვედრები პორტ ჰარკურტსა და კალაბარში გაიმართება

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის თასის ნახევარფინალი

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი — ბაიერნი (გელზერკირხენში) | 9,0 | 5,0 | 1,2 |

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — ვერდერი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — შეფილდ უენსდეი | 1,3 | 4,0 | 5,7 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,5 |

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დერბი — ასტონ ვილა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ნიუკასლი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXVI ტური

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ბარნსლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბრედფორდი — სანდერლენდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბრისტოლი — ბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — იფსვიჩი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| გრიმსბი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნორვიჩი — პორტ ველი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ოქსფორდი — ჰადერსფილდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პორტსმუთი — შეფილდ იუნაიტედი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| სტოკპორტი — სვინდონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ტრანმერი — ბირმინგემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვულვერჰემპტონი — ქრიუ | 1,25 | 4,0 | 7,0 |

### ინგლისის თასი. გადათამაშება

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — მანჩესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალიის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარმა — ინტერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ბოლონია | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანსი — ბორდო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სოშო — მარსელი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ლორიანი — რენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლანსი — მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიონი — ოსერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სტრასბური — ბასტია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| პსჟ — ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტულუზი — ლე ავრი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ჰოლანდიის თასის მეოთხედფინალი

9-11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — ვიტესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ეინდჰოვენი (II) — პსვ ეინდჰოვენი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| სიტარდი — ემენი (II) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ზვოლე — აიაქსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |

### ბელგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — გენკი | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,5 |

### თურქეთის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — საქარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუსტენაუ — რიდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ამხანაგური მატჩი

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუმინეთი — ისრაელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### ჰოკეი. NHL

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| აილენდერსი — ფილადელფია | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| პიტსბურგი — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვაშინგტონი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სენტ ლუისი — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სან ხოსე — ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კაროლინა — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ჩიკაგო — ნეშვილი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ედმონტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ანაჰაიმი — ვანკუვერი | 1,25 | 4,4 | 4,4 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| აილენდერსი — ტორონტო | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფილადელფია — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ვაშინგტონი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სენტ ლუისი — მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფინიქსი — ვანკუვერი | 1,3 | 4,4 | 4,0 |

### კალათბურთი. NBA

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი — მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| შარლოტი — ბოსტონი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| მინესოტა — სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ჩიკაგო — ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| დალასი — ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| ჰიუსტონი — დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| იუტა — კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| პორტლენდი — საკრამენტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| კლიპერსი — ლეიკერსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| გოლდენ სტეიტი — ვანკუვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია — შარლოტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ვაშინგტონი — დეტროიტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| ინდიანა — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| მაიამი — ატლანტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| მილუოკი — სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| სან ანტონიო — ორლანდო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| ფინიქსი — კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ლეიკერსი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი — ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| მაიამი — ტორონტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ატლანტა — ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ჩიკაგო — სიეტლი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| დალასი — ორლანდო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| ჰიუსტონი — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ჰიუტა — დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| კლიპერსი — საკრამენტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| გოლდენ სტეიტი — მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ოქრუაშვილი ხუთეულის ძიებაშია

8 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
17 ტური

**სტუ 73:91 ვითა**

I ტაიმი 37:47
სტუ: ჩერქეზიშვილი (7), მოისწრაფიშვილი, ცხვედიანი (8), ცქიტიშვილი (22), ოთიურიძე (5); ტულუში (7), გაგნიძე (8), ნოზაძე, ლოსაბერიძე (10), მინაშვილი (6), მიქაძე
ვითა: უსტიაშვილი (10), აბრამიძე (15), ჩუბინიძე (14), ორმოცაძე (9), კორძაძე (9); ვაშაკიძე (2), ტურაშვილი (2), ჭირაქაძე (2), ახალკაცი (2), კოკოლიშვილი (26)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქურიძე

**წინა** დღის „დინამო" — თსუ-სი არ იყოს, აქაც პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე ერთმა გუნდმა მეორეს. არა, ჩამორჩენა ათ ქულაზე მეტი არ ყოფილა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ასეთი თამაშით სტუ ვერაფერს დააკლებდა ექვსგზის ჩემპიონ „ვითას", რომელიც ამ გამარჯვებით „უკონკურენციოდ" დამკვიდრდა მესამე ადგილზე.

სტუდენტებმა კი წინა ტურში „დინამოსთან" წაგებას ახლა „ვითასთან" მარცხიც დაურთეს და აქედან გამომდინარე, გუნდის გულშემატკივართა უკმაყოფილებაც ბუნებრივია — პირველ წრეში სტუ მხოლოდ ერთხელ, ისიც „აზოტთან" დამარცხდა, ჯერაც დაუმთავრებელ მეორე წრეში კი უკვე სამი მარცხი იწვნია და ბოლო ტურში კვლავაც გათამაშების ლიდერ რუსთაველებთან აქვს სათამაშო.

ფაქტია, რომ მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა რაღაც უნდა შეცვალოს გუნდში. კარგი და გამოცდილი მოთამაშეების ნაკლებობას სტუ ნაღდად არ განიცდის და წარუმატებლობის მიზეზი, ალბათ, მაინც მწვრთნელთა პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. თანაბარძალოვანი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდში მწვრთნელებს არჩევანის გაკეთება უჭირთ და დღემდე არ გამოიკვეთა ის სასტარტო ხუთეული, რომელსაც ოქრუაშვილი დაეყრდნობა. სხვა მხრივ, სტუ-ს არაფერი აქვს სადარდებელი, გუნდი ფიზიკურადაც მშვენივრად გამოიყურება და ზემოხსენებული ნაკლოვანების აღმოფხვრასთან ერთად მისი დროებით წარუმატებლობაც წარსულს ჩაბარდება.

სტუდენტებზე სიტყვა გაგვიგრძელდა და გამარჯვებულ ვითელებზე თითქმის არაფერი გვითქვამს. გუნდში დავით უსტიაშვილის მოსვლა მათ თამაშსაც დაეტყო, „ვითას" შეტევები უნარიანმა გამთამაშებელმა ჩაიბარა და მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს ტაქტიკური ვარირების საშუალება მიეცა.

მართალია, მატჩის დებიუტი სტუ-მ უკეთ ჩაატარა და ჩერქეზიშვილის და ცხვედიანის კარგი თამაშით ათი ქულითაც დაწინაურდა 18:8, მაგრამ გამოცდილმა უსტიაშვილმა მეტი აღარ დაანება მეტოქეს, გუნდის შეტევები დაალაგა და დაცვაშიც მედგრად დაუდგა მოწინააღმდეგეს.

შუაგული ტაიმისთვის „ვითა" ორმოცაძის სამიანით წინაც გავიდა 24:22, ხოლო როცა აბრამიძე და კოკოლიშვილიც ჩვეულად ამოქმედდნენ, სტუ ახლა ათი ქულით ჩამოიტოვეს 41:31. სტუდენტები ერთხანს წამოეწივნენ კიდეც ჩემპიონებს, მაგრამ ტაიმის ბოლოს „ვითას" სპურტმა კვლავაც ათქულიანი სხვაობა დააფიქსირა.

მეორე ნახევარიც მთლიანად ვითელების კარნახით წარიმართა. საკმაოდ დაწინაურებულებმა გულიც დაიარხეინეს და ერთთავად კომბინაციების დამუშავებას მიჰყვეს ხელი. სტუ კი ამაოდ ლამობდა მატჩის გადარჩენას.

**გიორგი ბიკაშვილი**



სტუ — ვითა. მამუკა აბრამიძემ სტუდენტები გვარიანად შეაწუხა

7 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
17 ტური

**დინამო 101:84 თსუ**

I ტაიმი 64:39
დინამო: ნიკოლაძე (24), მაისურაძე (6), შანიძე (4), სანიკიძე (12), კილაძე (28); ხეცურიანი (8), აბულაძე (6), წიკლაური (19), ახვლედიანი
თსუ: ვეფხვაძე (2), წოწელია (21), მარკოიშვილი (16), არსიაშვილი (10), ხელაშვილი (16); თაბუაშვილი (2), მშვილდაძე (3), მგალობლიშვილი (9), დიმიტრიადი (5)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

# ყველაზე უარესი...

**სტუდენტებმა** თუ ასე განაგრძეს, ფლეი ოფიც უკან დარჩებათ და კიდევ არაერთი გუნდისგან გამწარდებიან. ამას წინათ მრისხანე „ვითას" დამმარცხებელმა თსუ-მ, წინა ტურში „შევარდენთან" რომ გაისეირნა, ალბათ, ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა არსებობის მანძილზე. ყოველ შემთხვევაში, უშუალო კონკურენტ დინამოელებთან გვარიანად შერცხვა, რაც ძვირფასი ქულის დაკარგვად დაუჯდა. მართალია, „დინამომ" გათამაშების ცხრილში სტუდენტობას ვერ გაასწრო, მაგრამ ქულათა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და ასეთი ბურთაობით არც სანუკვარ ოთხეულში ფეხის მოკიდება გაუჭირდება.

უნივერსიტეტელებამდე „დინამომ" მათი ტექნიკოსი კოლეგები დაამწუხრა. მაშინაც და ახლაც ლევან მოსეშვილის შეგირდებმა გააზრებული თამაშით დაამახსოვრეს თავი მაყურებელს. განსაკუთრებით აგრესიული მათი ზონური დაცვაა, რომელიც დროდადრო უფრო და უფრო მობილური ხდება და ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დიდ საფიქრალს უჩენს.

„დინამომ" თავიდანვე რიხით დაიწყო შეხვედრა. კარგად თამაშობდა გუნდის გამთამაშებელი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც ირაკლი მაისურაძესთან ერთად ძალიან სახიფათო დუეტი შექმნა. ორივე ფარზე კი ვალერი კილაძე გაბატონდა, რომლის წინააღმდეგ თვით გამოცდილი არჩილ ხელაშვილიც უძლური იყო. ფარს რომ მთლიანად დაეპატრონნენ, დინამოელები შეტევებსაც მიეძალნენ და წარმატებითაც გაართვეს ამას თავი. თსუ-მ ვერა და ვერ ააწყო თამაში, განსაკუთრებით დაცვაში მოიკოჭლებდა და ამიტომაც იყო, რომ მეტოქის თითქმის ყველა შეტევა შედეგიანად მთავრდებოდა.

შემდეგ ლევან წიკლაური ათამაშდა და გუნდმა მალე ათქულიან უპირატესობასაც უწია 24:14. სტუდენტთა მწვრთნელ ნოდარ ქორქიას წუთშესვენება ფუჭი გამოდგა. ის კი არა, მალე ოცი ქულით ჩამორჩა მეტოქეს და პირველ ტაიმშიც სამაგალითოდ ბევრი ჩააგდებინა.

მეორე ნახევარში სტუდენტებს თავადაც აღარ სჯეროდათ წარმატების და მსაჯის საფინალო სასტვენის მოლოდინში ღირსშესანიშნავიც არაფერი მომხდარა.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

# არმიელები არ ძუნწობენ

7 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
17 ტური

**კოლხა 82:73 ასკ**

I ტაიმი 36:30
კოლხა: ბერიშვილი (10), თოდუა (14), კვაჭაძე (10), კეიდია (15), უგრეხელიძე (17); არველაძე (4), ჟღენტი (2), ძიძიგური (7), ქარუმიძე (3)
ასკ: ჩხაიძე (11), აკოლაშვილი (9), გელაშვილი (4), ალავიძე (4), ნუცუბიძე (15); ფსუტური (2), გრძელიშვილი (2), სპარსიაშვილი (18), პაპასკირი (4), ნათაძე (4)

სანამ შეხვედრაზე გეტყოდეთ, მატჩის ანონსში ნათქვამს გავიმეორებ — არმიელებს მათებრ ცხრილის ბოლოში მყოფთათვის, წინა წრისგან განსხვავებით, ქულები გასაჩუქებლად არ ემეტებათო. მაგრამ ახლა ასკ-ს სიძუნწისა არაფერი ეტყობოდა. გუნდმა საწყისი 5-წუთიანი მონაკვეთი პირწმინდად დაუთმო მეტოქეს, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს — 8:0 „კოლხას" სასარგებლოდ. წინა მატჩის შემდეგ სოხუმელები მოძლიერებულიყვნენ — მათ ტრავმირებული კეიდიაც შეუერთდათ, კვაჭაძესაც ვერ უგანა ბოლომდე გუნდს და მათმა თავგამოდებამ კოლხებს საბრძოლო ჟინი შემატა. სწრაფი, გააზრებული თამაშის მიმდევარ ასკ-ს არაფერი გამოსდიოდა. მოწინააღმდეგის უმოქმედობამ სოხუმელები მოადუნა და ისინი ინდივიდუალურ გარჯაზე გადავიდნენ. არმიელებმა კი, როგორც იქნა, თამაში დააწყვეს, დაცვაშიც გამოაკეთეს საქმე და შედეგიანობასაც უმატეს. აკი ერთი ქულითაც დაწინაურდნენ — 15:14. „კოლხას" მწვრთნელმა წუთშესვენება მოითხოვა და გაყოყოჩებული ალსაზრდელების დამოძღვრა სცადა. მოთამაშეებმაც ისმინეს მისი შეგონება და ისევ შეხმატკბილდნენ. აქედან მოყოლებული სტუდენტების ბურთაობის ცქერა მართლაც რომ ერთ რამედ ღირდა. ისინი შეტევებში მყოფ მოწინააღმდეგეს ხან ჩაჭრით, ხანაც დაფარებით (ამ მხრივ ცენტრი უგრეხელიძე გამოირჩეოდა) გასაქანს არ აძლევდნენ და სწრაფი, შედეგიანი იერიშებითაც სჯიდნენ. ამან ასკ გააბოროტა და კოლხთა ბატონობის ალაგმვა გამიზნული დაჯარიმებებით მოიწადინა. თუმცა სოხუმელები ჯარიმების გამოყენებითაც ხეირობდნენ. ტაიმის ბოლო წუთებში არმიელებმა პრესინგს მიმართეს და ცოტათი საქმე გამოაკეთეს. ერთი ეგაა, მსაჯის სასტვენმა მათ მხოლოდ იმის საშუალება მისცა, ანგარიში ექვს ქულამდე შეემცირებინათ.

მეორე ტაიმი ორივე მხარემ ნერვიულობითა თუ ზედმეტი მონდომებით დაიწყო, რის გამოც მოპაექრეთ ანგარიში კარგა ხანს არ გაუზრდიათ. გონს პირველი მაინც „კოლხა" მოეგო და კეიდია-უგრეხელიძის ტანდემიც შეუჩერებელი შეიქნა. მათი ძალისხმევით სხვაობა უცებ 16-ქულიანი გახდა — 46:30. არმიელები კი აკოლაშვილის ზუსტმა სამიანმა გამოაფხიზლა. თანაც ასკ-ს თავკაცობა ხშირად მიმართავდა შეცვლას და ხან პრესინგითა და ხანაც ზონურ დაცვაზე გადაწყობით გუნდი უფრო და უფრო უკეთ ირჯებოდა. მეტოქემ ასეთი ტაქტიკის წყალობით ანგარიში 7 ქულამდე რომ შეამცირა, „კოლხას" მწვრთნელმა კვარაცხელიამ საფრთხე იგუმანა და ზედიზედ 2 წუთშესვენება მოითხოვა. მის მიერ დარიგებული კოლხები კვლავ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებზე გამოჭერას შეუდგნენ, საკუთარი ფარის მისადგომებიც გადაკეტეს და არმიელთა შეტევებსაც შლიდნენ. განსაკუთრებით უკანახაზელები ინდომებდნენ. არმიელთა გაცუდებული ნასროლი ბურთი კი უგრეხელიძის ლუკმა ხდებოდა და რა გასაკვირია, რომ დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 13 ქულა იყო — 68:55.

ასკ მაინც ცდილობდა შეხვედრის შემობრუნებას და ამისათვის ყველაფერს აკეთებდა. არსიაშვილისა და ჩხაიძის მონდომება მცირე იმედს კიდევ ტოვებდა. დანარჩენებიც არ ზოგავდნენ თავს მატჩის გადასარჩენად, მაგრამ თბილისელებს იღბალმა ზურგი აქცია. ჯარიმების გამიზნულ აკიდება თუ მეტოქეთა ინდივიდუალური მეურვეობა ფუჭი აღმოჩნდა. კოლხები მათი კლანჭებიდან დასხლტომასაც ახერხებდნენ და ჯარიმებსაც ზუსტად ასრულებდნენ. ასკ-ს აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. ვერის ბაღში მოსულმა დენმა და ელექტროტაბლომაც, შეხვედრის ბოლო წუთზელა რომ განათდა, საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**მამუკა ტულუში**

# ჯაფარიძით რაღა იქნებოდა?!

8 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
17 ტური

**შევარდენი 60:81 აზოტი**

I ტაიმი 20:41
შევარდენი: კაზანჯიანი (25), გაგნიძე (2), მაჭავარიანი (7), მესხი (14), ღვინეფაძე (4); ნუცუბიძე (1), ასტამაძე, ოქრიაშვილი (4), მოისწრაფიშვილი (1), კერძაია (2)
აზოტი: ჟღენტი (10), გაბისონია, გოგობერიძვილი (17), ბაბიაშვილი (24), ბერუაშვილი (8); გოგოლაძე (5), ჩაჩუა (6), კოჭლამაზაშვილი (7), ჯიმშელეიშვილი (4), დანელიანი
მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**რუსთაველებმა** პირველივე წუთებზე მოაგვარეს საქმე. როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრის, ირაკლი ჯაფარიძის გარეშე დარჩენილებმაც კი არავითარი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს, აულელვებლად დაიწყეს შეხვედრა და სასურველი შედეგითაც დაასრულეს. „შევარდენმა" ვერაფერი გააწყო ძლიერ მოწინააღმდეგესთან და დიდი ანგარიშითაც დამარცხდა.

აზოტელები პირველივე წუთზე დაწინაურდნენ რამაზ გოგბერიშვილის სამქულიანით. ამას ზვიად ბაბიაშვილმაც მიამატა ორი ქულა და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ამ მატჩში ბრძოლა არ შედგებოდა. „შევარდენი", როგორც ყოველთვის, შორეული სროლებით ცდილობდა ქულების მოგროვებას, თუმცა რუსთაველთა კარგად ორგანიზებული დაცვა მეტოქეს ამის საშუალებას არ აძლევდა. არც ფარქვეშ ჰქონდათ საქმე რიგზე შევარდნელებს, ბერუაშვილი და ბაბიაშვილი თითქმის ყველა ბურთს ეუფლებოდნენ დაცვაში, თავდასხმაშიც იოლად გადიოდნენ ფონს. ანგარიში ნელ-ნელა იზრდებოდა „აზოტის" სასარგებლოდ და ტაიმის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე გოგობერიშვილმა 20 ქულით დააწინაურა გუნდი.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, რუსთაველებიც მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, ეფექტურად დაეგვირგვინებინათ შეტევები და ეს მშვენივრად გამოსდიოდათ.

მეორე ტაიმში რუსთაველები უფრო გააქტიურდნენ. ზვიად ბაბიაშვილი შეუჩერებელი იყო და თავისიანთა შორის ყველაზე მეტი ქულაც მოაგროვა. „აზოტი" ისე მოქმედება, თითქოს ვარჯიშზე იყო და კომბინაციებს ამუშავებდა. მეორე ტაიმის მე-6 წუთზე ჟღენტმა თავისი გუნდის უპირატესობა 30 ქულამდე გაზარდა, ხოლო ოთხი წუთის შემდეგ სხვაობამ 40 ქულასაც გადააჭარბა. ოთარ ხმელიძემ სასტარტო ხუთეული დაასვენა და მოედანზე ახალგაზრდები შეიყვანა, რამაც „შევარდენს" საქმე გაუადვილა. სანამ ახალგაზრდა რუსთაველები თამაშში ჩაერთვნენ, „შევარდენმა" 14 უპასუხო ქულა მიითვალა და ანგარიში ნაწილობრივ შეამცირა. ბოლო ათი წუთი შედარებით საინტერესო გამოდგა: „შევარდენი" თანაბრად ეთამაშა რუსთაველთა მეორე ხუთეულს და ორმოცქულიანი სხვაობაც თითქმის გაანახევრა.

**ზურაბ გონაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი 15 ტური ანონსი

9 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი

### აზოტი — დინამო

გეხსომებათ, სანაკრებო შესვენებამდე „დინამო“ სირიას წავიდა. ჰოდა, მეთხუთმეტე ტურში გასამართი „აზოტი“ — „დინამო“ დღეს ჩატარდება.

ვიცე-ჩემპიონი რუსთაველები, უეჭველია, მხოლოდ გამარჯვებას გეგმავენ, თუმცა არც ის ავიწყდებათ, რომ ზედიზედ თოთხმეტი მოგების შემდეგ „ვითასთან“ დამარცხდნენ. ამიტომაც, სათანადოდ შეაფასებენ მეტოქეს, რომელიც, თავის მხრივ, მართლაც რომ კარგ ფორმაშია: — სტუ-სთან სასახელო გამარჯვების შემდეგ თსუ-ც იოლად დაჩაგრა, რითაც ამ უკანასკნელთან მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა.

მხოლოდ ენთუზიაზმით მოთამაშე დინამოელების ზონური დაცვა ნებისმიერისთვის შეუვალი გახდა. რაც „დინამოს“ უკრაინამოვლილი ირაკლი მაისურაძე დაუბრუნდა, შეტევებიც ერთიორად გაძლიერდა.

მაისურაძესთან ერთად ნიკოლაძე და კილაძე თამაშობენ კარგად და მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს სამეული განაპირობებს კლუბის გამარჯვებებს.

სავარაუდოა, რომ რუსთაველებს ფარზე პრობლემები შეექმნებათ, რადგან დისკვალიფიცირებული ჯაფარიძის არყოფნაში ცენტრზე მხოლოდ ბერუაშვილი ეგულებათ, რომელსაც შეძლებისდაგვარად ბაბიაშვილიც მიეხმარება. უკანა ხაზში ვიცე-ჩემპიონებს აწყობილი აქვთ საქმე: ჟღენტი-გაბისონია-გოგობერიშვილის ტრიო ყველა მოწინააღმდეგეს დიდ თავსატეხს უჩენს.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი 16 ტური ანონსი

9 მარტი. ვერის ბაღი. 15. 45 საათი

### ასკ — მაკაბი

მე-16 ტურის გამოტოვებულ შეხვედრას ცხრილის ბოლოში გვერდიგვერდ მდგომნი ხვალ გამართავენ. რა გუნება-განწყობილებით ხვდებიან ისინი მატჩს? არმიელები ვერ უნდა იყვნენ ხასიათზე, მათ ხომ მეტად პრინციპული შეხვედრა დათმეს ბედის თანამოზიარე „კოლხასთან“. მეორე წრიდან ეროვნულში ჩართულ ასკ-ს მხოლოდ ერთი კინკილა მოგება აქვს და მის გაორებას სწორედ სოხუმელ სტუდენტებთან ეშურებოდა. იმედი გაუცრუვდა და ახლა ნუგეშად ხვალინდელი მეტოქე, „მაკაბი“ ეგულება.

მაკაბელებიც, რაკი ლიდერებთან ვერაფერი გააწყეს, გათამაშების ფსკერზე მყოფი მეზობლების მოხელთებას ცდილობენ. უხეირო სტარტის შემდეგ ამ გუნდმა საქმე ცოტათი გამოასწორა და აუტსაიდერებსაც დაერია. ჯერ „შევარდენს“ სძლია, შემდეგ „კოლხაც“ ზედ მიაყოლა. ახლა ასკ-ის რიგია?

**მამუკა ტულუში**

## საქართველოს ჩემპიონატი 17 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 16 | 15 | 1 | 1341:1136 | 31 |
| სტუ | 17 | 13 | 4 | 1323:1228 | 30 |
| ვითა | 17 | 12 | 5 | 1081:963 | 28 |
| თსუ | 17 | 10 | 7 | 1414:1373 | 27 |
| დინამო | 16 | 10 | 6 | 1291:1259 | 26 |
| სდასუ | 16 | 8 | 8 | 1165:1206 | 24 |
| კოლხა | 17 | 5 | 12 | 1212:1372 | 22 |
| შევარდენი | 17 | 4 | 13 | 1176:1355 | 21 |
| მაკაბი | 15 | 4 | 11 | 1133:1204 | 19 |
| ასკ | 16 | 1 | 15 | 567:607 | 17 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლში მხოლოდ პეიტონია

5 მარტი

**ლეიკერსი 103:100 სიეტლი**

ლეიკერსი: ჰარპერი (17), ჯონსი (8), ბრაიანტი (20), ნაითი (10 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (31 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი); კემპბელი (8), ფოქსი (6), ფიშერი (3), როდმანი

სიეტლი: პეიტონი (34 ქულა, 11 პასი), ჰოკინსი (4), ოუენსი (4), ბეიკერი (16), პოლინაისი (12 ქულა, 10 მოხსნა); ელისი (20), შრემპფი (10), ბერი, ვილიამსი

„სიეტლ სუპერსონიქსისთვის“ ეს მატჩი პრინციპული იყო: რადგან თანადივიზიონელ მოსისხლესთან „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ უწევდა პაექრობა და მოგების შემთხვევაში თავის დივიზიონში მეორე ადგილს ინარჩუნებდა. ამავე დროს ლეიკერსთან წლეულს მეორე გამარჯვება მასთან პლეი ოფში შეხვედრის შემთხვევაში ფსიქოლოგიური უპირატესობაც იქნებოდა, მაგრამ მოიგო ლეიკერსმა და ერთ დროს დივიზიონის ლიდერი გუნდი მესამე ადგილზე ჩაანაცვლა. ამ მატჩით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სიეტლის ხელმძღვანელობას გუნდის ლიდერებიდან მხოლოდ გერი პეიტონისადმი არ ეთქმის სამდურავი: მან სეზონში ყველაზე მეტ ქულას მოუყარა თავი, ექვსი სამქულიანიც ჩაუგდო კალიფორნიელებს, თუმც ვერც მისმა და ვერც დეილ ელისის სამიანებმა (5 სროლიდან 5 ჩააგდო) ვერ აზეირა სიეტლელები. სამაგიეროდ, ლეიკერსის მოგებაში ლომის წილი დაიდო მისმა ვეტერანმა გამთამაშებელმა დერიკ ჰარპერმა, რომელმაც გუნდის სამივე სამქულიანი თავის ანგარიშზე ჩაიწერა და თან იმ დროს ჩააგდო, როცა ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი.

თამაში თავიდან ბოლომდე დაძაბული იყო და მატჩის ბოლოს ბრძოლა უფრო გამძაფრდა. ბოლო მეოთხედში ლომივით იბრძოდა გერი პეიტონი. მან ამ დროში გუნდის 27 ქულიდან 15 თავად მიითვალა, მაგრამ ბედმა ყველაზე უფრო საჭირო მომენტში უმუხთლა — ანგარიში 102:100 იყო, როცა მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე ააცილა. ბურთს ლეიკერსი დაეუფლა და როცა იგი მათ ლიდერს, შაკილ ონილს მოუვიდა, სიეტლელები მასზე იმ იმედით დაჯარიმდნენ, იგი ცუდად ესვრის საჯარიმოებსო. ონილმა ორიდან ერთი ჩააგდო და ამის შემდეგ სიეტლს კიდევ დარჩა შეტევისთვის რამდენიმე წამი. ბოლო სამქულიანის სროლა ვეტერანმა ჰერსი ჰოკინსმა ითავა, მაგრამ მისი სასტვენთან ერთად ნასროლი ბურთი ოდენ რგოლს მოხვდა.



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — მინესოტა. სტივენ მარბერიმ სიეტლელი ბილი ოუენსი ჩამოიტოვა

7 მარტი

**სიეტლი 77:88 მინესოტა**

სიეტლი: პეიტონი (20), ჰოკინსი (7), ოუენსი (11), ბეიკერი (9), პოლინაისი (8 ქულა, 12 მოხსნა); ელისი (12), შრემპფი (7), ვილიამსი (3), ბერი

მინესოტა: მარბერი (10), პილერი (12), სმიტი (4), გარნეტი (10 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), გარეტი (2); სილი (18), მიჩელი (16), ჯექსონი (4), კარლი (3), ჰამონდსი

რაც დრო გადის, სიეტლის გულშემატკივრები თანდათან რწმუნდებიან, რომ მათი გუნდი ძლიერთ ვერ უმკლავდება. სეზონის დასაწყისში სიეტლი მატჩს მატჩზე იგებდა და როდესაც შინ იუტასთან ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვა, იგი ლიგაში ერთადერთი შეიქმნა, რომელსაც ჯერ მარცხი არ ეწვნია. თუმც ვის უგებდა სიეტლი? იუტამდე მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ: გოლდენ სტეიტი, დალასი და სხვა მათი დარის გუნდები, ისეთები, თავისივე სიძლიერის გუნდებთან რომ ცდილობდნენ ქულების დაგროვებას, და ძლიერთან კი ათი თამაშიდან ერთის მოგებას თუ ახერხებდნენ. სიეტლს იუტასთან პირველი თამაშის შემდეგ სუსტი მეტოქე არ ჰყოლია და შედეგიც სახეზეა — ათი თამაშიდან 7 მარცხი. გულშემატკივარს ვინ რას გამოაპარებს და ქომაგთ ამჯერად 19-ათასიანი „კეი არენა“ ბოლომდე არ შეუვსიათ ვინც მოვიდა, სტვენით იჯერა გული. ტრადიციულად მხოლოდ გერი პეიტონი იბრძოდა. ოუენსს, ბეიკერს, შრემპფს, ჰოკინსს და სხვებსაც ყურები ჩამოეყარათ და ლიგის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ გუნდთან სამქულიანებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. სიეტლი ლიგაში სამიანების სანაქებოდ მსროლელ გუნდად ითვლება, მაგრამ ვერც ამ საქმეში ივარგეს და 23 სროლიდან მხოლოდ 4 ჩააგდეს. ერთზეც ვთქვათ, როდესაც სიეტლი მატჩის ბოლოს 2-3 ქულით აგებს, ასეთ გადამწყვეტ მომენტში ახალბედას ვერ ენდობი, მაგრამ 10-12 ქულიანი სხვაობის შემთხვევაში, როდესაც ფსიქოლოგიურად გატეხილი ძირითადი მოთამაშეები გუნდს ფაქტობრივად ველარაფრით უშველიან, ძნელი გასაგებია, რატომ არ ენდობა მწვრთნელი ახალგაზრდა, ჟინით და სულისკვეთებით ალსავსე ახალბედებს, მით უმეტეს, რომ ვლადიმერ სტეფანიამ როცა ითამაშა, თავი არ შეურცხვენია.

5 მარტი

**პორტლენდი 97:87 მინესოტა**

პორტლენდი: საბონისი (16 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)

მინესოტა: მარბერი (18)

**იუტა 106:95 დალასი**

იუტა: მელუნი (30)

დალასი: ფინლი (29)

დალასმა ზედიზედ 24-ე თამაში წააგო სოლტ ლეიკ სიტიში.

**ტორონტო 84:89 ორლანდო**

ტორონტო: ვილისი (21 ქულა, 14 მოხსნა)

ორლანდო: არმსტრონგი (19)

ორლანდომ ზედიზედ მესამედ მოიგო და უფრო განიმტკიცა აღმოსავლეთის კონფერენციაში პირველობა.

**ვაშინგტონი 86:85 შარლოტი**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (26 ქულა, 11 მოხსნა), სტრიკლენდი (25 ქულა, 15 პასი)

შარლოტი: რიდი (20)

თითქოს ლიდერების — გლენ რაისისა და ენტონი მეისონის სეზონის დაწყებამდე მიღებული ტრავმები არ ეყოფოდა დაბეჩავებულ შარლოტს და წინა მატჩში კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე, დერიკ კოულმენი დაუშავდა. იგი ხანგრძლივ მკურნალობას არ საჭიროებს, მაგრამ ეს შეხვედრა გამოტოვა. შარლტმა მაინც ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ თავი გაიგიჟა ვაშინგტონელმა როდ სტრიკლენდმა, რომელმაც ამ სეზონში ყველაზე მეტი ქულა და პასი გააზერხა.

**ბოსტონი 102:94 დენვერი**

ბოსტონი: მერსერი (35), ვოლკერი (21 ქულა, 18 მოხსნა)

დენვერი: ალექსანდერი (28), ვილიამსი (20)

**ინდიანა 83:102 გოლდენ სტეიტი**

ინდიანა: ა. დევისი (22)

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (17)

გოლდენ სტეიტმა პატარა გმირობა ჩაიდინა — ინდიანას მოუგო, თან სტუმრად და ექვსმოგებიანი სერია შეაწყვეტინა.

**ფილადელფია 78:89 მაიამი**

ფილადელფია: აივერსონი (34)

მაიამი: ჰარდევეი (26 ქულა, 10 პასი), მურნინგი (23 ქულა, 10 მოხნა)

ფილადელფიელთაგან ტრადიციულად მხოლოდ ალენ აივერსონი იბრძოდა და მაიამის ბევრი პრობლემაც გაუჩინა, მაგრამ არც სტუმარი იდგა გულხელდაკრეფილი და აივერსონის ჩხვლეტებს თავადაც საკმაოდ წარმატებით პასუხობდა. მეორე ნახევარში კი აივერსონი მოიღალა და ფილადელფიამ თანდათან დაუთმო მაიამის, მერე კი მისი წყვილის — მურნინგისა და ჰარდევეის შემოტევებმა სულ გატეხა. ჰარდევეიმ მატჩის შემდეგ ერთობ აქო აივერსონი — ღირსეული მოწინააღმდეგეა. ასეთ მეტოქეს კარგა ხანია, არ გადავყრივარ, ამას წინათ თვის მოთამაშედ რომ აღიარეს, ალალი იყო მასზეო. აივერსონმა კი, რომელიც მშვიდი და თვინიერი ბუნებით სულაც არ გამოირჩევა, პასუხად თქვა, ახლა რომ ვითამაშე, იმაზე ბევრად მეტი შემიძლია და თვის მოთამაშეობაზე შეჩერებას არ ვაპირებო.

**მილუოკი 88:87 ნიუ იორკი**

მილუოკი: რობინსონი (19)

ნიუ იორკი: იუინგი (24 ქულა, 18 მოხსნა)

ნიუ იორკის ბებერ სუპერცენტრს პატრიკ იუინგს მილუოკისთან ბედმა უმუხთლა. მან ჯერ მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე, როცა ნიუ იორკი 87:86 იგებდა, ორი საჯარიმო ააცილა, მერე სასტვენთან ერთად ნასროლი ბურთი ვერ ჩააგდო და თავისიანები წასაგებად გაწირა.

6 მარტი

**ვანკუვერი 92:107 ჰიუსტონი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26 ქულა, 12 მოხსნა), მეკი (21)

ჰიუსტონი: დიკერსონი (26)

**ფინიქსი 99:111 საკრამენტო**

ფინიქსი: კიდი (21 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

საკრამენტო: ვილიამსი (24)

**სან ანტონიო 114:85 კლიპერსი**

სან ანტონიო: დანკანი (27)

კლიპერსი: ნესბი (13)

**კლივლენდი 97:80 გოლდენ სტეიტი**

კლივლენდი: კემპი (31 ქულა, 14 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (15)

**ორლანდო 87:82 დეტროიტი**

ორლანდო: ოსტინი (23)

დეტროიტი: ჰილი (17)

7 მარტი

**დენვერი 96:106 სან ანტონიო**

დენვერი: მაკდაიესი (29 ქულა, 12 მოხსნა), ვან ექსელი (18 ქულა, 12 პასი)

სან ანტონიო: დანკანი (34 ქულა, 13 მოხსნა)

ბრწყინვალედ მოთამაშე ტიმ დანკანმა 34 ქულით სეზონის რეკორდი დააყარა და თავის გუნდს ზედიზედ მეოთხედ მოაგებინა.

**პორტლენდი 111:71 ჰიუსტონი**

პორტლენდი: რაიდერი (21)

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (16)

მშვენიერ ფორმაში მყოფმა პორტლენდმა შავი დღე აყარა ჰიუსტონს და არად ჩააგდო ის, რომ ნბა-ს ყველა დროის 50 უძლიერესი მოთამაშიდან „როკიტსს“ სამი ჰყავს — ოლაჯუონი, პიპენი და ბარკლი.

**საკრამენტო 94:89 დალასი**

საკრამენტო: ვებერი (18 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

დალასი: ფინლი (18)

**ტორონტო 105:92 ბოსტონი**

ტორონტო: კარტერი (26)

ბოსტონი: ვოლკერი (29), მერსერი (22)

**ნიუ იორკი 97:86 ნიუ ჯერსი**

ნიუ იორკი: იუინგი (30)

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (22 ქულა, 16 მოხსნა)

**ინდიანა 85:72 მაიამი**

ინდიანა: მილერი (16)

მაიამი: მურნინგი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ფილადელფია 95:105 ვაშინგტონი**

(ძირითადი დრო 90:90)

ფილადელფია: აივერსონი (30)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (28), რიჩმონდი (22)

**იუტა 89:97 ლეიკერსი**

იუტა: მელოუნი (34)

ლეიკერსი: ბრაიანტი (24), ონილი (23 ქულა, 16 მოხსნა)

შარშანდელი პლეი ოფიდან, დასავლეთის კონფერენციის ფინალიდან, ლეიკერსი სწორედ იუტამ დაიფრინა და რა გასაკვირია, ლოსანჯელესელებს მისი ჯინი ჰქონდეთ. ამიტომ ისინი მატჩის დაწყებისთანავე ეკვეთნენ ჯაზს და დასავლეთის ჯერჯერობით უძლიერეს გუნდთან გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. მართალია, კარლ მელოუნზე მიწებებულმა დენის როდმანმა ვერ შეძლო ფოსტალიონის (მელოუნის მეტსახელია) გაჩერება, მაგრამ ამ უკანასკნელს თავისიანთა მხარდაჭერა მოაკლდა და ლეიკერსმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება იზეიმა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 14 | 4 | 77,8 |
| მაიამი | 12 | 5 | 70,6 |
| ფილადელფია | 10 | 7 | 58,8 |
| ნიუ იორკი | 10 | 7 | 58,8 |
| ბოსტონი | 7 | 8 | 46,7 |
| ვაშინგტონი | 7 | 9 | 43,8 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 13 | 18,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 12 | 5 | 70,6 |
| მილუოკი | 9 | 5 | 64,3 |
| დეტროიტი | 10 | 7 | 58,8 |
| ატლანტა | 8 | 8 | 50,0 |
| კლივლენდი | 7 | 8 | 46,7 |
| ტორონტო | 6 | 10 | 37,5 |
| შარლოტი | 4 | 11 | 26,7 |
| ჩიკაგო | 4 | 12 | 25,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 13 | 4 | 76,5 |
| მინესოტა | 11 | 6 | 64,7 |
| ჰიუსტონი | 10 | 8 | 55,6 |
| სან ანტონიო | 10 | 8 | 55,6 |
| დალასი | 6 | 13 | 31,6 |
| დენვერი | 5 | 13 | 27,8 |
| ვანკუვერი | 4 | 13 | 23,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 13 | 3 | 81,3 |
| ლეიკერსი | 13 | 6 | 68,4 |
| სიეტლი | 9 | 7 | 56,3 |
| ფინიქსი | 9 | 8 | 52,9 |
| საკრამენტო | 9 | 9 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 10 | 41,2 |
| კლიპერსი | 0 | 15 | 0 |

# ქართველები: უპოვარნი და შერცხვენილნი

ნუკუალოფა. 6 მარტი
ტეუფაივას სტადიონი. 7000 მაყურებელი

**ტონგა 37(16):6(3) საქართველო**

**ტონგა**

ტაუმალოლო
ჰალა ტანგინოა ფინაუ ტიუეტი
ვული მარტენსი
მაჰონი ტოლოკე ტეპოუ
მაფი კივალუ
ტაუ ვუნიპოლა (კაპ.) მაკა

შველიძე გიორგაძე ცაბაძე
ნადირაძე პარწიკანაშვილი
კაცაძე მჭედლიშვილი (კაპ.) ლაბაძე
მოდებაძე ჯიმშელაძე
ხეხელაშვილი მაისურაძე ხამაშურიძე ქავთარაშვილი
ურჯუკაშვილი

**საქართველო**

*ტონგა:* 4ლ — ე. ვუნიპოლა (2), მაფი, ტიუეტი, 4გ — ტონგა (3), ტაუმალოლო, 3ს — ტაუმალოლო
*საქართველო:* 2ს — ურჯუკაშვილი
*შეცვლები:* ვული — ე. ვუნიპოლა (60), ტანგინოა — ტონგა (10), ჰალა — კოლოი (43)
*მსაჯი:* უეინ ერიქსონი (ავსტრალია)

**მთავარი** მწვრთნელის გარეშე დარჩენილ ბორჯღალოსნებს რაც დაემართათ, კარგად იცით. რაც შეიძლება მცირე სხვაობით დამარცხებისთვის „მებრძოლ" ბორჯღალოსნებს, რომელთაც ასეთი დავალება ფრანგმა დამრიგებელმა, კლოდ სორელმა მისცა, მასპინძლები საშინლად გაუსწორდნენ და ახლა თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, დუელში გამარჯვებულად პოლინეზიელები დარჩებიან. სასწაულები კი ძალიან იშვიათად ხდება. თუმცა იმედს მთლიანად ნუ გადაიწურავთ და რატომ, ამას წერილის ბოლოს მობურთალთა მატჩისშემდგომ ნაუბარში გაიგებთ.

ქართველთა იმედად, მატჩის წინა ღამეს კოკისპირულად იწვიმა. მოედნის მაგარი ნიადაგიც დაალბო და სიცხეც შედარებით დააცხრო. სტუმართა შერკინებამ მთლიანად დაჩაგრა მასპინძელი მორკინალები. დერეფანშიც ბორჯღალოსნები გაბატონდნენ, მაგრამ ტონგელთა უკანახაზელების ძალისხმევამ და ბურთაობის კულტურამ ქართველთა უპირატესობა იოლად გააბათილა. პოლინეზიელები შეხვედრის მე-3 წუთზე დაწინაურდნენ ტაუმალოლოს მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი. მანვე 6 წუთში მეორე საჯარიმოც გაიტანა, მას შემდეგ, რაც ქართველებმა მასპინძელი პიტა ტანგინოა ისე დასცეს, რომ მობურთალი საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. როგორც შემდგომ გაირკვა, მორაგბეს საავადმყოფოს გზაზე კარგა ხნით გონება დაუკარგავს. ექიმების თქმით, ხერხემლის დაზიანების გამო ტანგინოა ნახევრადპარალიზებულია. თუმც მედიკოსებს იმედი აქვთ, რომ ბრიტანეთში მობურთალი ტანგინოა, რომელიც თანამემამულეთა დასახმარებლად ჩამოვიდა, ოკლენდის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობის შემდეგ დაახლოებით 6 თვეში დაუბრუნდება მოედანს. მე-15 წუთზე სტუმართა ლელოსთან შერკინება დაინიშნა, რასაც მასპინძელ მაფის ლელო მოჰყვა. ტაუმალოლომაც ზუსტად გარდასახა თანაგუნდელის ლელო. აქედან ხუთ წუთში საკუთარი ანგარიში ქართველებმაც გახსნეს — ურჯუკაშვილმა დაარტყა ზუსტად საჯარიმო. ბორჯღალოსნები უკეთესად აბურთავდნენ და ლელოს დადების რამდენიმე შანსი გაუშვეს ხელიდან. ტაიმის ბოლოს კი აქეთ მიიღეს სამი ქულა იმავე ტაუმალოლოსგან — 16:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში ურჯუკაშვილმა ათ ქულამდე შეამცირა სხვაობა ანგარიშში. ამის მეტი ქართველებმა ვერაფერი შეძლეს, თუმცა ლელოს გატანის შანსი მატჩის მიწურულსაც ჰქონდათ.

მასპინძლები კი, იცოცხლეთ, აბურთავდნენ საათის თავზე. ორი ლელო შეცვლაზე შესულმა ელიზი ვუნიპოლამ, კაპიტნის უმცროსმა ძმამ გაგვიტანა, მეორე მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას არაფერი უკლდა. ერთიც სემ ჰალას ანგარიშზეა, მაგრამ იგი მთლიანად კოლოის დამსახურებაა, რომელმაც ბურთით ლამის ყველა ქართველს ჩაუქროლა და ლელოსთან რომ დასცეს, მაშინღა გადასცა ბურთი ჰალას. ამასაც გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. კუსიტაფუ ტონგამაც, რომელმაც მეორე ტაიმში დარტყმები იკისრა, წინა ორის მსგავსად, უშეცდომოდ გარდასახა ეს ლელო და წერტილი დაუსვა ქართველთა განადგურებას, რითაც უზომოდ გაახარა სტადიონზე მისული 7000 მაყურებელი და მონარქი ტაუფა აჰაუ ტუპოუ IV, რომელიც თურმე თავად ყოფილა მორაგბე და ყოველთვის ეხმაურება ქვეყნის რაგბიში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. მას მატჩის წინ სტუმართათვის დანიშნულ აუდიენციაზე ბორჯღალოსნებისთვის წარმატება უსურვებია.

რა ხასიათზე იქნებოდნენ ქართველები და მათი ფრანგი დამრიგებელი, ადვილი წარმოსადგენია, თუმცა უელსში ასპარეზობის შესაძლებლობის იმედი კიდევ შერჩენიათ.

*კლოდ სორელი:* სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს არ ველოდი. გვეგონა, 15-20 ქულით დავმარცხებოდით, ასეთი სხვაობა შედარებით ადვილი გასაბათილებელი იყო. 31 ქულა, რა თქმა უნდა, 15 და 20 ქულა არ არის, მაგრამ იქ, სადაც ნაკრების თამაშებს 50000 კაცი ესწრება და საყვარელ გუნდს უჭერს მხარს, არც ამის გაბათილებაა შეუძლებელი.

ვასილ კაცაძე და ვანო ნადირაძე, რომელთაც მატჩისშემდგომ დავუკავშირდით სასტუმროში, დარწმუნებული არიან წარმატებაში.

*ვასილ კაცაძე:* ორი, შეიძლება ითქვას, უაზრო ლელო გავუშვით მატჩის ბოლოს. ძალიან დასანანია, რომ ასე დავმარცხდით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, განმეორებით მატჩში ამ დეფიციტს აღმოვფხვრით.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?**

— ის, რომ დერეფანში და შერკინებაში მთლიანად დავჩაგრეთ მეტოქე. გვინდოდა, რაც შეიძლება ნაკლები სხვაობით წაგვეგო, რადგან ასეთ ბუნებრივ პირობებში წარმატების მიღწევა ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო. აი, თბილისში კი ყველაფერი პირიქით იქნება და ჩვენს ძალასაც იქ ვაჩვენებთ.

*ვანო ნადირაძე:* 31 ქულის გაბათილება თავისთავად ძნელია, მაგრამ დამიჯერეთ, თუ მაყურებელი სტადიონზე მოვა და მხარს დაგვიჭერს, ამას შევძლებთ. შევძლებთ იმიტომ, რომ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, ტონგელებს ვჯობივართ. თუმცა ანგარიში ამაზე არ მეტყველებს. ყველაფერი აქაურმა სიცხემ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ საამმატჩოდ ფიჯიში მოვემზადეთ, უცხო კლიმატთან შეგუება მაინც გაგვიჭირდა. ხომ გეუბნებით, ამ სხვაობას გავქვითავთ. ამის ძალიან დიდი იმედი გვაქვს. მთავარია, გულშემატკივარმა არ გვაქციოს ზურგი.

**პაატა თოთაძე**

5 Nations

**ნამდვილად** არავინ ელოდა! უელსმა საფრანგეთი „სტად დე ფრანსზე" დაამარცხა. ვინ იფიქრებდა?! ბოლო წუთებზე ტომა კასტანიედს საჯარიმო ზუსტად რომ შეესრულებინა, მასპინძლები გაიმარჯვებდნენ, მაგრამ უელსელებმა ისე კარგად ითამაშეს ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა.

სტუმრებმა შეკრული, ერთიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხუთი ერის ბოლო ორი ტურნირის მომგებ „მამლებს" მედგრად დაუხვდნენ. რა თქმა უნდა, აქ ისიც უნდა დავამატოთ, რომ ფრანგები მათთვის უჩვეულოდ სუსტად ბურთაობდნენ, თუმცა ეს უელსელების გამარჯვებას არანაირად არ აკნინებს.

ბრიტანელები ერთფეროვნად კი უტევდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ამან მშვენიერი შედეგი გამოიღო. მასპინძლებს ძალიან უჭირდათ მათი შებოჭვა და ამას სამი უელსური ლელო მოჰყვა პირველ ტაიმში. საერთოდ, შეხვედრის პირველ ნახევარში ფრანგების დაცვა არსებობდა თუ არა, ძნელი სათქმელი იყო. ამაზე, ალბათ, იმან იმოქმედა, რომ მე-5 წუთზევე მათმა უკანახაზელმა რიშარ დურთმა ტრავმა მიიღო, რამაც გარკვეული ტაქტიკური ცვლილებები გამოიწვია.

მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა. მასპინძლებმა ინიციატივა იგდეს ხელთ და გაафთრებითაც შეუტიეს. მატჩის დამთავრებას აღარაფერი უკლდა. ანგარიში 33:34 იყო სტუმართა სასარგებლოდ. უელსელები დაჯარიმდნენ. ბურთთან კასტანიედი მივიდა და... სამართლიანობა არ დაირღვა.

„ჩემი კარიერის მანძილზე ყველაზე მეტად დღევანდელი გამარჯვება გამიხარდა. ვხედავ, რომ ნელ-ნელა ვიღებთ გუნდის სახეს და მსოფლიოს ჩემპიონატსაც იმედით ვეგებებით" — თქვა უელსის ახალ ზელანდიელმა მწვრთნელმა გრეჰემ ჰენრიმ, რომელმაც „ოკლენდს" ორჯერ მოაგებინა ზე-12-ის ტურნირი.

„მეტოქემ აშკარად დაგვჯაბნა. მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მოწინააღმდეგე, ალბათ, სათანადოდ ვერ შევაფასეთ. იმედია, ინგლისთან შეხვედრამდე დარჩენილი ორი კვირა ნაკლის გამოსასწორებლად გვეყოფა" — განაცხადა ჰენრის ფრანგმა კოლეგა ჟან-კლოდ სკრელამ.

ხუთი ერიდან ერთადერთ, ინგლისს დარჩა „დიდი სლემის" მოპოვების შანსი. მესამე ტურში ისინი ირლანდიას ესტუმრნენ და მოუგეს კიდეც. შოტლანდიასთან ორი კვირის წინ გაჭირვებით გამარჯვების შემდეგ ინგლისელებმა ნაკრები ოდნავ გადაახალისეს და მეზობელ კუნძულზე წარმატებას მიაღწიეს.

ნაკრებში დაბრუნება გრეისონმა არეკნით აღნიშნა. მას თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს მხარი და ირლანდიელები ადვილად გატეხეს. პირველ ტაიმში შედარებით თანაბარი ბრძოლა იყო, თუმცა უპირატესობა მაინც სტუმრებს ჰქონდათ. ირლანდიელებს არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ დაცვაში მედგრად იბრძოდნენ და მეტოქეს ძალიან გასწრების საშუალება არ მისცეს.

განახლდა თუ არა მატჩი, ჰამფრიზმა თავისი მეოთხე საჯარიმო შეაგდო და თავისიანები დააწინაურა. თუმცა მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე ისევ ინგლისი გავიდა წინ და გამარჯვებაც ხელიდან აღარ გაუშვა. აღსანიშნავია მათი მშვენიერი თამაში დაცვაში. მასპინძლებს ფაქტობრივად ერთხელაც არ ჰქონიათ ლელოს გატანის შანსი.

თეთრების კაპიტანი ლოურენს დალალიო მშვენიერ ხასიათზე იყო: „ჩვენი მთავარი დადებითი თვისება რეალისტობაა. ვიცოდით, ირლანდია როგორ ითამაშებდა და ტაქტიკაც იმის მიხედვით შევარჩიეთ. აქვე დავძენ, რომ მოგების მიუხედავად ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა გვსურს".

**გაიოზ თალაქვაძე**

# უელსმა მოიგო?!



REUTERS

ემილ ნტამაკის (ბურთით) სამმა ლელომ საფრანგეთი წაგებისგან ვერ იხსნა

პარიზი, „სტად დე ფრანსი"
78 845 მაყურებელი

**საფრანგეთი 33 (18):34 (28) უელსი**

**საფრანგეთი**

ნტამაკი
ბერნა-სალი დურთი კომბა ლომბარი
კასტანიედი კარბონო
რეინო ტ. ლიევრემონი ბენეტონი
პელუ ბრუზე
ტურნერი იბანესი (კაპ.) კალიფანო

როჯერსი ჯ. ჯენკინსი ევანსი
კ. ქვინელი უაიტი
ჩარვისი ს. ქვინელი სანკინსონი
ჰოული (კაპ.) ნ. ჯენკინსი
ჯეიმსი გიბსი ტეილორი რობინსონი
ჰოვართი

**უელსი**

*საფრანგეთი:* 4ლ — ნტამაკი (3), კასტანიედი; 2გ. და 3ს. — კასტანიედი
*უელსი:* 3ლ — ჩარვისი, ჯეიმსი, ს. ქვინელი; 2გ. და 5ს. — ნ. ჯენკინსი
*შეცვლები:* ბერნა-სალი — გარბაჟოზა (41), დურთი — ოკანი (5), ბენეტონი — კასტელი (62), ტურნერი — მარკონე (41), როჯერსი (ლუისი 65), ჰოული — ლევილინი (67), რობინსონი — ტომასი (52)
*მსაჯი:* ფლემინგი (შოტლანდია)

დუბლინი, „ლენსდაუნ როუდი"
50 000 მაყურებელი

**ირლანდია 15 (9):27 (11) ინგლისი**

**ირლანდია**

ოში
დემფსი ჰენდერსონი მეგსი ბიშოპი
ჰამფრიზი მაკგინესი
უარდი კოსტელო ოკანიგენი
დევიდსონი ჯონსი (კაპ.)
უოლესი ვუდი კლოჰესი

ლენარდი კოკრილი გერფორსი
ჯონსონი როდბერი
ჰილი დალალიო (კაპ.) ბეკი
ბრექენი გრეისონი
ლაგერი გასკოტი უილკინსონი რიისი
პერი

**ინგლისი**

*ირლანდია:* 5ს. — ჰამფრიზი
*ინგლისი:* 2ლ. — პერი, როდბერი; 1გ და 4ს. უილკინსონი; 1ა — გრეისონი
*გაფრთხილება:* ჯონსონი
*შეცვლები:* კოსტელო — მილერი (64), კლოჰესი — ფიცპატრიკი (65)
*მსაჯი:* ობრაიენი (ახალი ზელანდია)

ამ უქმეებზე ზე-12-ის მეორე ტურის მატჩები გაიმართა, რომელთა შედეგებსაც ქვემოთ გაეცნობით. უფრო ვრცლად თითოეულ მატჩზე კი ხვალინდელ „სარბიელში" მოგითხრობთ.

| | | |
|---|---|---|
| ჰამილტონი | 17:19 | ბრისბენი |
| დანიდინი | 65:23 | პრეტორია |
| ველინგტონი | 22:24 | კეიპტაუნი |
| იოჰანესბურგი | 10:39 | სიდნეი |
| დურბანი | 21:16 | კანბერა |

# წყნარი ირლანდიელი

## ედი ირვინი: ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია



**ედი ირვინი**

დაიბადა 1965 წლის 10 ნოემბერს ნიუტაუნარდსში (ჩრდილოეთ ირლანდია)
ცხოვრობს დუბლინში, უცოლო
82 სტარტი, 1 მოგება, 109 ქულა
1993: დებიუტი F 1-ში, „ჯორდანი", 1 ქულა, მე-20 ადგილი
1994: „ჯორდანი", 6 ქულა, მე-16 ადგილი
1995: „ჯორდანი", 10 ქულა, მე-12 ადგილი
1996: „ფერარი", 11 ქულა, მე-10 ადგილი
1997: „ფერარი", 24 ქულა, მე-7 ადგილი
1998: „ფერარი", 47 ქულა, მე-4 ადგილი

**ზუსტად** საათნახევრის შემდეგ მზისა და შამპანურის ბრჭყვიალა შხეფებში გახვეულს ისევ ის მომაბეზრებელი სურათი გაახსენდება: თითქოს უხილავი ძაფით გადაბმული ტყუპი „მაკლარენი" ნელ-ნელა პატარავდება, ფერსა და სიმკვეთრეს კარგავს და ბოლოს სულ უჩინარდება.

„მთელი შარშანდელი სეზონი და, თუ რამე არ შეიცვალა, წლეულსაც უკვე ყელში ამოსული წყვილი ბოლიდის კუდების ცქერით მოგვიწევს დატკბობა".

ახლა, ამ წუთებში არავინ იცის, რა მოხდება საათნახევრის შემდეგ, არც წითელ „ფერარიში" ჩაჭედილმა ირლანდიელმა ედი ირვინმა იცის, რით დასრულდება, რა ელის 300-კილომეტრიანი ტრასის ბოლოს... ალბათ კარგი არაფერი. „აი, შუმის რომ ნორმალურად აელო სტარტი... მაგრამ როცა არ გიმართლებს, არ გიმართლებს და ესაა".

სტარტზე მიხაელ შუმახერის „წითელი სახედარი" გაჩნდა და შუმისაც ორ რიგად გამწკრივებული მანქანების ბოლოში მოუწია დადგომამ.

„შუმი არ არის, შანსებიც ერთი ათად შემცირდა". ედი ირვინს პრეტენზიები არასოდეს აწუხებდა. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა უპრეტენზიობა უნიჭობის ტოლფასი არ არის. ედი უშუალოდ რბოლიდან, მანქანაზე მუშაობიდან, ფორმულა 1-ის გარშემო შექმნილი სიტუაციიდან იღებს იმას, რასაც ჩვეულებრივ ბედნიერებასთან აიგივებენ. ეს არის და ეს, თორემ კაცი რომ „ფერარის" საჭეს მიუჯდება, ნიჭიერიც არის, ავანტიურისტიც, გამარჯვების ფასიც იცის, მარცხისაც, სიკვდილ-სიცოცხლისაც...

„ერთი-ათად კი შემცირდა შანსები, მაგრამ რაღაც ხომ კიდევ დარჩა. თანაც..."

ამ „თანაცში" „ფერარის" პილოტები კონკრეტულ სიტუაციაში მეტოქის კონკრეტულ სისუსტეზე თამაშს გულისხმობენ. და რადგან იდეალური მანქანა არ არსებობს, „მაკლარენსაც" აქვს სუსტი წერტილები. ძლიერი და მსუბუქი ძრავა, საუკეთესო აეროდინამიკური კონსტრუქცია. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ამ ქვეყნად ყველა სიკეთე თუ სიამოვნება ყოველთვის რაღაცის ხარჯზე ხდება — ყველაზე სწრაფი წმინდა სისხლის ინგლისური ცხენი სულაც გამოუსადეგარია ოღრო-ჩოღრო გზებზე, ერთობ ნაზი ფეხები აქვს და იმიტომ.

ასე რომ, მკლავების ჩამოყრა ჯერ ადრეა. იქნებ ის „კონკრეტული სიტუაციაც" გაიჩითოს!

2 წრის შემდეგ: ჰაკინენი, კულჰარდი, ირვინი, ფრენცენი, რალფ შუმახერი, ფიზიკელა... მიხაელ შუმახერი ჯერჯერობით ორ მეტოქეს გაუსწორდა.

4 წრის შემდეგ: „მაკლარენებსა" და ირვინის „ფერარის" შორის განსხვავება 9 წამია.

6 წრის შემდეგ: სხვაობამ „მაკლარენებსა" და ირვინს შორის 13 წამს მიაღწია... მიხაელ შუმახერი უკვე მეთორმეტეა!

10 წრის შემდეგ: ჰაკინენი, კულჰარდი, ირვინი... სხვაობა 16 წამია.

მეთხუთმეტე წრეზე „მაკლარენმა" დაკარგა ის, რასაც ომში არიერგარდს ეძახიან. კულჰარდმა ბოქსში შეაგორა დაზიანებული ბოლიდი. მიხაელ შუმახერმა მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. ამ იფნორმაციამ, ცხადია, ჰაკინენის ყურამდეც მიაღწია, და ეჭვგარეშეა, მაინცდამაინც ვერ გაახარა მსოფლიოს ჩემპიონი: გაშიშვლებული ზურგი, კვალში ჩამდგარი დინჯი და ჭკვიანი ირლანდიელი და, რაც მთავარია, უკვე სახიფათოდ მოახლოვებული ფორმულა 1-ის შესაძლოა ყველა დროის საუკეთესო პილოტი მიხაელ შუმახერი.

...ზუსტად საათნახევრის შემდეგ ეს, ავსტრალიის დიდი პრიზის გადამწყვეტი მომენტიც დაუდგება თვალწინ... მანამდე ერთ-ერთი „მინარდის" პილოტმა ვერ დაიმორჩილა მანქანა და ორგანიზატორებმა პეისკარი გამოუშვეს ტრასაზე. აქამდე მოპოვებული უპირატესობა უხილავი საშლელით გადაიშალა და ბოლიდები მორჩილად მიჰყვნენ ერთიმეორეს.

ეს მოხდა ე-19 წრეზე...

დარწმუნებული ვარ, ბოქსებიდან კარნახი ნამდვილად არ სჭირდებოდა ირვინს. გადაწყვეტილება მანამდეა მისაღები, სანამ პეისკარი ტრასიდან გადაუხვევს და რბოლა განახლდება.

„სულ რაღაც წუთის შემდეგ „მაკლარენი" ჩვეული სიმსუბუქით მოწყდება ადგილს და სდიე მერე... მაგრამ მოსწყდება კი?

„მაკლარენის" ყველა შარშანდელმა წარუმატებლობამ კინოფირივით გაიარა პილოტის თვალწინ: განმეორებითი სტარტი — დაზიანდა კულჰარდის ძრავა, განმეორებითი სტარტი — ახლა ჰაკინენის ძრავას მოელო ბოლო; გა... დამუხრუჭებისას — მწყობრიდან გამოდის ორივე „მაკლარენის" სამუხრუჭე სისტემა. ჭიქაში მომწყვდეული ფუტკარივით აზუზუნდა აზრი: „გადატვირთვა... განმეორებითი სტარტი... ყველაზე მეტი ჯაფა სწორედ სტარტზე ადგება ძრავას... „მაკლარენში" ჩამონტაჟებული „მერსედესის" ძრავა ვერ უძლებს დიდ დატვირთვებს... ეს სიტუაცია არაფრით განსხვავდება სასტარტო სიტუაციისგან. თუ ანალიზი ზუსტია, დასკვნის გაკეთებასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებას ველარაფერი დაუდგება წინ.

„უნდა აიძულოს, პირველივე მეტრებზე მთელი სიმძლავრით ჩართოს ძრავა... უნდა აიძულოს..."

წყნარი ირლანდიელისგან ამას არავინ მოელოდა. გადაუხვია თუ არა პეისკარმა ტრასიდან, ირვინი ცოფიანივით ეკვეთა მეტოქეს. მსოფლიოს ჩემპიონი დაბარებულივით წამოეგო ანკესს, გაჯიუტდა, ვერ შეეგუა ლიდერის პოზიციის დაკარგვას და ორასიოდე მეტრი „მერსედესის" გულიანმა მაკლარენმა და წითელმა „ფერარიმ" ღმუილითა და ზათქით იარეს ერთიმეორის გვერდით... მერე კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — მაკლარენმა უკანასკნელად ამოიღმუვლა და გათავდა...

ფაქტობრივად ამით გათავდა და ასე გადაწყდა ავსტრალიის დიდი პრიზის ბედიც. „მაკლარენების" ჩამოწერის შემდეგ — „ფერარის" გამარჯვება თითქმის განაღდებული ჰქონდა.

უკვე ფინიშის შემდეგ შამპანურის შხეფებში გახვეულს წუხანდელი სიზმარიც გაახსენდება. როგორც მერე ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში იტყვის, პირველად ნახა სიზმარი. ფერადი იყო თუ არა, ირვინს არ ახსოვდა, მაგრამ ნამდვილად იყო რბოლა, ნამდვილად დიდი პრიზი, და ნამდვილად მისი, ედი ირვინის გამარჯვების აღსანიშნავად უკრავდა ორკესტრი ირლანდიის ჰიმნს.

**ირაკლი ბერიაშვილი**



REUTERS ფოტოქრონიკიდან

გამარჯვებული ედი ირვინის საპატიო წრე

### რბოლის შედეგები

7 მარტი. მელბურნი. „ალბერტ პარკი" ტრასა

დისტანცია — 58 წრე — 307.574 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. ირვინი (ფერარი) | 1:35.01,659 (190,851 კმ/სთ) | 10 ქულა |
| 2. ფრენცენი (ჯორდანი) | ჩამორჩა 1,027 წმ-ით | 6 |
| 3. რ. შუმახერი (უილიამსი) | 7,012 წმ-ით | 4 |
| 4. ფიზიკელა (ბენეტონი) | 33,418 წმ-ით | 3 |
| 5. ბარიჩელო (სტიუარტი) | 54,698 წმ-ით | 2 |
| 6. დე ლა როსა (ეროუზი) | 1,24,317 წთ-ით | 1 |
| 7. ტაკაგი (ეროუზი) | 1,26,288 წმ-ით | |
| 8. მ. შუმახერი (ფერარი) | 1 წრით | |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი (ფერარი) (1.32,112; 207,256 კმ/სთ. 55-ე წრე)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| ზონტა (BAR) — გაიარა | გადაცემათა კოლოფი | 48 წრე |
| ბადოერი (მინარდი) | გადაცემათა კოლოფი | 42 |
| ვურცი (ბენეტონი) | შეკიდულობა | 28 |
| დინიცი (ზაუბერი) | ტრანსმისია | 27 |
| ჟენე (მინარდი) | შეჯახება | 25 |
| ტრული (პროსტი) | შეჯახება | 25 |
| პანისი (პროსტი) | ბორბალი | 23 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | მექანიკა | 21 |
| ძანარდი (უილიამსი) | ავარია | 20 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | ჰიდრავლიკა | 13 |
| ვილნევი (BAR) | უკანა ფრთა | 13 |
| ჰილი (ჯორდანი) | შეჯახება | 0 |
| ალეზი (ზაუბერი) | გადაცემათა კოლოფი | 0 |
| ჰერბერტი (სტიუარტი) | ძრავა | 0 |

### განლაგება სტარტზე

21 ჟენე 1.37,013 მინარდი
20 ბადოერი 1.35,316 მინარდი
18 პანისი 1.35,068 პროსტი
23 ზონტა 1.34,412 BAR
14 დე ლა როსა 1.34,244 ეროუზი
15 ტაკაგი 1.34,182 ეროუზი
11 ალეზი 1.33,910 ზაუბერი
5 ძანარდი 1.33,549 უილიამსი
12 დინიცი 1.33,374 ზაუბერი
17 ჰერბერტი 1.32,991 სტიუარტი
19 ტრული 1.32,971 პროსტი
22 ვილნევი 1.32,888 BAR
10 ვურცი 1.32,789 ბენეტონი
7 ჰილი 1.32,695 ჯორდანი
6 რ.შუმახერი 1.32,691 უილიამსი
9 ფიზიკელა 1.32,540 ბენეტონი
4 ირვინი 1.32,289 ფერარი
8 ფრენცენი 1.32,276 ჯორდანი
16 ბარიჩელო 1.32,148 სტიუარტი
3 შუმახერი 1.31,781 ფერარი
2 კულჰარდი 1.30,946 მაკლარენი
1 ჰაკინენი 1.30,462 მაკლარენი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 ფრენცენი (გერმანია) ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 რ. შუმახერი (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 ბარიჩელო (ბრიტანეთი) სტიუარტ ფორდი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 დე ლა როსა (ესპანეთი) ეროუზი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 ჯორდან-მუგენ-ჰონდავ | 6 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 უილიამს სუპერტეკი | 4 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 ბენეტონ სუპერტეკი | 3 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 სტიუარტ ფორდი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |

# ამერიკელთა კაცურ-მაებაშური ნადავლი

*მაებაშიში კვირა დღეს გასრულებულ მე-7 მსოფლიოს ჭერქვეშა სამძლეოსნო ჩემპიონატზე 2 მსოფლიოს, 20 კონტინენტის, 86 ეროვნული და 16-ც საკუთრივ მსოფლიოს პირველობათა რეკორდი დაემხო. ყოველმა გამარჯვებულმა „განვითარებადად" შერაცხულ ქალთა მეჭოკეობაში გამარჯვებულის გარდა (რომელსაც მხოლოდ 35000 ხვდა წილად) 50-50 ათასი დოლარი მიიღო. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ქონება, შესაბამისად, 20 და 10 ათასი დოლარით გამდიდრდა. რაც შეეხება რეკორდსმენებს, რამდენადაც მსოფლიოს ორივე რეკორდი სასტაფეტო ბილიკებზე დაფიქსირდა, ოთხ ამერიკელ ვაჟსა და ოთხსაც რუს დედაკაცს თავიანთი დამატებითი 50-50 ათასის და-ძმურად განაწილება მოუხდათ.*



REUTERS მაებაშიდან

ჟან გალფიონე



REUTERS მაებაშიდან

4×400 მ. კაცთა ესტაფეტა. ამერიკელმა მძლეოსნებმა ოქროც ირგუნეს და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარეს

**რეკორდები** ასპარეზობის ბოლო დღეს დამყარდა. რუსთა მდედრიონმა — ტატიანა ჩებუკინამ, სვეტლანა გონჩარენკომ, ოლგა კოტლიაროვამ და ნატალია ნაზაროვამ 4X400 მ 3 წუთსა და 24,25 წამში დაფარა და ბარე ორი ბარაქიანი მკერდით აჯობა ფინიშის ხაზთან მომდევნოდ მირბენილ ავსტრალიელებსა (3.26,87) და ამერიკელებს (3.27,59). ამერიკელთა ხვადაგმა კვარტეტმა — ანდრე მორისმა, დეიმონ ჯონსონმა, დონ მაინორმა და მილტონ კემპბელმა კი — იმავე 4X400 მ-ის გარბენას დიდოსტატური 3.02,83 მოანდომა. მეორე და მესამე ადგილები პოლონელებმა (3.03,01) და ბრიტანელებმა (3.03,20) დაიკავეს.

თუმცა, მაებაშის გმირთა წოდება მაინც ეთიოპელ და რუმინელ სტაიერებს — ჰაილე გაბრესელასიესა და გაბრიელა საბოს ერგოთ. ერთმაც და მეორემაც 1500-სა და 3000 მ-ზე იმარჯვა და გერმანელი ჰაიკე დრექსლერის 12 წლის წინანდელი ოროქროვანი მიღწევა გაიმეორა. ლეგენდარულმა გერმანელმა დუბლი ინდიანაპოლისის პირველ ჭერქვეშა ჩემპიონატზე, 200 მეტრზე სირბილსა და სიგრძეში ხტომაში მოიპოვა. მას შემდეგ არც ერთ მძლეოსანს ჭერქვეშ ასეთი ხეირი აღარ ენახა...

პარასკევს 3 კმ-ზე ნება-ნება მოგებულ ოქროს, დიადმა ეთიოპელმა კვირა დღის დაძაბულ რბოლაში მოგებულიც დაურთო — რბოლა ისეთი ფიცხელი იყო, რომ კენიელ ლაბან როტიჩს მან მხოლოდ 1,5კმ-ის უკანასკნელ მეტრებზე გადაურბინა. 23 წლის საბომ კი ჯერ შაბათს. 1,5 კმ თანამემამულე ვიოლეტა ბეკლია-შეკელისთან გაწევ-გამოწევაში მოიგო, მეორე დღეს კი მის წინ გადებული 3 კმ, 1995-ისა და 1997-ის მსგავსად, ლაღად და უპრობლემოდ გადალახა. „ამაზე კარგი რაღა უნდა იყოს? ორი ოქრო, 100 ათასი დოლარი და ჩინებული განწყობილება" — რუმინელის ამ სიტყვებს ჰაილე ჰალალი და ბედნიერი ღიმილით დასთანხმებია.

გაბრესელასიესა და საბოს გარდა „გრინ დოუმში" ნაზეირებთაგან განსაკუთრებული პატივით ფრანგ მეჭოკე ჟან გალფიონეს, ნამიბიელ სპრინტერ ფრენკი ფრედერიკსსა და კუბელ სიგრძეზე მხტომელ ივან პედროსოსაც მოიხსენიებენ.

28 წლის ფრანგმა შეუძლებელი შეძლო და ის გააკეთა, რაც ჭერქვეშ აქამდე მხოლოდ სერგეი ბუბკას, როდიონ გატაულინსა და მაქსიმ ტარასოვს გაეკეთებინათ — არც მეტი, არც ნაკლები, სხეული 6 მ-ზე შემოდებულ თამასას გადააცილა. და, მართალია, მეორეზე გასული ამერიკელი ჯეფ ჰარტვიგი ამტკიცებდა, ეგ „ვოლციგურად" ანუ თავისივე ავადგამორჩეული თანამედროვის, დეივ ვოლციგის დარად — თამასის ხელით დაჭერით, გააკეთაო, მაგრამ ჟიურიმ ვიდეოჩანაწერის ერთსაათიანი შესწავლის შემდეგ ოქრო მაინც გალფიონეს არგუნა.

ფრენკი ფრედერიკსმა კარიერაში ნაჯაფარ ერთ ოქროსა და რვა ვერცხლს კიდევ ერთი ოქროც შემატა. თანაც, ეს ისეთი დამაჯერებლობით გააკეთა, რომ ჯერ ერთი — მხოლოდ თავისსავე რეკორდს (19,92) ჩამორჩა (20,12), ხოლო მეორეც — მეტოქეები და უწინარესად ბარბადოსელი ობადელე ტომპსონი და მანამდელი ჩემპიონი, ამერიკელი კევინ ლითლი თავისი დაკუნთული ჩალალაჯის ყურებასღა დააჯერა.

რაც შეეხება კუბელ ივან პედროსოს, ამ კაცს ჭერქვეშა მსოფლიო პირველობებზე 1993 წლიდან აღარ წაუგია და, თუკი საქმე ეგრე გაგრძელდა, არც ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე წააგებს. ყოველ შემთხვევაში, მისი შთამბეჭდავი 8,62 მ-ის წინაალმდეგ ესპანელ იაგო ლამელს მხოლოდ 8,56 აღმოაჩნდა, ისე რა ამერიკელ ერიკ ვალდერს კი — 8,30.

ამერიკელთა ხსენება — როგორც თავადაც შეატყობდით — მაებაშური მიმოხილვების წერისას ყველაზე ხშირად გვიხდებოდა. ეს გასაგებიცაა — ამერიკა მსოფლიოს ყველაზე „ჭერქვეშა" სამძლეოსნო ქვეყნად ითვლება. ამის დასტურად იქაურ ათლეტთა მიერ იაპონიაში მოხვეჭილი 19 მედალიც კმარა.

და ბოლოს — თუკი სამძლეოსნო სამყაროში მაებაშის ხსენებაზე ამიერიდან ვინმეს ტანში გაჰბურძგლავს და შიგანში ბალღამი მოეძალება, ეგენი უცილობლად ჩემპიონთა ტიტულებს შელეულნი, დანიელი უილსონ კიპკეტერი, მოზამბიკელი მარია მუტოლა და ამერიკელი გეილ დივერსი იქნებიან. მალარიამოხდილმა კიპკეტერმა ეგრემც ვერ შეძლო, სასურველ ფორმაში შესვლა 5-7 მარტისათვის დაემთხვია, მარია მუტოლამ — კრისტიან ვახტელის 11-წლიანი რეკორდის დამხობა, ხოლო გეილ დივერსმა — თავისი ამერიკული ბრწყინვალების შეუბლალავად შენარჩუნება. პირველმა მედგარ სამხრეთაფრიკელს, იოჰან ბოთას დაუთმო. მეორემ — შეთამამებულ ჩეხს, ლუდმილა ფურმანოვას, დივერსის პატივაყრილ ბრწყინვალებას კი 2001 წლამდე მსოფლიოს ყველა ჭერქვეშა ასპარეზზე მისი ბერძნული აღმატებულება, ეკატერინი თანუ ატარებს.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მაებაშიდან

რუსი ტატიანა კოტოვა ყველაზე შორს, 6.86 მეტრზე გადახტა

| | |
|---|---|
| **60 მ ქალები** | |
| 1. ეკატერინე თანუ (საბერძნეთი) | 6.96 |
| 2. გეილ დივერსი (აშშ) | 7.02 |
| 3. ინგერ მილერი (აშშ) | 7.06 |
| **60 მ კაცები** | |
| 1. მორის გრინი (აშშ) | 6.42 |
| 2. ტიმ ჰარდენი (აშშ) | 6.43 |
| 3. ჯეისონ გარდენერი (დიდი ბრიტანეთი) | 6.46 |
| **200 მ კაცები** | |
| 1. ფრანკ ფრედერიკსი (ნამიბია) | 20.10 |
| 2. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) | 20.26 |
| 3. კევინ ლითლი (აშშ) | 20.48 |
| **400 მ ქალები** | |
| 1. გრიტ ბროიერი (გერმანია) | 50.80 |
| 2. ფალილატ ოგუნკოია (ნიგერია) | 51.25 |
| 3. ჯირლი მაილს-კლარკი (აშშ) | 51.42 |
| **400 მ კაცები** | |
| 1. ჯიმ ბოლჩი (დიდი ბრიტანეთი) | 45.73 |
| 2. მილტონ კემპბელი (აშშ) | 45.99 |
| 3. ალეხანდრო კარდენასი (მექსიკა) | 46.02 |
| **800 მ ქალები** | |
| 1. ლიუდმილა ფორმანოვა (ჩეხეთი) | 1:56.90 |
| 2. მარია მუტოლა (მოზამბიკი) | 1:57.17 |
| 3. ნატალია ციგანოვა (რუსეთი) | 1:57.47 |
| **800 მ კაცები** | |
| 1. იოჰან ბოთა (სამხრეთ აფრიკა) | 1:45.47 |
| 2. უილსონ კიპკეტერი (დანია) | 1:45.49 |
| 3. ნიკო მოტჰემონი (გერმანია) | 1:45.79 |
| **1500 მ ქალები** | |
| 1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) | 4:03.23 |
| 2. ვიოლეტა ბეკლეა-შეკელი (რუმინ.) | 4:03.53 |
| 3. ლიდია ჩოჟეკა (პოლონეთი) | 4:05.86 |
| **1500 მ კაცები** | |
| 1. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) | 3:33.77 |
| 2. ლაბან როტიში (კენია) | 3:33.98 |
| 3. ანდრეს დიასი (ესპანეთი) | 3:34.46 |
| **3000 მ ქალები** | |
| 1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) | 8:36.42 |
| 2. სარა გუაზიზი (მაროკო) | 8:38.43 |
| 3. რეგინა ჯაკობსი (აშშ) | 8:39.14 |
| **4X400 ესტაფეტა ქალები** | |
| 1. რუსეთი (ტატიანა შებეკინა, სვეტლანა გონჩარენკო, ოლგა კოდლიაროვა, ნატალია ნაზაროვა) | 3:24.25 (მს.რ) |
| 2. ავსტრალია | 3:26.87 |
| 3. აშშ | 3:27.59 |
| **4X400 ესტაფეტა კაცები** | |
| 1. აშშ (ანდრე მორისი, დეიმონ ჯონსონი, დონ მაინორი, მილტონ კემპბელი) | 3:02.83 (მს.რ) |
| 2. პოლონეთი | 3.03.01 |
| 3. დიდი ბრიტანეთი | 3.03.20 |
| **200 მ ქალები** | |
| 1. იონელა ტირლეა (რუმინეთი) | 29.39 |
| 2. სვეტლანა გონჩარენკო (რუმინეთი) | 22.69 |
| 3. პაულინა დევისი (ბაჰამა) | 22.70 |
| **ბირთვის კვრა. ქალები** | |
| 1. ვიტა პავლიჩი (უკრაინა) | 21.43 მ |
| 2. ირინა კორჩანენკო (რუსეთი) | 20.56 |
| 3. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) | 19.08 |
| **სიგრძეზე ხტომა. ქალები** | |
| 1. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) | 6.86 მ |
| 2. შანა უილიამსი (აშშ) | 6.82 |
| 3. ივა პრანდჩევა (ბულგარეთი) | 6.78 |
| **სიგრძეზე ხტომა. კაცები** | |
| 1. ივან პედროსო (კუბა) | 8.62 მ |
| 2. იაგო ლამელა (ესპანეთი) | 8.56 |
| 3. ერიკ ვალდერი (აშშ) | 8.30 |
| **სამხტომი. ქალები** | |
| 1. აშია ჰანსენი (დიდი ბრიტანეთი) | 15.02 მ |
| 2. ივა პრანდჩევა (ბულგარეთი) | 14.94 |
| 3. სარკა კასპარკოვა (ჩეხეთი) | 14.87 |
| **სიმაღლეზე ხტომა. კაცები** | |
| 1. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) | 2.36 მ |
| 2. ვიაჩესლავ ვორონინი (რუსეთი) | 2.36 |
| 3. ჩარლზ ოსტინი (აშშ) | 2.33 |
| **ხუთჭიდი. კაცები** | |
| 1. სებასტიან ხმარა (პოლონეთი) | 6386 |
| 2. ერკი ნოოლი (ესტონეთი) | 6374 |
| 3. რომან სერბლე (ჩეხეთი) | 6219 |

**ქვეყნების მონაგარი**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 7 | 9 | 19 |
| რუსეთი | 2 | 4 | 2 | 8 |
| გერმანია | 3 | - | 4 | 7 |
| ბრიტანეთი | 3 | - | 2 | 5 |
| რუმინეთი | 3 | 1 | - | 4 |
| ბულგარეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 2 | 4 |

# სამოქალაქო ომები არიზონაში

**სკოტსდეილი. აშშ. ფრანკლინ ტემპლტონ კლასიკი. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** ანდრე აგასი (3,აშშ) — სედრიკ პიოლინი (6,საფრანგეთი) 6:4, 6:1; მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — გორან ივანიშევიჩი (4,ხორვატია) 7:6 (8:6), 4:6, 6:1; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 4:6, 6:4, 6:1; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:1, 3:0 — ტრავმა.

**ნახევარფინალი:** გემბილი — აგასი 5:4 — ტრავმა, ჰიუიტი — ვუდფორდი 6:2, 6:2

**ფინალი:** გემბილი — ჰიუიტი 7:6 (7:2), 4:6, 6:4

შეიძლება, კაცთა ჩოგბურთში რევოლუციური ხანა დგებოდეს — ტურნირზე, რომელშიც პიტ სამპრასი, ანდრე აგასი, პატრიკ რაფტერი, გორან ივანიშევიჩი და ტომას მუსტერი მონაწილეობდნენ, გადამწყვეტ მატჩში 18 წლის ავსტალიელი 21 წლის ამერიელს გადაეყარა, რომელიც აქამდე ნახევარფინალსაც კი არსად გასცდენოდა.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აგასის მარცხს მეტად საპატიო მიზეზი ჰქონდა — ნახევარფინალში ტურნირის სამგზის ჩემპიონს კუნთი დაეჭიმა და მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ეს ასე მოხდა: 3:3-ზე ბადესთან გასული ამერიკელი გემბილის შემოვლებულს წაეპოტინა, მაგრამ ვერც ბურთს მისწვდა და მოულოდნელად მოძრაობა კოჭლობითაც განაგრძო: „მარცხნივ მკვეთრად გავიწიე თუ არა, ფეხში მწვავე ტკივილი ვიგრძენი, რამდენიმე გათამაშების შემდეგ კი მივხვდი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. დროზე რომ არ შევჩერებულიყავი, მძიმე ტრავმას გამოვკრავდი ხელს“.

ადგილობრივმა ექიმმა ხოტორა ვარსკვლავს რამდენიმე დღით დასვენება გამოუწერა და ამ კვირის მერსედეს სუპერ 9-ის ტურნირში მონაწილეობით დააიმედა. გემბილი კი, რომელიც პატარაობაში აგასისა და შტეფი გრაფს აღმერთებდა, მეექვსე ჩოგბურთელი შეიქნა, ვინც ანდრე და პიტ სამპრასი ერთი და იმავე პირველობაზე დაამარცხა: „ტექნიკურად ეს ასეა, მაგრამ მოგება ის არის, მატჩ-პოინტზე ქულას რომ მიითვლი. ნამდვილად არ მინდოდა, კარიერის პირველ ფინალში მეტოქის ტრავმის ხარჯზე გავსულიყავი, მით უმეტეს, ჩემს კერპთან შეხვედრაში“.



ჟან-მაიკლ გემბილი ტრავმირებულ აგასის ანუგეშებს



ანა კურნიკოვა

თუ აგასისა და გემბილს საერთო მხოლოდ მოქალაქეობის გრაფა აქვთ პასპორტებში, მეორე ნახევარფინალური დუეტი სულაც თანაქალაქელებისაგან შედგებოდა — 33 წლის უფროსი „ვუდი“ მარკ ვუდფორდიცა და ოზი ვუნდერკინდი ლეიტონ ჰიუიტიც ადელაიდის მკვიდრები არიან.

„ისე არ გამიგოთ, თითქოს მზად არ ვიყო მისთვის გარდამავალი დროშის გადასაცემად, მაგრამ ჩვენს წინა პირად შეხვედრაში ლეიტონმა ბდღვირი მადინა, ამიტომ პატარა შურისძიებაზე უარს არ ვიტყოდი“ — განაცხადა მატჩის წინ წყვილებში თამაშის ოსტატმა.

თუმცა სანუგეშო ვუდფორდს არც ნახევარფინალმა დაუტოვა რაიმე — უკანა ხაზზე მოკალათებული ჰიუიტი თანმიმდევრობით ბომბავდა უფროსი კოლეგის პოზიციებს, ერთი კიდიდან მეორეში უმოწყალოდ არბენინებდა და ქალაქის ჩემპიონობის გაფორმებასაც სულ 69 წუთი მოანდომა.

ვეტერანმა ხელები ასწია: „მას შეუძლია თქვას, რომ ადელაიდაში საუკეთესოა — უკვე მეორედ დამამარცხა, მაგრამ ჩვენ მაინც საუკეთესო მეგობრებად ვრჩებით. ლეიტონს დიდი მომავალი აქვს და თავისი ასაკისთვის არაჩვეულებრივად ჭკვიანურად ირჯება. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სატყუარა ამომდეს ლაყუჩებში“.

სამოქალაქო ომებისგან განსხვავებით, ფინალი არაჩვეულებრივად დაძაბული გამოდგა. ორსაათნახევრის მანძილზე ახალწვეულები ქანცის გაცლამდე ებრძოდნენ ერთმანეორეს, მატჩის ბედი კი ბოლო სეტში მთავარი მსაჯის ერთმა საეჭვო გადაწყვეტილებამ გაარკია.

4:3-სა და 40:30-ზე ჰიუიტის სასარგებლოდ ამერიკელის კროსს გვერდითა მსაჯმა „აუტი“ შესძახა, მაგრამ მთავარმა — სტივ ულრიხმა ასე არ ჩათვალა და 5:3 დაწინაურების ნაცვლად ორი გათამაშების შემდეგ ავსტრალიელს ანგარიში გაუთანაბრეს: „მსაჯი რომ არ ჩარეულიყო, გამარჯვება მე დამრჩებოდა. იმ უმნიშვნელოვანესი ქულის მითვლა გემბილს ზურგქარად წაადგა და უიმედო სიტუაციასაც დაუძვრა“.

46 ათასი დოლარით გამდიდრებულ ამერიკელს მეტოქის შექება არ დავიწყებია: „ეს ომი იყო. ლეიტონი შესანიშნავი ჩოგბურთელია, არასოდეს ნებდება და არაფერს გითმობს. იგი რალაცით ჯიმი კონორსს ჰგავს, ისეთივე მიზანსწრაფული და მებრძოლია“.

**კოპენჰაგენის ღია პირველობა. დანია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 250 ათასი $**

**ნახევარფინალი:** მაგნუს გუსტაფსონი (3,შვედეთი) — ბაირონ ბლექი (2,ზიმბაბვე) 6:3, 6:1; ფაბრის სანტორო (4,საფრანგეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 1:6, 6:2, 6:0

**ფინალი:** გუსტაფსონი — სანტორო 6:4, 6:1

კოპენჰაგენის პირველობამდე, სადაც მაგნუს გუსტაფსონი უკვე დიდი ხანია, მაყურებელთა ფავორიტია, ვეტერან შვედს ამ სეზონში ორ ტურნირზე ერთადერთი მოგება ჰქონდა ანგარიშზე. „აქ რომ ჩამოვედი, იმაზე თუ გავბედავდი ოცნებას, ორი წრე გამევლო, მაგრამ თავიდან გამიმართლა, მერე კი უკეთ და უკეთ ავთამაშდი. ეს ჩემი საყვარელი ტურნირია სტოკჰოლმის ღია პირველობის შემდეგ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შვედეთში ვიმყოფები“.

32 წლის გუსტაფსონისთვის ეს კარიერის 25-ე ფინალი და მე-13 ტიტული გახლდათ, თავისი გარჯისთვის კი პროფესიონალური ჩოგბურთისთვის ფრიად მოკრძალებული თანხა — სულ 30 ათასი დოლარი ერგო.

**ინდიან უელსი. აშშ. „ევერტის თასი“. ჰარდი. საპრიზო 1,2 მილიონი $**

პირველი რვა განთესილის გარეშე ჩავლილ პირველ წრეში ორი მოულოდნელობა მოხდა — კლასიფიკაციით 22-ე სილვია ფარინამ 17 წლის ანა კურნიკოვა (9) დაამარცხა 7:6 (7:3), 1:6, 7:5; გერმანელმა ბარბარა რიტნერმა კი ბელგიელი დომინიკ ვან რუსტს (11) აჯობა 0:6, 6:4, 6:3.

ორმაგი შეცდომების კოშმარს თავდაღწეული რუსი უპრობლემოდ არც ამჯერად დარჩენილა — აგერ უკვე ორი კვირაა, მას ქალების ტურზე მოპარპაშე გრიპმა დარია ხელი: „ფიზიკურად საუკეთესო ფორმაში აშკარად არა ვარ. წამლების მიღებას ვაგრძელებ და იმედია, კი ბისკეინის ტურნირისთვის მაინც მოვმჯობინდები“.

**პირველი წრე:** პატი შნიდერი (10,შვეიცარია) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:4; სადრინ ტესტიუ (12,საფრანგეთი) — მარია ალეხანდრა ვენტო (ესპანეთი) 6:1, 6:1; ირინა სპირლეა (13,რუმინეთი) — ანდრეა გლასი (გერმანია) 7:6 (7:3), 7:6 (7:4); კონჩიტა მარტინესი (14,ესპანეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:2, 4:6, 6:2; ლაიზა რეიმონდი (აშშ) — ნატაშა ზვერევა (15,ბელარუსი) 6:4, 6:4; ლილია ოსტერლოჰი (აშშ) — ბარბარა შეტი (16,ავსტრია) 6:4, 6:4; კარა ბლექი (ზიმბაბვე) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 4:6, 6:3, 6:3; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:3

**ავთანდილ სვანიძე**



# ღმერთების დაისი

*სასწაულები ხდება ლიგაში. მართალია, ზოგი ძირი მარგებელია, მაგრამ წამყვანი მოთამაშეების არყოფნა წასდგომოდეს ემოქმედოს კლუბებს, პირველად გვესმის. თავად განსაჯეთ. რეინჯერსს უეინ გრეცკი ორი-სამი კვირით გამოაკლდა და აქამდე ულიმღამოდ მოასპარეზე გუნდი ისე გარდაიქმნა, ხუთი წაუგებელი მატჩის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, ბოსტონსა და ფლორიდას შორის ბოლო საპლეიოფო საგზურისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩაერია და უკიდურესად გაამწვავა ვითარება აღმოსავლეთში. უქმეებზე ნიუიორკელებმა ორი გამარჯვება მიითვალეს, თანაც ბოსტონს სძლიეს, მეკარე მაიკ რიხტერს კი ასე 1994 წლის სათასო ტრიუმფის დროსაც არ გამოუდია თავი. ახლა კალგარიზეც ვთქვათ. ტეო ფლერის კოლორადოში გადასვლის შემდეგ ამ გუნდზე ყველამ ჩაიქნია ხელი, მაგრამ „ალებმა“ ფარ-ხმალი არ დაყარეს და ორი მოგებით კვლავ ჩაუსახეს იმედი ქომაგებს. თანაც, კორი სტილმანის (3+2 2 მატჩში) სახით ახალი ლიდერიც შეიძინეს.*

*ბუფალომ კი ყველას გადააჭარბა. სანამ დომინიკ ჰაშეკი ტრავმას იმუშებდა, მისი შემცვლელის, დუეინ როულსონის არასტაბილურობით შეწუხებულმა „ხმლების“ მესვეურებმა, ღმერთმა უწყის, საიდან გამოჩხრიკეს მეტიუ ბირონი. და აი, სენსაციაც მეკარემ, რომელიც აქამდე სულ ორჯერ იდგა კარში, ისიც სამი წლის წინ, ისე მოაჯადოვა დალასისა და ფილადელფიის თავდასხმა, რომ გრანდებმა თითო-თითო გოლის მეტი ვერ გაახერხეს.*

5 მარტი

**ვანკუვერი — კალგარი 1:5**

0:2 0:3 1:0

0:1 სიმპსონი 1'50 (2); 0:2 კესელსი 13'21 (11); 0:3 სტილმანი 27'08 (19); 0:4 შანტცი 30'31 (12); 0:5 სტილმანი 34'15 (20); 1:5 ჰენდრიკსონი 47'27 (3)

**ანაჰაიმი — ნეშვილი 3:2**

2:0 0:1 1:1

1:0 ნილსენი 7'06 (2); 2:0 სელიანე 19'33 (36); 2:1 ფიცჯერალდი 31'50 (10); 3:1 ნილსენი 49'03 (3); 3:2 რონინგი 59'48 (17)

**ფინიქსი — დეტროიტი 2:7**

1:2 1:4 0:1

0:1 კოზლოვი 1'10 (18); 1:1 ტკაჩუკი 5'31 (23); 1:2 აიზერმანი 8'24 (25); 1:3 შენაჰანი 23'37 (23); 1:4 შენაჰანი 24'32 (24); 2:4 ტკაჩუკი 27'16 (24); 2:5 დანდენო 30'31 (3); 2:6 ჰოლმსტრიომი 35'25 (10); 2:7 შენაჰანი 52'48 (25).

ბრენდან შენაჰანმა კარიერაში მე-12 ჰეთ თრიქი მიითვალა.

**ნიუ ჯერსი — ბოსტონი 1:4**

0:3 0:0 1:1

0:1 მაკლარენი 2'39 (6); 0:2 ლედიარდი 15'12 (3); 0:3 სამსონოვი 16'04 (21); 1:3 არნოტი 57'52 (19); 1:4 კარტერი 59'22 (12)

**ბუფალო — დალასი 2:1**

1:1 1:0 0:0

1:0 პრიმო 11'26 (4); 1:1 ნუინდაიკი 18'41 (16); 2:1 პეკა 39'46 (25)

**პიტსბურგი — ედმონტონი 2:2**

1:1 0:1 1:0 0:0

1:0 შლეგრი 5'30 (3); 1:1 ჰამრლიკი 13'34 (5); 1:2 ფალუნი 31'46 (15); 2:2 ლანგი 48'53 (19)

პიტსბურგელთა ლაზარეთი არ იცლება. თუ მარტინ სტრკას ტრავმა არცთუ სერიოზული აღმოჩნდა, ძირითადი მეკარე ტომ ბარასო მოტეხილი ხელის გამო ჩემპიონატის ბოლომდე გამოეთიშა ასპარეზობას. პარასკევს კი მას წამყვანი მცველები — კევინ ჰეჩერი და დარიუს კასპარაიტისიც დაემატნენ, რის გამოც ისედაც ზედმეტად დატვირთულ იარომირ იაგრს პასი 35 წუთი და 34 წამი მოუწია ყინულზე ყოფნამ. ეს კი სეზონის რეკორდი გახლავთ.

6 მარტი

**ლოს ანჯელესი — კალგარი 1:4**

0:2 1:1 0:1

0:1 ბურე 3'28 (15); 0:2 სტილმანი 13'36 (21); 0:3 გოტიე 38'21 (3); 1:3 ბოჯერი 39'36 (1); 1:4 იგინლა 44'23 (23)

**ფლორიდა — კაროლინა 2:2**

1:2 0:0 1:0 0:0

1:0 ლინდსეი 7'02 (11); 1:1 კაპანენი 9'16 (18); 1:2 ფრენსისი 14'08 (13); 2:2 მელანბი 48'23 (16)

ბარასოს დარად, ფლორიდის ლიდერ პაველ ბურეს ტრავმა სერიოზულია და მას მუხლის ოპერაცია დასჭირდება.

**ოტავა — ტორონტო 3:1**

1:1 2:0 0:0

1:0 იაშინი 1'11 (33); 1:1 დ. კინგი 11'35 (19); 2:1 ჰოსა 20'39 (8); 3:1 პროსპალი 23'41 (6)

ოტავას სამივე გოლი და 5 პასი ევროპელებმა მიითვალეს.

**ვაშინგტონი — ედმონტონი 4:3**

0:1 4:1 :1

0:1 მაკსორლი 6'36 (2); 0:2 გერინი 20'47 (27); 1:2 ზედნიკი 31'26 (7); 2:2 ჟიუნო 31'29 (14); 3:2 ოუთსი 33'40 (11); 4:2 გონჩარი 39'42 (17); 4:3 სელივანოვი 50'39 (12)

**მონრეალი — ტამპა 1:6**

1:1 0:3 0:2

0:1 კუბინა 4'25 (7); 1:1 კოივუ 11'05 (13); 1:2 კლარკი 21'46 (22); 1:3 კლარკი 25'24 (23); 1:4 რიშე 39'54 (6); 1:5 კლარკი 44'31 (24); 1:6 სვობოდა 49'44 (5)

**სან ხოსე — ჩიკაგო 0:4**

0:0 0:2 0:2

0:1 დიუმონი 35'54 (1); 0:2 მარჰა 37'40 (1); 0:3 დიუმონი 48'15 (2); 0:4 კილგერი 56'31 (13)

ორი დღით ადრე ფარმ-კლუბიდან გამოძახებულმა ჟან-პიერ დიუმონმა (2 გოლი) და იოზეფ მარჰამ „ზვიგენებს“ ბასრი კბილები ჩაუმტვრიეს.

**ფილადელფია — აილენდერსი 3:3**

0:0 0:1 3:2 0:0

0:1 პალფი 21'53 (15); 0:2 ლოურენსი 50'02 (10); 0:3 სმოლინსკი 52'58 (12); 1:3 ბაბიჩი 56'54 (1); 2:3 ზელეპუკინი 58'00 (12); 3:3 ლინდროსი 59'09 (37)

ფილადელფია ბეწვზე გადარჩა ზედიზედ მეექვსე მარცხს.

7 მარტი

**პიტსბურგი — კოლორადო 1:3**

1:0 0:0 0:3

1:0 სტრაკა 16'56 (31); 1:1 საკიკი 42'53 (30); 1:2 ჰეიდუკი 53'15 (10); 1:3 ლემიე 59'20 (23)

**ბოსტონი — რეინჯერსი 1:3**

0:0 0:2 1:1

0:1 მაკლინი 24'32 (23); 0:2 სანდსტრიომი 35'14 (12); 1:2 უილსონი 52'25 (1); 1:3 სტივენსი 53'51 (16)

**ანაჰაიმი — დეტროიტი 3:1**

1:0 1:0 1:1

1:0 მაკინისი 7'50 (18); 2:0 რუჩინი 32'08 (23); 2:1 აიზერმანი 44'28 (26); 3:1 სანდსტრიომი 57'19 (11)

ანაჰაიმმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებით ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა. მისმა ლიდერმა ტეემუ სელიანემ, მართალია, ვერ გაიტანა (რასაც ბოლო 8 თამაშში გამუდმებით აკეთებდა), მაგრამ 1 პასი მაინც მიითვალა და თავისი შედეგიანი სერია 16 მატჩამდე გაზარდა.

**ვანკუვერი — ჩიკაგო 2:2**

1:1 0:1 1:0 0:0

1:0 მოგილნი 2'43 (7); 1:1 მორო 13'39 (9); 1:2 დაზე 34'07 (14); 2:2 ოკუანი 41'26 (16)

**დალასი — სენტ ლუისი 4:3**

2:1 2:0 0:2

1:0 ლეჰტინენი 2'38 (18); 2:0 მოდანო 10'33 (26); 2:1 მაკინისი 18'31 (18); 3:1 ლანგენბრუნერი 23'06 (11); 4:1 ვერბიკი 36'41 (15); 4:2 ტარჯონი 45'39 (24); 4:3 მაკელპინი 57'12 (1)

**ბუფალო — ფილადელფია 1:1**

0:0 0:0 1:1 0:0

0:1 ზელეპუკინი 49'07 (13); 1:1 შენონი 53'27 (3)

**ფინიქსი — ნეშვილი 4:3**

3:1 1:2 0:0

1:0 ტკაჩუკი 1'28 (25); 1:1 ბუშარი 7'32 (3); 2:1 ადამსი 10'15 (14); 3:1 ტკაჩუკი 12'52 (26); 3:2 უოკერი 20'53 (10); 4:2 ტკაჩუკი 21'10 (27); 4:3 უოკერი 38'38 (11)

სხვას ვის უნდა შეეწყვიტა ფინიქსის 4-მატჩიანი უილბლო სერია, თუ არა გუნდის კაპიტან კეიტ ტკაჩუკს მე-8 ჰეთ თრიქით.

**აილენდერსი — ნიუ ჯერსი 2:4**

0:2 2:2 0:0

0:1 მორისონი 2'56 (9); 0:2 ელიაში 14'32 (11); 1:2 ნემჩინოვი 29'39 (8); 1:3 სიკორა 32'59 (22); 1:4 პედერსონი 34'41 (11); 2:4 რაიხელი 37'48 (19)

**სამველ ღარიბიანი**



სარბიელის არქივიდან

# ის იყო ამერიკა



კარგა ხანი იყო, ელოდნენ მის სიკვდილს. ეს გამოცხადებული სიკვდილი იყო. მრავალი ავადმყოფობით ტანჯული მოხუცი ამ ზამთარს საავადმყოფოდანაც გამოწერეს, გაუშვი, შინ აღესრულოსო. თავის დიდ სახლში იწვა, ჰოლივუდში. გარს შთამომავლები და ექთნები ეხვივნენ.

და აი, გუშინ დილით მისმა ვექილმა ამერიკას ამცნო მოსალოდნელი სამწუხარო ამბავი:

„84 წლისა გარდაიცვალა ჯო დი მაჯიო."

აქეთ, ოკეანისა და ზღვებს გამოღმა ეგებ გვჭირდებოდეს კიდეც ახსნა იმისა, თუ ვინ იყო გარდაცვალებული, მაგრამ იქ, ამერიკაში ამ სახელს არ სჭირდება განმარტება.

დიდი კეტბურთელი, „ნიუ იორკ იანკის" გამარჯვებათა სულისჩამდგმელი, საუცხოო პ ითერი და ჰოუმრანერი, ლიგის ზედიზედ სამგზის საუკეთესო მოთამაშე, კაცი, ვინც 1941 წლის სეზონში ზედიზედ 56 თამაშში დასცხო კეტი ბურთს. კეტბურთის უპირველესი გმირი 40-იან, 50-იან, ლამის 60-იან წლებშიაც.

და თანაც, დი მაჯიო არ იყო უბრალო ვარსკვლავი, არც გაქაჩული ვარსკვლავი. ის იყო წყნარი და უბრალო ბიჭი, რომელმაც შეაბიჯა ჰემინგუეის „მოხუცსა და ზღვაში", გარფანკელისა და საირონის სიმღერაში, კინოში. ეს იყო ბიჭი, რომელსაც ცოლად გაჰყვა მერილინ მონრო, რომელიც ცდილობდა დოსტოევსკის რომანებით გაემდიდრებინა კეტბურთელის უბრალო ტვინი. და ასევე, ეს იყო ბიჭი, რომელმაც კაცურად გადაიტანა სამყაროს პირველ ქალთან განშორება და ბოლომდე გასაოცარი დიდბუნებოვნებით ცდილობდა ამ არეული და უცნაური ქალის შველას. ჯო დი მაჯიო ამერიკა იყო და ამერიკა იყო ჯო დი მაჯიო. ამას ბევრი ფიცი და მტკიცი არ სჭირდება.

„მაშინ შეხედე დი მაჯიოს..." მღეროდნენ ერთ დროს...

უკანასკნელად სახალხოდ გამოჩნდა გასული წლის სექტემბერში, მშობლიურ „იანკის" სტადიონზე. 12 ოქტომბერს თირკმელი ამოკვეთეს. იმის შემდეგ სამჯერ ჰქონია კლინიკური სიკვდილი, გუშინ დილით კი გარდაიცვალა.

ის გვახსენებდა კარგა ხნის წასულ ამერიკას. გამოჩენისას აფრქვევდა ძველი დროის სიმპატიურ უბრალოებას და წარსულით დაუმძიმებელ კაცს ჰგავდა.

იყო დრო, რომ ჯო დი მაჯიო ამერიკა იყო. ის კარგი დრო იყო, დრო ალალი განცდისა. ნამდვილი, თუმცა რთული რომანებისა — ეს დი მაჯიოს დრო იყო.



# შერეკილები 3

*ბრიტანელ მებუშტეთა, ენდი კელსონისა და კოლინ პრესკოტის მცდელობა, დედამიწისათვის მასზე დაუშვებლად შემოევლოთ, 7 მარტს დასანანი მარცხით დასრულდა. იაპონიის დასავლეთ სანაპიროსთან მოვარდნილმა გრიგალმა და დელგმამ მამაც ბრიტანელებს ლაღი ოცნების განხორციელება გაურკვეველი დროით გადაუვადა. რომ არა იაპონელ სამხედროთა ფრიადი გარჯა, ამ ოცნებას იქნებ საერთოდაც დაეკარგა დედამიწაზე არსებობის ყველანაირი უფლება და საფუძველი... 7 მარტი. ჰამამაცუ. იაპონიის სამხედრო-საჰაერო ბაზის მისადგომებთან.*



REUTERS ჰამამაცუდან

# ოლიმპიური ბუმერანგი

ბუმერანგს ავსტრალიელები ისეთივე გამორჩეული სიყვარულით ეპყრობიან, როგორც ქართველები — ყანწს. როცა საქართველოში ოლიმპიური თამაშები ჩატარდება, იმ მაშხალას, ათენიდან აქამდე წმინდა ცეცხლი რომ უნდა ჩამოიტანოს, ყანწის ფორმა ექნება. მაგრამ სანამ ეგ კეთილი ამბავი მოხდებოდეს, მანამდე ბევრი წყალდიდობა ჩაივლის, ხოლო სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადა ალბათ ორი საუკუნის დასრულებული იქნება... ავსტრალიელ მოცურავეს, ჯესმინ გეიზელს თავის ცუნცულა ხელში ბუმერანგის ფორმის მაშხალა უჭირავს. ამ ბუმერანგს ოლიმპიური ცეცხლის სარეკორდოდ გრძელ, 27 000 კმ-იან გზაზე ჩატარება მოუწევს. ჯესმინ გეიზელი. 8 მარტი. სიდნეი. ავსტრალია.



REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29